ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ოთხშაბათი 20 ივნისი 2001 №113 (1386) | ფასი 50 თეთრი

2

გიორგი ფიურტელი



დეკანოსიძე ზანგებზე, ქალებზე, შტეფან ეფენბერგსა და გერმანულ ლუდზე

3

ტორპედოს სალიგოდ ძოძუაშვილი გაწვრთნის



ყიფიანი ქუთაისს გარედან შეხედავს

15

ვინც ჩინეთს გაახარებს...

ტიბეტელი ექსტრემისტები ოლიმპიური პეკინის მხარდამჭერ სოგ-ის წევრებს სიკვდილით ემუქრებიან

# უცხოელი ტყემალზე, ქართველი უარზე

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ რთული ვითარებიდან გამოსავალი იოლად იპოვა. უთავკაცოდ დარჩენილ ეროვნულ ნაკრებს მთავარი მწვრთნელი უძებნელად გამოუძებნა. სანამ უცხოელს ვიპოვით, აგერ არ არის ალექსანდრე ჩივაძე?! ბოლო-ბოლო, სამსახურეობრივად ეკუთვნისო, ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი, საქართველოს ნაკრების მწვრთნელყოფილი ჩივაძე კი ცოცხალი თავით არ თანხმდება, მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის დარჩენილ სამ მატჩში (უნგრეთი, ლიტვა, რუმინეთი) გუნდის გაძღოლა არ სურს. თუმცა, სამსახური სამსახურია და, საქმეს ისეთი პირი უჩანს, ძორდანია ჩივაძეს შესარჩევ ეტაპს ჩაამთავრებინებს.

არადა, დანგრეული ნაკრების შენება ახლავე თუ არ დაიწყო, ევროპის 2004 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის დაწყება და საქართველოს არეულ-დემორალიზებული ნაკრების გაცნობა უცხოელ მწვრთნელს, თუ ასეთი ჩვენს გუნდს ეღირსა, ტყემლის კენწეროდან მოუწევს.



ალექსანდრე ჩივაძეს არ უნდა, ფედერაციის უნდა

ამ სამ თამაშს კი მართლაც დიდი მნიშვნელობა აქვს. თუ რატომ, ფედერაციის მიერ 1998 წლის 18 ნოემბრიდან ნაკრებისთვის მოწყობილი ამხანაგური მატჩების გულსაკლავად უსახური ნუსხაც გვიდასტურებს: სომხეთი, აზერბაიჯანი, ესტონეთი, უკრაინა, ისრაელი წყვილ-წყვილად, რუმინეთი, ირანი და სლოვაკეთის ახალგაზრდული ნაკრები.

მოკლედ, დროც იკარგება და პერსპექტივაც. ნაკრებს ხეირიანად პატრონობა, მართლა მწვრთნელი და მართლა სარგო ამხანაგური მატჩები დაუხანებლად სჭირდება, თორემ მერე გვიან იქნება, ჩივაძის ხომ გეუბნებოდით და ფედერაციის რას ვიფიქრებდით...

# სხვა დრო, სხვა ბიჭები

## ქართველ კალათბურთელებს ტანი და ფასი მოემატათ



ზაზა ფაჩულია

ვინ ფასობს კალათბურთში განსაკუთრებით? ვინ და, ტანმაღალი მოთამაშე. ვლადიმერ სტეფანიას თუ არ ჩავთვლით, ბოლო წლებში ქართველებს ამ მხრივ ძალიან გვიჭირდა.

ახლა საქმე სხვაგვარადაა. დღეს სწორედ იქ გავძლიერდით, სადაც ადრე თითქოს პერსპექტივაც არ ჩანდა.

დღეს დილით საქართველოს ნაკრების 210-სანტიმეტრიანი გიგანტი ყმაწვილკაცები იტალიაში, ტანმაღალ მოთამაშეთა საერთაშორისო შეკრებაზე გაემგზავრნენ. 17 წლის ზაზა ფაჩულია და 18 წლის ნიკა ცქიტიშვილი ევროპის მოწინავე სპეციალისტების წინაშე გაირჯებიან. თუმცა, არა მხოლოდ ევროპელების: შეკრებას ამერიკელებიც, ნბა-ს კლუბ „დალას მავერიქსის" წარმომადგენლებიც დაესწრებიან.

ამგვარი შეკრებების სარგებლიანობას და მნიშვნელობას საქართველოს ნაკრების კაპიტნის, ვახტანგ ნაცვლიშვილის მაგალითიც გვიდასტურებს. ვატო ორიოდ დღის წინ დაბრუნდა ბუდაპეშტის საერთაშორისო შეკრებიდან და ხელს რამდენიმე ძლიერი კლუბის სარფიანი წინადადებებიც გამოაყოლა.

ერთი სიტყვით, ქართველებმა ტანი ავიყარეთ და საერთაშორისო ბაზარზეც დავფასდით.

იხილეთ მეცხრე გვერდი



ნიკა ცქიტიშვილი

# გიორგი ფიურტელი

*„ვიტ ჯორჯიაში" დაიწყო ეს სეზონი გიორგი დეკანოსიძემ, მანამდე თსუ-ში თამაშობდა. უფრო ადრე კი თექვსმეტ და თვრამეტწლამდელთა ნაკრებებში გამოდიოდა...*

*სუსტი აღნაგობის, გალეული, მაგრამ ტექნიკური, მოაზროვნე და შემოქმედი — ასეთ დახასიათებას დეკანოსიძეს არავინ დაამადლის, მაგრამ ჩვენს ჩემპიონატში სახელდაგდებული ფეხბურთელი არ გამხდარა, ვერ მოასწრო და იმიტომ...*

*მეთორმეტე ეროვნულის საშემოდგომო ეტაპის დამთავრებისთანავე გიორგის და „ვიტ ჯორჯიას" გზები გაიყარა. დეკანოსიძეს მეორე ბუნდესლიგის „ფიურტმა" ექვსთვიანი კონტრაქტი გაუფორმა...*

*სეზონი დამთავრდა, გიორგი შინ დაბრუნდა, მხოლოდ ერთი წუთი ათამაშეს ჩვენებური მეორე ბუნდესლიგაში, თუმცა დეკანოსიძეს ყველაფერი წინ აქვს, ტალანტია და ზრდისთვის შესაფერის ქვეყანაში და კლუბშია...*

*მაშ ასე, 20 წლის გიორგი დეკანოსიძე ფიურტულ ამბებზე...*


გიორგი დეკანოსიძე (ბურთით) „ფიურტით" და ფიურტელებით კმაყოფილია

## ბავარია უმიუნხენოდ

თავიდან სასტუმროში დამაბინავეს. მერე ანთალიაში წავედით შეკრებაზე და იქიდან დაბრუნებულს უკვე ბინა მიქირავეს — სამსართულიანი კერძო სახლის მთელი ბოლო სართული.

ფიურტი პატარა ქალაქია. ხალხი ძირითადად კერძო სახლებში ცხოვრობს, დიდ შენობებს იშვიათად შეხვდებით. ნიურნბერგიც იქვეა და ქალაქიდან ქალაქში ისე გადახვალ, ვერც კი შეატყობ — ფიურტსა და ნიურნბერგს არაფერი ჰყოფს. „ფიურტი" — „ნიურნბერგის" მატჩები ნამდვილი დერბია. ორივე წრის შეხვედრები ნიურნბერგში ტარდება, რადგან ფიურტის ოციათასიანი სტადიონი გულშემატკივარს ვერ იტევს. თუმცა მომდევნო სეზონიდან ნიურნბერგი პირველ ბუნდესლიგაში ითამაშებს.

ორივე ქალაქი ბავარიის მთებითაა შემორტყმული. ფიურტში განსაკუთრებული არაფერია, ნიურნბერგი კი ძალიან ლამაზია როგორც ძველი, ისე თანამედროვე იერსახით.

თითქმის ნახევარი წელი დავყავი ბავარიაში, მაგრამ ფიურტიდან 130 კილომეტრზე დაშორებულ მიუნხენში ჩასვლა ვერ მოვახერხე. ვინმეს რომ შემოეთავაზებინა, აუცილებლად გავყვებოდი, მაგრამ... თანაც მანქანა არ მყავს. მისი შეძენა პრობლემა არ არის, კლუბიც კი გამომიყოფდა მანქანას, მაგრამ მართვის მოწმობა ვერ ავიღე. ამისთვის სპეციალურ კურსებზე სიარულია საჭირო. ვეცადე, როგორმე გამეგებინებინა, ფეხბურთელი ვარ, დრო არა მაქვს, ჰოდა, ორმაგს გადავიხდი და მართვის მოწმობა მომეცით-მეთქი, მაგრამ მიპასუხეს, ორმაგიც რომ გადაიხადო, პირველადი დახმარების შესახებ რვასაათიან ლექციას თუ არ მოისმენ, მძღოლის ლიცენზიას ვერ ეღირსებიო.

## ზანგები და ქალები

მეგობრული გუნდია „ფიურტი", თუმც გერმანელ ფეხბურთელებთან თავიდან ჭირს ურთიერთობა, ისინი რაღაც თავისებურები არიან, ხოლო ზანგები, როგორც კი გუნდში მივედი, მყისვე ჩემსკენ გამოემართნენ, გამეცნენ და დამიმეგობრდნენ. კამერუნელი კიოიო, განელი ლამფატი, ნიგერიელი ონვიოცურიკი და ტუნისელი რუიზი — ისინი ხან შინ მეპატიჟებოდნენ, ხან რესტორანში, სახლშიც მაკითხავდნენ და ვარჯიშზე ერთად მივდიოდით. ჩვენთან იყო ბერძენი იონას ამანატიდისიც, რომელიც „შტუტგარტმა" გაანათხოვრა „ფიურტში".

ფიურტში თითქმის ყველა ფენის და პროფესიის ხალხი ცხოვრობს. ცენტრში ძირითადად თურქები ირევიან, მსხვილი ბიზნესმენები კი ნიურნბერგში.

ენის არცოდნა ძალიან მაბრკოლებდა. ინგლისური კარგად ვიცი, აფრიკელი ლეგიონერებიც ფლობენ ინგლისურს, მაგრამ სხვა თანაგუნდელების და მწვრთნელის არაფერი მესმოდა. თანაც მარტო აქამდე არასდროს მიცხოვრია. ერთი სიტყვით, თავიდან გამიჭირდა, მაგრამ მერე გერმანულში მომზადებაც დავიწყე და იქაურობასაც თანდათან შევეჩვიე.

თავისუფალ დროს რესტორანში ან დისკოთეკაზე დავდივარ. ძალიან კარგი სიტუაციაა, ახალგაზრდები მშვენივრად ერთობიან. არ არსებობს, რომ ვიღაცამ ვიღაც დაჭრას და იჩხუბოს, ყველანი კეთილგანწყობილები არიან, იცინიან. გერმანელი ქალების გარეგნობით დიდად ვერ მოვიხიბლე, მაგრამ მათთან ურთიერთობაში პრობლემა არაა. გერმანელი გოგონები, კაცებთან განსხვავებით, გაცილებით უშუალონი არიან. და საერთოდ, ხალხი ფიურტსა და ნიურნბერგში ძალიან თბილია, ყურადღებიანი და გულისხმიერი. ოჯახი, რომლის მდგმურიც ვარ, გადაყოლილია ჩემზე, დიასახლისი სარეცხსაც კი მირეცხავდა. საქართველოდან ჩასულს ყოველივე ეს მკვეთრად მოგხვდება თვალში, რაც, ალბათ, ცხოვრების დონითაა განპირობებული...

## დაისლერიც მაგარია...

ბავარიელები, მათ შორის ფიურტელები და ნიურნბერგელები, ამაყობენ მიუნხენის „ბაიერნით", ბევრი გულშემატკივარი ჰყავს ამ დიდ გუნდს, მაგრამ ამავე დროს უკმაყოფილონიც არიან — „ბაიერნი" დაცვით ფეხბურთს თამაშობს, ხოლო მისი ხელმძღვანელობა ძუნწია, ფული ბევრი აქვს და ვარსკვლავებს არ ყიდულობსო. განსაკუთრებით ული ჰიონესი არ მოსდით თვალში. პირველი კაცი კი შტეფან ეფენბერგია. თვით ფრანც ბეკენბაუერმა თქვა, ეფენბერგს გუნდში ყველაზე დიდი ავტორიტეტი აქვს, თანაგუნდელებს ყველაზე უფრო მისი სჯერათო. ეფენბერგი მართლაც ყურადღების ცენტრშია. ხშირად ჟურნალისტები მწვავე შეკითხვებს აძლევენ, მაგრამ ეფენბერგი შეუვალია, შეტევას შეტევით პასუხობს. პირადად მეც ვთვლი, რომ ეფენბერგი გერმანიაში ახლა საუკეთესო ფეხბურთელია, ისე, სებასტიან დაისლერიც მაგარია...

„ფიურტს" რამდენიმე სპონსორი ჰყავს, ყველაზე მეტ ფულს „მარტინ ბაუერი" ხარჯავს. კლუბის პრეზიდენტი ჰელმუტ ჰაკიც ამ კომპანიის კაცია. „ფიურტის" ფინანსურად არაფერი უჭირს.

## ლუდი ლიმონათია

„ფიურტის" მთავარი მწვრთნელი უვე ერკენბრახერი კარგი პიროვნებაა, მასთან ნორმალური ურთიერთობა მაქვს. „ფიურტის" პირველი გუნდის განაცხადში სულ ოთხჯერ შემიყვანა, მაგრამ უნდა ვაღიარო, მეორე ბუნდესლიგაში სათამაშოდ მზად მართლაც არ ვიყავი. პირველ რიგში იმიტომ, რომ ფიზიკურად მოვიკოჭლებ. „ფიურტის" მეორე გუნდში კი სისტემატურად ვთამაშობდი ჩემს პოზიციაზე, თავდამსხმელების უკან. ექვსი გოლი გავიტანე, ჯარიმების და კუთხურების შესრულება მე მევალებოდა. მატჩები კვირაობით გვიწევს, მეორე დღეს მაინც ვვარჯიშობთ, თავისუფალი დღე სამშაბათია.

ლუდი ძალიან უყვართ. თამაშის მერე ავტობუსშივე მოაქვთ. ყველა მიირთმევს ჩემს გარდა, არ მიყვარს და რა ვქნა. თანაგუნდელები კი გაკვირვებულები არიან, ვერ წარმოუდგენიათ, ლუდს რომ არ ვეტანები, ლუდი ალკოჰოლი კი არა, ლიმონათიაო, მარწმუნებდნენ. თანაც გუნდის ერთ-ერთი სპონსორი ლუდის მწარმოებელი ფირმა „ტუხერია". მე კი ლუდს ძალიან იშვიათად თუ დავლევ, ისიც ცოტას, ნაირ-ნაირი ხილის წვენები მირჩევნია.

დისციპლინის დარღვევაზე, რა თქმა უნდა, ჯარიმებია. ერთხელ მთელი გუნდი თეატრში წაგვიყვანეს. ჩემი იქ წასვლაც აუცილებელი შეიქნა, თორემ ჯარიმას ვერ გადავურჩებოდი. ენის არცოდნის გამო კი სპექტაკლის ყურებიდან რა სიამოვნებას მივიღებდი, ხომ წარმოგიდგენიათ...

„ფიურტთან" კონტრაქტი ერთი წლით გავაგრძელე. შემპირდნენ, მომავალ სეზონში უფრო მეტი შანსი გექნება პირველი გუნდის ძირითადში დამკვიდრდეო. ნაკლზეც მიმითითეს, ფიზიკურად უნდა მოღონიერდე, შეეცადე ცოტა წონაშიც მოიმატოო. იმედია, ყველაფერი კარგად იქნება, უკმაყოფილო ჯერ არაფრით ვარ.

## ერთი წუთის ისტორია

პირველ კონტრაქტს ხელს რომ ვაწერდი, კლუბის ვიცე-პრეზიდენტმა დაიჩემა, დეკანოსიძე ძალიან გრძელი გვარია და ქართველმა რაიმე მოკლე სახელი დაირქვას, მაისურაზე რომ მივაწეროთო. ვუთხარი, მაისურს „დეკა" დააწერეთ-მეთქი. ახლობლები ხომ მართლა ასე მომმართავენ. მაგრამ ახლა, შვებულებით შინ რომ ვბრუნდებოდი, მოვითხოვე, ჩემი გვარი სრულად დააწერონ მაისურზე. გაუკვირდათ და დამყაბულდნენ.

არადა, ასეთი მოთხოვნის საფუძველი მართლაც მქონდა, როცა „როიტლინგენთან" მატჩში ჯერჯერობით ერთადერთი წუთი ვითამაშე მეორე ბუნდესლიგაში (90-ე წუთზე შეცვლაზე შევედი), სტადიონის დიქტორმა გერმანიაში არსებული წესისამებრ ჩემი სახელი გამოაცხადა და ხალხმა დეკანოსიძე დაიძახა...

**დავით თავართქილაძე**

# ბრეგის დიეტა ციურიხში

## ჯამარაულსა და ყაველაშვილს მწვრთნელი შეეცვალათ

შვეიცარიაში გოჩა ჯამარაულისა და მიხეილ ყაველაშვილის „ციურიხმა" მწვრთნელი გამოიცვალა. კლუბის დირექტორთა საბჭომ განვლილი სეზონის მონაგარი ჟილბერ გრესს არადამაკმაყოფილებლად შეუფასა და დაითხოვა.

კლუბის თავკაცები გრესს თავიდანვე უწუნებდნენ შედეგს. შვეიცარიელ სპორტულ მიმომხილველთა აზრით კი, „ციურიხს" ყველაფერი გააჩნდა, რათა პრიზიორთა შორის მოხვედრილიყო. გრესის გადაყენების ერთადერთ მიზეზად სწორედ ეს მოიხსენიება. კლუბში ბევრიც არ უფიქრიათ, გუნდი გასაწვრთნელად ჩააბარეს შვეიცარიის ნაკრების ყოფილ მოთამაშეს ჟორჟ ბრეგს, რომლის სამწვრთნელო კარიერაზე ბევრი არაფერია ცნობილი.

„ციურიხის" პრეზიდენტი ბრეგის დანიშვნამდე მილანის „ინტერის" აწ უკვე ყოფილ მწვრთნელს, მარკო ტარდელის შეხმიანებია და გუნდის თავკაცობა შეუთავაზებია, მაგრამ, შვეიცარიელ ჟურნალისტთა ცნობით, ტარდელიმ შვეიცარიაში წასვლა იუარა.

**დათო დანელია**

# ახალი ცხენი ძველ გზაზე

მეცამეტე ჩემპიონატისთვის სამზადისს თბილისური „მერანი" დღეს შეუდგება. კლუბის თავკაცთა მოთხოვნები თითქმის ძველებურია, ექვსეულში მოხვედრა. მერე შესაძლებლობების მიხედვით, ავჭალელები არც პრიზიორობაზე იტყვიან უარს და არც თასზე.

ახალი სეზონიდან ქომაგები ალბათ განახლებულ „მერანს" იხილავენ. კლუბის წარმომადგენელთა თქმით, გუნდს სავარაუდოდ ექვსი-შვიდი ფეხბურთელი დატოვებს, კონკრეტული გვარების დასახელებისგან თავი შეიკავეს. წამსვლელ-დამრჩენთა ამბავი უახლოეს მომავალში გაირკვევა.

დღეისთვის მხოლოდ ერთია ცნობილი, „მერანიდან" ალბათ მცველი დავითნიძე წავა. გიორგი რკინიგზელებთან ერთად ვარჯიშობს და „ლოკომოტივის" ხელმძღვანელობასთან აწარმოებს მოლაპარაკებას.

ავჭალელები სეზონისთვის მზადებას ძირითადად თბილისში აპირებენ. ჩემპიონატის მოახლოებამდე კი ორკვირიან შეკრებასაც მოაწყობენ ქალაქგარეთ.

**დათო დანელია**


მერაბ მალაღურაძე

# მერაბ, შეცდი

## ლატვიელი მწვრთნელი მალაღურაძეს დაემდურა

**ირლანდიური** „კორკ სიტისა" და ლატვიური „მეტალურგსის" მატჩმა რატომ უნდა დააინტერესოს ფეხბურთის ქართველი ქომაგი? ალბათ, იმიტომ, რომ მათი ორთაბრძოლა ქართველმა მერაბ მალაღურაძემ იმსაჯა?!

ინტერტოტოს თასის პირველი ეტაპის ის მატჩი ლატვიელთა გამარჯვებით დასრულდა. „მეტალურგსის" მწვრთნელი ანატოლი შელესტი თითქოს კმაყოფილი უნდა იყოს. მისმა გუნდმა სტუმრად 1:0 მოიგო და მომდევნო ეტაპზე მოხვედრაც თითქმის გაინაღდა.

დაბრუნდა შელესტი შინ ლატვიაში და იქაური ჟურნალისტების წინაშე წარსდგა. მოჰყვა მწვრთნელი, თუ როგორი გამოცდა მოუწყვეს ირლანდიელებმა მის ბიჭებს, როგორ ასახელეს ლატვია მისმა დამოძღვრილებმა. რა თქმა უნდა, ანატოლი შელესტმა მსაჯობაზეც ილაპარაკა.

„მერაბ მალაღურაძემ მცველი გაგვიგდო და ჩვენს კარში პენალტი დანიშნა. მსაჯის გადაწყვეტილება იმ მომენტში სამართლიანი გახლდათ, მაგრამ აუცილებლად უნდა აღვნიშნო პირველი ტაიმში მისი უვარგისი მსაჯობა. მალაღურაძემ მასპინძელთა კარში სამი ასპროცენტიანი პენალტი არ დანიშნა. ჯერ იყო და ირლანდიელმა მცველმა, ჩვენი შეტევა რომ ჩაეშალა, საკუთარ საჯარიმოში ბურთი ხელით დაიჭირა. მერე ჩვენს ფორვარდებს აშკარად ეუხეშნენ, მაგრამ მსაჯის სასტვენი დუმდა. მერაბი არ იყო მართალი, თუმც „კორკ სიტის" ამან ვერ უშველა".

17 ივნისის ინტერვიუში, რომელიც ანატოლი შელესტმა მიხაილ კოროლიოვს მისცა, მსაჯობაზე მეტი არაფერია ნათქვამი.

რა და როგორ იყო სინამდვილეში, ამას, ალბათ, მაშინ შევიტყობთ, როცა სამსაჯო კომიტეტის ხელმძღვანელი ანატოლი მილჩენკო უეფასგან მერაბ მალაღურაძის განსჯილი მატჩის არბიტრისეულ შეფასებას მიიღებს. უეფას ასეთი რამეები არ ეშლება.

**დათო დანელია**


**იყიდება**

ოროთახიანი სუფთა ბინა 30 კვ. მ. მიშენებით.
დიღმის მასივი, IV კვარტალი, მე–19 კორპუსი,
პირველი სართული. ფასი შეთანხმებით



**ტელ: 397 198. 959 032. 8 77 428283**


**ჰოლანდია**

პლეი ოფი. A ჯგუფი. VI ტური
ვოლენდამი 2:1 ტელსტარი
სიტარდი 1:2 ზვოლე

**შვედეთი**

მალმიო 0:1 ჰელსინგბორგი

# სულერთია, მსხვერპლი ორია: ჩივაძე და ნაკრები



ვალერი ჩოლარიამ და მერაბ ჟორდანიამ გამოსავალი იპოვეს: ალექსანდრე ჩივაძე

**ასეთი** მხოლოდ საქართველოში შეიძლება მოხდეს. ამ ქვეყანაში თითქმის არავინ სწავლობს სხვის შეცდომებზე. აქ დაკანონებულია მხოლოდ საკუთარი შეცდომების შემდეგ ვითომ გონზე მოსვლა და... ისევ შეცდომები.

თითქოს კიდევ რაღამ უნდა გაგვაკვირვოს, კიდევ რაღა უნდა მოხდეს ქართულ ფეხბურთში ისეთი, რომ გაოცებისგან ხელები გაშალო, მაგრამ ფეხბურთის ფედერაცია ყოველდღე დგამს ისეთ ნაბიჯებს, რომ...

...ეროვნული გუნდის ერთი თავკაცი თავისი ნებით წავიდა, მეორე ფედერაციამ გაუშვა. ალბათ, ეს იყო ქართული ფეხბურთის თავკაცთა ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება, მაგრამ დღემდე ვერ ვეღირსეთ იმის აღიარებას, რომ წელიწადნახევრის წინ მიღებული „ბრძნული" გადაწყვეტილება ჩვენი ფეხბურთისთვის დამაქცევარი აღმოჩნდა.

და დღეს ჩვენი ფეხბურთის ჩინოვნიკები ახლოს, ძალიან ახლოს არიან მორიგ მცდარ ნაბიჯთან. ის კი არა, შეგნებულადაც მიდიან მრუდე გზისკენ. ის გზა, დარწმუნებული ვარ, მომდევნო შესარჩევ ციკლსაც ბითურობად აქცევს.

დღეს ფეხბურთის ფედერაცია დაჟინებით მოითხოვს ფედერაციისვე ვიცე-პრეზიდენტისგან, ეროვნულ გუნდს უხელმძღვანელოს. მერაბ ჟორდანიას თქმით, ფედერაცია ალექსანდრე ჩივაძეს მწვრთნელობას არ აიძულებს, მაგრამ ყველაფერს აკეთებენ, რათა დაითანხმონ.

*„თუ არგენტინიდან დაბრუნების შემდეგ მწვრთნელი ვერ დავნიშნეთ, მაშინ, ალბათ, ამ სამ შესარჩევ მატჩს ეროვნული გუნდი ალექსანდრე ჩივაძის ხელმძღვანელობით ჩაატარებს.*

*— თავად თანახმაა?*

*— არა, კატეგორიული წინააღმდეგია.*

*— აბა, რა გამოდის? აიძულებთ მწვრთნელობას?*

*— იძულებით არა, მაგრამ ის ხომ ფედერაციის თანამშრომელია, ჩვენი გუნდის წევრია და საერთო საქმისთვის აჯობებს, ნაკრები დროებით მან ჩაიბაროს".*

***„სარბიელი". 19 ივნისი, 2001***

არ ვიცი, ვის როგორ ჰგონია, მაგრამ ეს უკვე იძულებაა. თუ ასე გაგრძელდა, ალბათ, ალექსანდრე ჩივაძე დათანხმდება, გაწვრთნას ნაკრები. ჰოდა, კონკრეტული პირის პასუხისმგებლობის საკითხიც გაქრება. ფედერაციას ნაკრების ყველაზე უარესი (ამაზე ცუდიც რა უნდა იყოს) შედეგის შემთხვევაში თავის სამართლებელი ერთი შანსი ყოველთვის დარჩება. ვერც ჩივაძეს გაამტყუნებს ვერავინ. ან პასუხს ვინ მოსთხოვს კაცს, რომელსაც ძალად უპირებენ გამწვრთნელებას. ჰოდა, მონასტერიც ისე აირევა, რომ დიდი ხანი ვერავინ დაალაგებს.

კარგი, იმაზე არაფერი ვთქვათ, რომ ასეთი გადაწყვეტილებით ფედარაცია უკვე განვლილ, დაწუნებულ გზას უბრუნდება. ალექსანდრე ჩივაძეს აქამდეც არაერთხელ შესთავაზეს მწვრთნელობა, საკლუბო და სანაკრებო დონეზეც, მაგრამ იგი პრინციპულად უარით ისტუმრებდა ყველას. ალბათ, იმიტომ, რომ მან ერთხელ უკვე გამოსცადა...

თუ ფეხბურთის ფედერაცია მხოლოდ ციკლის დასრულებაზე ფიქრობს და მხოლოდ ამაზე რომ ფიქრობს, მათი ნათქვამიდანაც ჩანს, მაშინ ახალი მწვრთნელის დანიშვნა სულაც არ გახლავთ აუცილებელი. ეროვნულ გუნდში დარჩა ოთარ გაბელია და ბიჭებისთვის ორი სიტყვის თქმა გაუჭირდება.

შეიძლება ვცდები, ფედერაციას ყველაფერი სწორად აქვს დაგეგმილი, ევროპის ჩემპიონატის წილისყრას ველით, თუ ძლიერ მეტოქეებთან „დავჯგუფდით", ფული საკმაოდ შემოგვივა და ავტორიტეტული, ძვირადღირებული მწვრთნელის მოწვევის შანსიც გაგვიჩნდებაო. ვთქვათ და, ასე არ მოხდა, მაშინ ისე გამოვა, ჩვენთვის ძვირფას დროს, ივნისიდან ოქტომბრამდე სამ თვეს, აქტიური საფეხბურთო სეზონის ერთ მეოთხედს ქარს გავატანთ. ჰოდა, იმ საშუალო ევროპული დონის სპეციალისტის მოწვევა, რაც ფედერაციას, პრეზიდენტ მერაბ ჟორდანიას თქმით, ახლავე შეუძლია, ნაგვიანევი იქნება. ერთი სიტყვით, გვაქვს კი იმის უფლება, ეს სამი თვე ნაკრების ფეხზე წამოყენებას არ მოვახმაროთ?!

მოდით, შევწიროთ ივნისის დარჩენილი დღეები სასურველი კანდიდატურის ძიებას. მერე ჩააბარეთ ნაკრები ნორმალურ უცხოელს და მომდევნო შესარჩევისთვის გუნდი გვეყოლება. რა თქმა უნდა, თუ იმ უცხოელს სავარჯიშო მოედანი სადმე დასაკარგავში არ ექნება საძებნი. გაუხერხონ ნორმალური სავარჯიშო პირობები და საკონტროლო მატჩები. ისეთი, ნაკრებს რომ გამოაწრთობს და არა ის, რასაც ათი წელიწადია, შევცქერით. დაახმარონ პატიოსანი კონსულტანტები, რათა სტუმარი დროულად გაერკვეს ეროვნულ ჩემპიონატში მოთამაშე ფეხბურთელთა შესაძლებლობებში და არა ისეთები, ყოველ ნაბიჯზე მახეს რომ დაუგებენ.

მაშინ ვიტყვით, რომ ფეხბურთის ფედერაცია მართალი გზით მიდის. არ ცდილობს, პასუხისმგებლობის თავიდან ასაცილებლად ვინმეს სახელი შეიწიროს. დღეს ასე გამოდის — ვითარების განსამუხტად მსხვერპლია საჭირო, არჩევანი ორია — ჩივაძე ან ნაკრები!

**გამუკა ძგანტალიანი**



იცისრებს ალექსანდრე ჩივაძე (მარცხნივ) ნაკრების მწვრთნელობას?

# ტორპედოს სალიგოდ ძოძუაშვილი გაწვრთნის

## ყიფიანი ქუთაისს გარედან შეხედავს



რევაზ ძოძუაშვილმა და „ტორპედომ" სალიგო სამზადისი დაიწყეს

*ზეგ, 22 ივნისს მოეწყობა ევროპის საკლუბო ტურნირების წილისყრა, რომელიც ჩემპიონთა ლიგის და უეფას თასის გათამაშების საკვალიფიკაციო ეტაპებზე სამი ქართული კლუბის — „ტორპედოს", „ლოკომოტივის" და „დინამოს" მეტოქეებს დაასახელებს.*

*წინა წელთან განსხვავებით, როცა ჩვენი ჩემპიონი „ტორპედო" ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპიდან ჩაერთო გათამაშებაში და, გეხსომებათ, ორი შეხვედრის (0:4 და 2:0) ჯამში იუგოსლავურ „ცრვენა ზვეზდას" დაუთმო სარბიელი, ამჯერად ქუთაისელებს საწყისი ეტაპიდან მოუწევთ ბრძოლა და პირველი მატჩის თარიღიც არც ისე შორსაა — 11 ივლისამდე ხომ სამი კვირაა დარჩენილი.*

*მეთორმეტე ეროვნულში გამარჯვების და ქვეყნის თასის დაუფლების შემდეგ მოკლევადიანი შვებულება ერგოთ ტორპედოელებს. მართალია, არასრული შემადგენლობით, მაგრამ გუნდი უკვე 11 ივნისს შეიკრიბა და მას მერე მშობლიურ ქალაქში გადის წვრთნას.*

*რამდენიმე დღე გუნდს თავკაცთა დუეტის გარეშე მოუწია ვარჯიში. ცნობილი (ეროვნულ ნაკრებში საქმიანობასთან დაკავშირებული) მიზეზების გამო „ტორპედოს" მხოლოდ გუშინწინ შეუერთდა ერთ-ერთი მთავარმწვრთნელთაგანი რევაზ ძოძუაშვილი, მეორეს — დავით ყიფიანს, დედაქალაქიდან ჩამოსვლა დაუგვიანდა.*

*რევაზ ძოძუაშვილს გუშინ ვარჯიშის შემდეგ სახელდახელო ინტერვიუ ვთხოვეთ.*

**— „ტორპედო" ლამის განახევრებული შემადგენლობით ვარჯიშობს...**

— საქმე ის არის, რომ ნაკრების წევრებს დასვენების საშუალება მივეცით. ორ დღეში ყველა შეიკრიბება და სრულფასოვან წვრთნას შევუდგებით.

**— გუნდიდან ხომ არავის უშვებთ, ან ახალი მოთამაშეების დამატებას ხომ არ აპირებთ?**

— არ მინდა წინასწარ რაიმეს თქმა. ჩატარდება წილისყრა და, თუ სურვილი გექნებათ, ვრცლად მერე ვისაუბროთ. ჩვენი მთავარი ამოცანა ახლა ისაა, რომ ინტენსიურად ვივარჯიშოთ და მომზადებული შევხვდეთ ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპს.

მართალია, რამდენიმე ფეხბურთელი მივავლინეთ უცხოეთში გასინჯვაზე, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ იქ მათ დაიტოვებენ. სალიგოდ ფეხბურთელების დამატება კი ურიგო არ იქნება. ვმუშაობთ კიდეც ამაზე. ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილე გუნდებიდან გვსურს ორი-სამი მოთამაშის მოწვევა.

**— წვრთნას ქუთაისში გაივლით თუ უცხოურ შეკრებას გეგმავთ?**

— ვნახოთ. ყველაფერი წილისყრაზე იქნება დამოკიდებული. თუ სომხეთის ან აზერბაიჯანის გუნდი შეგვხვდა, უცხოურ შეკრებას აზრი ეკარგება. თუმცა, ამ საკითხს გუნდის მწვრთნელთა საბჭოზე გადავწყვეტთ, როგორც აჯობებს, ისე მოვიქცევით.

**— დავით ყიფიანი როდის აპირებს ქუთაისში ჩამოსვლას?**

— დათო, ალბათ, ხვალ ჩამოვა.

**— თქვენ და ყიფიანს ნაკრებიდან წასვლა მოგიწიათ. „ტორპედოში" როგორ გაინაწილებთ ახლა ფუნქციებს?**

— ფუნქციები გაიყოფა: გუნდს ჩემპიონთა ლიგისთვის მე მოვამზადებ და შედეგზეც მე ვარ პასუხისმგებელი. დათო უფრო გარედან მოგვაქცევს ყურადღებას. მერე ვნახოთ. ისე, ჩვენ ორივენი ერთი გუნდის წევრებად ვრჩებით.

**— ვიცით, რომ ლატვიაში გეპატიჟებიან.**

— კი, არის წინადადებები, მაგრამ მე არ მაქვს წასვლის უფლება. ჯერ ერთი, ლიგისთვის უნდა მოვამზადო გუნდი და მეორე, „ტორპედოსთან" კონტრაქტი მაკავშირებს. თუ ჩემი მუშაობა არ დააკმაყოფილებს კლუბის მესვეურთ, სხვა საქმეა.

**— „ტორპედოსთან" კონტრაქტი რამდენწლიანია?**

— ორწლიანი კონტრაქტია.

**— ესე იგი ვრცლად სასაუბროდ წილისყრას დაველოდოთ?**

— გპირდებით, რომ არაფერს დაგიმალავთ.

ბოლოს კი იმასაც გაუწყებთ, რომ ქუთაისელი ფეხბურთელები კახა ჩხეტიანი და რევაზ კვერნაძე ამჟამად უნგრეთის თასის მფლობელ „დებრეცენში" ისინჯებიან. რაც შეეხება საშუასეზონო პერიოდში „დინამოდან" მოსულ ირაკლი ვაშაკიძეს და პაატა ჯინჭარაძეს, „ტორპედოს" მათი რუსეთის უმაღლესლიგელ სარატოვის „სოკოლში" გასხვისება აქვს განზრახული.

**იუზა ბაციტაძე ქუთაისიდან**

# კახა კალაძე: მცველიც, საყრდენიც, მეგოლეც...



კახა კალაძე — „მილანის" ახალბედა ლიდერი

**კვირას** სეზონი დამთავრდა მსოფლიოს ყველაზე ელიტარულ ლიგაში — იტალიის სერია A-ში. კახა კალაძის „მილანმა" ბოლო ტურში ბოლოჯერ ითამაშა ჩეზარე მალდინის ხელმძღვანელობით, სტუმრად „რეჯინასთან" 1:2 წააგო და ტურნირი მეექვსე ადგილზე დაასრულა, რაც თანაქალაქელ „ინტერთან" და თასის მფლობელ „ფიორენტინასთან" ერთად შემოდგომიდან უეფას თასზე თამაშის უფლებას აძლევს.

მილანელთაგან გოლი კახა კალაძემ გაიტანა. მან 70-ე წუთზე გახსნა ანგარიში, მაგრამ მომდევნო თორმეტ წუთში მორაბიტომ და და კოშტამ ორით უპასუხეს და მასპინძლებმა გაიმარჯვეს. მამა მალდინი ქართველის თამაშით კმაყოფილი დარჩა, ამიერიდან კი „როსონერებს" თურქი ფათიჰ თერიმი გაწვრთნის.

საინტერესოა, რომ კალაძემ სერია A-ში, პირველად წლეულს, 4 თებერვალს, სწორედ „რეჯინას" წინაალმდეგ ითამაშა. სეზონის ბოლოს კი 17 მატჩში 3 გატანილი გოლი მოუგროვდა, რაც მისი ყაიდის, თანაც ახალბედა ფეხბურთელისთვის ურიგო შედეგი არ არის. ერთი ჩემპიონატის განმავლობაში მეტი ბურთი მას კიევის „დინამოშიც" არ გაუტანია. თუმცა უკრაინულ კლუბში ძირითადად დაცვაში თამაშობდა, „მილანში" კი რა პოზიციაზე აღარ გამოსცადეს. ჯერ კიდევ ალბერტო ძაკერონის მწვრთნელობისას ხან დაცვის ცენტრში ათამაშეს, ხან საყრდენად და ხანაც ნახევარდაცვის შუაში. ჩეზარე მალდინი ქართველზე ამბობდა: „კალაძე ჩვენი გუნდისთვის ძალიან მნიშვნელოვანი მოთამაშეა. საქმეს კარგად ართმევს თავს, მიუხედავად იმისა, რომ ხშირად უჩვეულო ფუნქციის შესრულებას ვავალებთ. სამწუხაროდ, ნახევარდაცვაში გვიჭირს და კალაძეს ხან ალბერტინის, ხან ამბროზინის და ხან ჯერაც მოუშუშებელი რედონდოს საქმეების კეთება უხდება".

კახამ დიდი გამოცდა თავის მეოთხე მილანურ მატჩშივე ჩააბარა, როცა იუვენტუსელ ზინედინ ზიდანს პერსონალურად ეთამაშა და სანამ დაშავდებოდა, ფრანგს მინდორზე ღირებული არაფერი გაუეთებია: „კალაძემ ზიდანს ძალიან ეფექტური მეურვეობა გაუწია. ზიდანი, ფაქტობრივად, მაშინ ჩაერთო თამაშში, როცა ქართველი დაშავდა" — თქვა მერე ძაკერონიმ.

მოკლედ, ქართველი მილანურ ექსპერიმენტებში არ ჩაიკარგა და კლუბის ვიცე-პრეზიდენტ ადრიანო გალიანის ათქმევინა: „კახა მრავალმხრივი ფეხბურთელია. მას ერთნაირი სიძლიერით შეუძლია ნახევარდაცვის ცენტრში, სტოპერად და მარცხნივ თამაში".

აი, ასეთი იყო კალაძის პირველი იტალიური სეზონი. გაისად კი ეგებ რაიმე სერიოზულ მიღწევასაც გამოჰკრას ხელი.

უკრაინაში ორი გადადებული მატჩი გაიმართა. უმიქაძეო ცსკა-მ „მეტალისტს" მოუგო, ხოლო უკვე განწირული „ნივა" შინ ჩემპიონობისთვის მებრძოლ „შახტართან" 0:7 განადგურდა. აქ ჩვენთვის საინტერესო ის არის, რომ ორთვიანი შესვენების მერე ტერნოპოლელთა შემადგენლობაში კვლავ გამოჩნდა ტარიელ კაპანაძე, რომელიც გუნდიდან, ფაქტობრივად, უკვე წამოსული იყო, აგრეთვე ითამაშა ბულგარულ „ბოტევში" სულ რამდენიმე კვირით განათხოვრებულმა ავთანდილ გვიანიძემაც.

ლატვიაში კი კრიზისი დაეწყო ბოლო წლების უცვლელ ჩემპიონ რიგის „სკონტოს". არადა, ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო წრე კარსაა მომდგარი. რიგელები ევროშეჯიბრში პირველივე შესარჩევი ეტაპიდან ჩაერთვებიან, რომელიც 11 და 18 ივლისს გაიმართება.

სტარკოვის გუნდმა წინა კვირას სტუმრად „ვენტსპილსთან" წააგო, ახლა კი შინ „დაუგავასთან". ასეთი რამ ლატვიის ჩემპიონატში კარგა ხანია აღარ მომხდარა. „დაუგავასთან" ჩვენებურთაგან მხოლოდ მენთეშაშვილმა და კორღალიძემ ითამაშეს.

**სოლომონ გულისაშვილი**

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **იტალია** | | | | | | | | |
| სერია A | | | | | | | | |
| კახა კალაძე | მილანი | ს | რეჯინა 1:2 | 90 | 1 გოლი | 17 | 3 | 6 |
| **ესპანეთი** | | | | | | | | |
| პრიმერადივიზიონი | | | | | | | | |
| გიორგი დემეტრაძე | სოსიედადი | შ | ოსასუნა 0:1 | 42 | შეცვლაზე ითამაშა | 4 | 0 | 13 |
| **რუსეთი** | | | | | | | | |
| უმაღლესი ლიგა | | | | | | | | |
| ზაზა ჯანაშია | ლოკომოტივი | შ | ჩერნომორეცი 4:0 | 22 | შეცვლაზე ითამაშა | 12 | 3 | 4 |
| ვლადიმერ კაკაშვილი | ლოკომოტივი | შ | ჩერნომორეცი 4:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 4 |
| ოთარ ხიზანეიშვილი | სპარტაკი | ს | ანჟი 2:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 3 |
| ზურაბ ფოფხაძე | ალანია | შ | როტორი 3:1 | 0 | | 5 | 0 | 10 |
| თორნიკე რუხაძე | ალანია | შ | როტორი 3:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 10 |
| დავით ხმელიძე | როსტსელმაში | ს | ტორპედო 1:2 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 11 |
| პირველი ლიგა | | | | | | | | |
| ზვიად ჯელაძე | კრისტალი | ს | რუბინი 0:1 | 90 | | 8 | 0 | 9 |
| თენგიზ სიჭინავა | კრისტალი | ს | რუბინი 0:1 | 90 | | 10 | 0 | 9 |
| თეიმურაზ გადელია | კრისტალი | ს | რუბინი 0:1 | 60 | შეცვალეს | 9 | 1 | 9 |
| გიზო ჯელაძე | ბალტიკა | შ | ყუბანი 1:1 | 90 | გააფრთხილეს | 7 | 0 | 17 |
| იური გაბისკირია | სპარტაკი | ს | ვოლგარი 1:3 | 0 | | 7 | 0 | 7 |
| **უკრაინა** | | | | | | | | |
| უმაღლესი ლიგა | | | | | | | | |
| გოჩა ტრაპაიძე | ტავრია | | ტური გამოტოვა | | | 21 | 2 | 8 |
| ვასილ გიგიაძე | ტავრია | | ტური გამოტოვა | | | 18 | 5 | 8 |
| ავთანდილ კაპანაძე | ნივა | შ | შახტარი 0:7 | 0 | | 15 | 6 | 14 |
| ტარიელ კაპანაძე | ნივა | შ | შახტარი 0:7 | 90 | | 16 | 1 | 14 |
| ავთანდილ გვიანიძე | ნივა | შ | შახტარი 0:7 | 90 | | 10 | 2 | 14 |
| ლევან მიქაძე | ცსკა | შ | მეტალისტი 1:0 | 0 | | ? | 0 | 6 |
| **პოლონეთი** | | | | | | | | |
| უმაღლესი ლიგა | | | | | | | | |
| მამია ჯიქია | რუხი | ს | რაძიონკოვი 3:2 | 90 | | 22 | 1 | 8 |
| | რუხი | შ | გროცლინი 4:3 | 90 | | 23 | 1 | 6 |
| **ლატვია** | | | | | | | | |
| უმაღლესი ლიგა | | | | | | | | |
| ალექსანდრე რეხვიაშვილი | სკონტო | შ | დაუგავა 0:2 | 0 | | 6 | 1 | 2 |
| ზურაბ მენთეშაშვილი | სკონტო | შ | დაუგავა 0:2 | 65 | შეცვალეს | 5 | 0 | 2 |
| დავით ჩალაძე | სკონტო | შ | დაუგავა 0:2 | 0 | | 8 | 2 | 2 |
| ლევან კორღალიძე | სკონტო | შ | დაუგავა 0:2 | 32 | შეცვლაზე ითამაშა | 9 | 3 | 2 |
| გივი კვარაცხელია | სკონტო | შ | დაუგავა 0:2 | 0 | | 3 | 0 | 2 |
| თამაზ პერტია | რიგა | ს | ვალმიერა 1:1 | 0 | | 0 | 0 | 7 |

*შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში*

# გიორგი ჩიხრაძე: ყველაფერში დამნაშავე ყველაა

*...უკვე ვეტერანია, მაგრამ მუხლმაგარსა და გამოცდილს ძალა ბევრ ახალგაზრდაზე მეტად ერჩის. ევროპა და აზია მოუვლია, თავისი წილი უთამაშია, დღესაც თამაშობს და ალბათ, კიდევ ითამაშებს.*

*ახლა თბილისშია. შვებულება დიდხანს არ გრძელდება. ერთი თვალის დახამხამება და ისევ ბურთია საგორებელი.*

*სოხუმის „ცხუმის", უკრაინული „ტემპისა" და „შახტარის", თბილისის „დინამოს", „ლოკომოტივისა" და საქართველოს ნაკრების ყოფილი მცველი გიორგი ჩიხრაძე დღეს ისრაელის ბეიშანის „ჰაპოელის" ფეხბურთელია. თითქმის ერთი წელი მასზე არაფერი გვსმენოდა. შაბათს შემთხვევით შევხვდით და გავესაუბრეთ.*

— ისრაელის პირველ ლიგაში ვთამაშობ. პირობები ნორმალურია, დონე — აქაურზე ათჯერ მაღალი. ფეხბურთელმა იცის, რატომ და რისთვის თამაშობს. ჰოდა, ჩემნაირი კაცისთვის მეტი არაფერია საჭირო.

**— კარიერის დამთავრებას ხომ არ აპირებთ? გულდაწყვეტილი ჩანხართ.**

— არა, ჯერ თამაში კიდევ შემიძლია. უბრალოდ, იმ ასაკის არა ვარ, აღმა-დაღმა ვიწოწიალო. მინდა, დიდი ხნით მოვიკიდო სადმე ფეხი. ალბათ, ისრაელის ჩემპიონატშივე დავასრულებ კარიერას.

**— ბეიშანის „ჰაპოელი" პირველ ლიგაშივე ჩარჩა. არადა, უძლიერესთა შორის მოსახვედრად თითქმის ბოლო ტურამდე იბრძოდა.**

— პირადად მე ბოლო შეკრებაზე შევუერთდი გუნდს. აქ „ლოკომოტივთან" ერთად თასი მოვიგე და ისრაელში წავედი. გუნდში ბევრი კარგი ფეხბურთელი იყო, ლეგიონერებიც გვყავდა და საწყის ტურებში ვლიდერობდით კიდეც, მაგრამ მერე ზედიზედ ხუთი მატჩი ფრედ ვითამაშეთ და მესამე ადგილზე აღმოვჩნდით.

ხომ იცით, ასეთ დროს როგორ ხდება. შეიცვალა მწვრთნელი, გაუშვეს რამდენიმე ფეხბურთელი. მსგავსი სეზონის ბოლომდე კიდევ ერთხელ განმეორდა. ბოლოს პრეზიდენტიც გადადგა, კლუბი სხვამ ჩაიბარა. საჩემპიონო პლეიოფში კი გავედით, მაგრამ მეტი ველარ შევძელით.

**— ამპლუა ხომ არ შეგიცვალეს?**

— არა. თუ გუნდი სამი მცველით თამაშობდა, ცენტრალურის პოზიციაზე მამწესებდნენ. ყველა სხვა შემთხვევაში ლიბერო ვიყავი.

**— ისრაელში რომ რჩები, ფაქტია, გუნდის გამოცვლას ხომ არ აპირებ?**

— არის რამდენიმე წინადადება, რომელთა განხილვაც ღირს, მაგრამ მე და ჩემი მენეჯერი არ ვჩქარობთ. „ჰაპოელთან" ერთწლიანი კონტრაქტი კიდევ მაკავშირებს. არც კლუბში დარჩენას გამოვრიცხავ და არც გუნდის შეცვლას. მოკლედ, ყველაფერი იმ პირობებზეა დამოკიდებული, რასაც შემომთავაზებენ.

**— საქართველოში არ დაბრუნდებით?**

— მეხუმრებით? აქ ხომ არც დარბიან. არავინ იბრძვის და... საქართველოში ახალგაზრდები ითამაშებენ.

**— კი მაგრამ, იმ ახალგაზრდას მაგალითის მიმცემი ხომ უნდა ჰყავდეს ვინმე?**

— ახალგაზრდას მწვრთნელი უნდა ჰყავდეს და მონდომებული უნდა იყოს.

**— მერე?**

— მწვრთნელთა ნაკლებობაცაა, მათ განათლებაზე ფედერაციამ უნდა იზრუნოს.

**— ნაკრები რომ უსუსური გვყავს, ამაზე ვინ აგოს პასუხი?**

— ყველამ. თქვენ გგონიათ, ცალკეულ რგოლს ან პიროვნებას ვაბრალებ ყველაფერს?! არა, ყველა ერთადაა პასუხისმგებელი, ფედერაციაც, მწვრთნელიც და ფეხბურთელიც.

თითოეული რგოლის შეცვლა არაფერს მოიტანს. ქართული ფეხბურთის ორგანიზაციული, სტრუქტურული, მატერიალური და ფსიქოლოგიური მხარე უნდა გარდაიქმნას. ეს ერთი გრძელი ჯაჭვია და ერთი რგოლის არასწორ მუშაობასაც კი დისონანსი შემოაქვს. მიდი და იპოვე ის ერთი რგოლი. ევროპაში ამაზე ლამის მეცნიერები მუშაობენ. ჩვენთან კი რგოლი კი არა, რგოლებია მოშლილი. ნაკრებიც ამიტომ აგებს.

**— ნიჭიერი თაობა, ლეგიონერები არაფერს ნიშნავს?**

— ხომ ხედავთ, გაქრა თაობა. ჩემს თანატოლებს ვგულისხმობ. ჩვენ დავკარგეთ ჩვენი შანსი. უფრო მართალი ვიქნები, თუ ვიტყვი, რომ დაგვაკარგვინეს. ასე უსახელოდ ჩამოსაწერები არ ვიყავით, მაგრამ... ყველამ თავის გულში ჩაიხედოს. დღეს მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ ერთი შესარჩევი ციკლის დაძლევა მაინც შეიძლებოდა. ამასთან ყველაზე ახლოს ისევ დებიუტანტობის დროს ვიყავით. და იცით, რატომ? ჩემპიონატი გვქონდა უკეთესი, ახლანდელზე მაღალი დონის. ლეგიონერები რომ გვყავს, კარგია, მაგრამ სანამ ეროვნულ ჩემპიონატს არ ეშველება, მანამ ნაკრებიც სუსტი გვეყოლება.



გიორგი ჩიხრაძე (მარცხნივ) კარიერას ისრაელში დაასრულებს

**— მწვრთნელობაზე თუ გიფიქრიათ ოდესმე? თქვენი თაობიდან გუნდის მესაჭეობა რევაზ არველაძემ უკვე მოასწრო. კახა ცხადაძე კი „ლოკომოტივის" მწვრთნელი გახდა.**

— ღმერთმა ხელი მოუმართოთ. მე კი არა მგონია, მწვრთნელი გავხდე. ფეხბურთელობა და სხვადასხვა ქვეყნებში თამაში მწვრთნელობისთვის არ კმარა. ეს აქამდეც არაერთხელ დამტკიცებულა და კიდევ დამტკიცდება.

მწვრთნელი ფეხბურთის ღრმა მცოდნე, გამჭრიახი ტაქტიკოსი, პედაგოგი, ფსიქოლოგი უნდა იყოს, ამასთან, მტკიცე ხასიათის პიროვნება. ყველაფერ ამას კი ბევრი სწავლა და შრომა სჭირდება.

ვინც ამდენს გაუძლებს, მწვრთნელიც ის გახდეს, არადა, ამქვეყნად საკეთებელიც ბევრია.

**მამუკა ქვანტალიანი**

# რომა და მენტალიტეტი



ფაბიო კაპელო

**ჩვეულებრივ,** ფაბიო კაპელო მოღუშულია ან რაიმე გრიმასა აქვს სახეზე, მაგრამ კვირას, მისი „რომა" იტალიის ჩემპიონი რომ გახდა, მან, არც მეტი, არც ნაკლები, ფართოდ გაიღიმა.

18 წლის მერე „რომას" პირველი საჩემპიონო ტიტული, კაპელოს სამწვრთნელო კარიერაში მეექვსე გახლდათ. მანამდე მან ოთხჯერ „მილანთან", ერთხელ კი მადრიდის „რეალთან" ერთად მოიპოვა ჩემპიონის წოდება.

„მილანში" წარმატება, რომელიც სკუდეტოების გარდა 1994 წლის ევროპის ჩემპიონთა თასსა და სუპერთასს მოიცავდა, 1991 წელს არიგო საკის დიდი გუნდის მემკვიდრეობით მიღებას მოჰყვა. შემდეგ, ესპანეთში მუშაობის ერთადერთ სეზონში „რეალის" ჩემპიონობა თუ გუნდის შემდეგი წლის წარმატების საფუძვლის ჩაყრა უთუოდ დიდი მიღწევა გახლდათ, მაგრამ „რომას" ჯანჯალი წლების დასრულება, მაინც ყველაზე დიდი და საოცარი გამარჯვება გამოდგა.

კაპელომ „რომა" წინა სეზონის დასაწყისში ჩაიბარა (ჩეხი ზდენეკ ზემანისგან), მაგრამ საბოლოოდ მეექვსე ადგილზე გასვლამ უკმაყოფილება და კრიტიკა გამოიწვია.

## წარსული დიდება

შთამბეჭდავი შედეგების მიუხედავად, იყვნენ ადამიანები, რომლებიც ეჭვობდნენ, რომ კაპელოს დიდების ეპოქა წარსულს ჩაბარდა. ეჭვიანთა მოსაზრებანი 1997-98 წლებში მწვრთნელის „მილანში" წარუმატებელ დაბრუნებას ემყარებოდა. გუნდი მე-10 ადგილზე გავიდა და „სან სიროც" ტელეეკრანების ინტერესის საგანი აღარ იყო.

ემოციათა იმ ორომტრიალში, რომელიც კვირას „რომას" ჩემპიონობას სდევდა, კაპელო მიხვდა, რომ აღრინდელმა ჩავარდნამ მას სტიმული მისცა.

„გამარჯვება უმნიშვნელოვანესი იყო „რომასთვის", მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანი გახლდათ ჩემთვისაც, რადგან, აქ მილანში წარუმატებელი სეზონის შემდეგ მოვედი" — განუცხადა მან რეპორტიორებს.

მაგრამ წარუმატებლობა ტაქტიკურ მიებათა, ძვირ შენაძენთა და კაპელოსეული მოტივაციის ერთობლიობამ გადაძალა. გასული, შეგუების სეზონის შემდეგ, „რომამ" სატრანსფერო ბაზარზე რამდენიმე დიდი ნაბიჯი გადადგა — შეიძინა არგენტინელები, გაბრიელ ბატისტუტა და ვალტერ სამუელი, აგრეთვე ბრაზილიელი ემერსონი.

## გამღვივებელი

მართალია, კაპელო უმაღლესი კლასის ფეხბურთელთა შეძენას ყოველთვის მიესალმება, მაგრამ სახელი მაინც, უფრო, საშუალო ნიჭთა გაღვივებით და მათი გუნდში შერწყმით გაითქვა. მაგალითად, ფრანგი მცველი ჯონათან ზებინა, რომელიც სეზონის დაწყების წინ „კალიარიდან" შეიძინეს, „რომას" მნიშვნელოვანი წევრი გახდა, ხოლო „ინტერის" მიერ უარყოფილი კრისტიანო ძანეტი, გუნდის ნახევარდაცვაში თამაშობს წამყვან როლს.

მაგრამ, რაც ახლა უკვე გასულ სეზონში ვიხილეთ, მნიშვნელოვანწილად კაპელოს მენტალიტეტი გახლდათ. იმ შეხვედრებში, როდესაც ფრანჩესკო ტოტი და ბრაზილიელი კაფუ საუკეთესოდ ვერ თამაშობდნენ, „რომა" წარმატებას გონიერების, კონცენტრაციის და მიზანდასახულობის წყალობით აღწევდა.

„კაპელომ „რომაში" თავისი მენტალიტეტი მიიტანა, რაც მისი თამაშის ცქერისას აშკარად ჩანს" — ამბობდა „მილანის" ვიცე-პრეზიდენტი ადრიანო გალიანი სეზონის დასაწყისში — ეს გამარჯვებულის მენტალიტეტია".

ეს მენტალიტეტი ხანდახან სიწყნარეს ითხოვს, მაშინ როდესაც გარშემო დაფეთებულები ლაპარაკობენ კრიზისზე. მაგალითად, ერთი კვირის წინ, ნეაპოლში ნათამაშევი დრამატული ფრის შემდეგ მისი გუნდი ჭორებისა და ნერვიულობის დიდი ზეწოლის ქვეშ მოექცა, კაპელომ კი ერთ-ერთი რეპორტიორის კითხვას ძალიან მშვიდად უპასუხა: „რა გაეწყობა, ერთი კვირით დაცდა მოგვიწევს".

ხოლო კვირას, „პარმასთან" გადამწყვეტი შეხვედრის წინ მწვრთნელმა ფეხბურთელებს თურმე ასე მიმართა:

„მე მათ ვუთხარი, რომ ისინი ფინალში არიან და იტალიის ჩემპიონობის შანსი აქვთ. ეს გახლდათ ერთადერთი, რაც მე შემეძლო მათთვის მეთქვა".

ახლა კი კაპელოს ახალი სიმაღლეები ელის — „რომას" ევროპის უდიდესი ჯილდო, ჩემპიონთა თასი უნდა მოაგებინოს.

ვინ დაიჩემებს, რომ ვერ შეძლებს?

**საიმონ ევანსი როიტერი**



გაბრიელ ბატისტუტა

# კაცი გზის დასაწყისში

**არგენტინელი** ფორვარდი გაბრიელ ბატისტუტა ცხრა წლის განმავლობაში წვალობდა იტალიურ ლიგაში, მაგრამ თავის უსაყვარლეს „ფიორენტინასთან" ერთად ვერაფერს ხდებოდა. და აი, კვირას, „რომასთან" ერთად, პირველივე ცდიდან წარმატებას მიაღწია. „პარმასთან" გამარჯვებამ რომაელებს კლუბის 74 წლიან ისტორიაში მესამე ტიტული მოუტანა. პირველი 1983 წლის შემდეგ.

ბატისტუტა ფაბიო კაპელოს გუნდში ერთი წლის წინ, სწორედ ივნისში გადავიდა და გუნდის განუყოფელ ნაწილად იქცა — 20 გოლით „რომას" საუკეთესო ბომბარდირი გახდა. ამიტომაც, მის მიერ „პარმას" კარში გატანილი მესამე და რომაელთათვის სეზონის ბოლო გოლი ფრიად სიმბოლური მნიშვნელობისა გამოდგა.

„ძალიან მინდოდა გოლის გატანა და ამ შეხვედრაში ჩემი წვლილის შეტანა — განაცხადა მან „რომას" გასახდელში ზეიმის დაწყების წინ — ისეთი ბედნიერი ვარ, ლამისაა გული გამისკდეს. იმედი მაქვს, რომ ეს მხოლოდ დასაწყისია".

არადა, ცხრა ფლორენციულ სეზონში „ბატიგოლმა" ჩემპიონატის 269 შეხვედრაში 168 გოლი გაიტანა, რითაც კლუბის ყველა რეკორდი მოხსნა. გარდა ამისა, ერთი სეზონი სერია B-შიც გაატარა — როდესაც „ფიორენტინას" უმაღლესი ლიგის დატოვება მოუხდა და ასეთმა ერთგულებამ როგორც ფლორენციაში, ასევე მის გარეთ დიდი აღფრთოვანება გამოიწვია. ცნობილი ამბავია, რომ ქომაგებმა მის საპატივცემულოდ ქალაქში ძეგლი აგეს და თავდამსხმელი საზოგადოებრივ საქმეებსა თუ სხვადასხვა დაჯილდოვებებზე დღესაც ხშირად ჩადის ტოსკანიის ცენტრში.

როდესაც „რომას" წევრი ბატისტუტა ფლორენციაში „ფიორენტინას" წინააღმდეგ სათამაშოდ დაბრუნდა, იგი დიდი ოვაციით მიიღეს, კარს უკან კი დიდი პლაკატი გამოუფინეს, რომელზეც ეწერა:

„ბატი. გმადლობთ ცხოვრების ცხრა წელიწადისთვის".

## კრიტიკოსთა მარცხი

ბატისტუტამ დაამარცხა კრიტიკოსები, რომლებიც ამბობდნენ, რომ 32 წლის ასაკში იგი 32 მილიონი დოლარი აღარ ღირდა — სწორედ ეს თანხა გადაიხადა „რომამ" მისი ფლორენციიდან გამოსასყიდად. არადა, კვირის მსგავსად ბატისტუტა ხშირად ამტკიცებს, რომ დიდ საქმეთა კაცია.

1997 წელს, „ბარსელონას" წინააღმდეგ უეფას თასის ნახევარფინალში გატანილი საუცხოო გოლის შემდეგ ფოტოგრაფებმა გადაიღეს, როგორ მიიდო თითი ტუჩებთან 100 ათასიანი „კამპ ნოუს" გასაჩუმებლად და ეს ჟესტი მყისვე იტალიური ფეხბურთის ფოლკლორად იქცა.

1999 წელს, „უემბლიზე", ჩემპიონთა თასის მეორე ეტაპზე, მან „არსენალის" ქომაგებს გადაასხა ჩინებული დარტყმით ცივი წყალი, ხოლო წლეულს სწორედ მან გაიტანა „რომას" და „ფიორენტინას" რომაულ მატჩში ერთადერთი გოლი.

81-ე წუთზე თავის მეგობრის ფრანჩესკო ტოლდოს მიღმა ბურთის ბადეში შეგდების შემდეგ არგენტინელი მოტრიალდა და ყველას გასაოცრად, წყნარად, ყოველგვარი ზეიმის გარეშე დაბრუნდა მოედნის ცენტრში.

და დღეს, ბატისტუტა და „რომა" დიდ პატივისცემას მოითხოვენ.

**გედეონ ლონგი როიტერი**

# თურქი დამტვრეული იტალიურით



REUTERS მიღებიდან

ფატიჰ თერიმი

**კვირას** იტალიის ჩემპიონატი დასრულდა, ორშაბათს კი „სან სიროზე" პრესკონფერენცია მოეწყო — „მილანმა" ახალი მწვრთნელი, თურქი ფატიჰ თერიმი წარადგინა. თერიმმა „შავ-წითლებთან" ორწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. მოგეხსენებათ, მან შეცვალა ჩეზარე მალდინი, რომელიც მაურო ტასოტისთან ერთად დროებით, სეზონის ბოლომდე უძღვებოდა გუნდს.

ამრიგად, თერიმი, რომელმაც სერია A-ში პირველად გასულ სეზონში, „ფიორენტინაში" სცადა ბედი — 20 შეხვედრაში უხელმძღვანელა ფლორენციელებს — მაგრამ, თავის გემოზე მუშაობა არ აცალეს, ისევ იტალიის უმაღლეს დივიზიონში გამოჩნდება.

„ძალიან ბედნიერი ვარ, „მილანში" რომ ვიწყებ მუშაობას. კარგად ვიცი, რომ დიდი გუნდის მქონე დიდ კლუბში მოვედი. ჩემი მიზანიც დიდია, მინდა შინ თუ სტუმრად თამაშს თამაშზე ვიგებდეთ."

ზემოთ „ფიორენტინას" ამბები ვახსენეთ. თერიმმა ფლორენციაში გატარებული დღეები მოკლედ მოიგონა: „იცით, როდესაც კლუბი მწვრთნელს ეძებს, წესით ის მწვრთნელი ამა თუ იმ კონკრეტული თამაშის მოსაგებად კი არ უნდა უნდოდეს, არამედ უფრო ფართო მიზნისთვის. არა მგონია, იმავე პრობლემებს წავაწყდე „მილანშიც". „მილანის" პრეზიდენტი აშკარად ძალიან წარმატებული და მასშტაბური პიროვნებაა".

ამ ნათქვამით, დაგვეთანხმებით, ერთგვარად გაკენწლილია „ფიორენტინას" პრეზიდენტი, კინომაგნატი ვიტორიო ჩეკი გორი, თუმცა მეორე მხრივ ფაქტია, რომ მილანელთა პრეზიდენტი, იგივე იტალიის პრემიერ-მინისტრი სილვიო ბერლუსკონი სხვა საქმეებით არის დაკავებული და ფეხბურთისთვის იმდენს ველარ იცლის. აკი, თქვა კიდეც კლუბის ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ: „თერიმი არჩევანში სრულიად თავისუფალი იქნება".

შემდეგ, დამტვრეული იტალიურით მოლაპარაკე თურქს სამომავლო ტრანსფერებზე ჩამოუგდეს კითხვა. საქმე ის გახლავთ, რომ ადრიანო გალიანიმ სულ ცოტა ხნის წინ განაცხადა, „მილანი" მხოლოდ ოთხ ფეხბურთელს იყიდის, ყველაზე მეტად კი „იუვენტუსის" ფორვარდის, ფილიპო ინძაგის შეძენას ეშურებაო. ამ დროს კი თერიმს გუნდის უფრო საფუძვლიანად გადახალისება სურს.

ამიტომაც შეახსენა გალიანიმ თურქს, რომ მის განკარგულებაში 41 რეგისტრირებული ფეხბურთელია, თუმცა, ეტყობა, ამაზე უფრო დიდი პრობლემა მილანელთათვის მწვრთნელის იტალიურია. ბუნებრივია, რომ როდესაც გუნდს უძღვები, თარჯიმანი არ უნდა გჭირდებოდეს.

„დიახ, „მილანში" ბევრი ჩინებული ფეხბურთელია, მაგრამ არიან ისეთებიც, ამ კლუბის მოთხოვნებს რომ ვერ პასუხობენ. ამიტომაც, ჩემი აზრით, მათი გაყიდვა და სხვებით შეცვლაა საჭირო" — განაცხადა თერიმმა — „ერთი სიტყვით, ზოგი წავა და ზოგიც ახალი მოვა. ჩვენ მუშაობა მათთან ერთად უნდა გავაგრძელოთ, ვინც მაღალ სტანდარტებს აკმაყოფილებს".

რაც შეეხება ინძაგის, მასზე თურქმა ასე ბრძანა:

„ინძაგი ჩინებული ფეხბურთელია, დამსახურებული, მაგრამ თუ მისი ტრანსფერი არ შედგება, არა უშავს, ის არ არის ერთი მათგანი, რომელთა გარეშეც ცხოვრება არ შეიძლება".

ბოლოს კი შეგახსენებთ, რომ ფატიჰ თერიმმა სახელი „გალათასარაის" გაძღოლით დაიგდო. კერძოდ, მისი ხელმძღვანელობით სტამბოლელებმა ზედიზედ ოთხჯერ მოიგეს თურქეთის ჩემპიონის ტიტული, ხოლო ერთხელ — უეფას თასი.

**ბაჩუნა ძიძია**

# სამშობლომ ნედვედი არჩია

**ჩეხმა** სპორტულმა ჟურნალისტებმა ქვეყნის 2000-01 წლების სეზონის საუკეთესო ფეხბურთელად, ბოლო ხუთ წელიწადში მესამედ, „ლაციოს" ნახევარმცველი პაველ ნედვედი დაასახელეს.

„ეს დიდი პატივია ჩემთვის, მით უმეტეს, რომ მესამედ მირჩევენ საუკეთესოდ" — განაცხადა ფეხბურთელმა გამოკითხვის შედეგების გაგების შემდეგ.

28 წლის ნედვედმა, 2000-01 წლების სეზონში ჯერ ევრო 2000-ზე ჩეხეთის ნაკრების შემადგენლობაში ითამაშა, შემდეგ მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ თამაშებში დაეხმარა ეროვნულ გუნდს. „ლაციოს" რიგებში კი სერია A-ს მესამე პრიზიორი გახდა. აბა, ჩეხთაგან მეტს ვინ მიაღწია?! იტალიური გუნდიც კმაყოფილია და ნედვედს კონტრაქტი 2006 წლამდე გაუგრძელა.

**ნიკა შუბლაძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# სტაბილური, როგორც ფასი



დენის უაიზი

**ლონდონური** „ჩელსისა“ და დენის უაიზის 11-წლიანი თანამშრომლობა გუშინწინ დამთავრდა — „ლესტერმა“ დედაქალაქელებს 1,6 მილიონი გირვანქა გადაუხადა და მათი კაპიტანი წაიყვანა. ხუთშაბათს 34 წლის ნახევარმცველი ახალ გუნდში სამედიცინო შემოწმებას გაივლის, მოგვიანებით კი შვებულებიდან დაბრუნებულ მწვრთნელ პიტერ ტეილორსაც შეხვდება. „დენისი ის კაცია, ჩვენს გუნდს რომ სჭირდება. გასულ სეზონში ხშირად გვქონია შემთხვევა, როცა მოედანზე ლიდერი გვაკლდა. იმედია, ის ამ ჭაპანს გასწევს, მით უმეტეს, რომ გამარჯვებები დაგემოვნებული აქვს და მისკენ მიმავალი გზებიც ზეპირად იცის“ — თქვა „ლესტერის“ თავკაცმა.

1,6 მილიონი — ეს სწორედ ის თანხაა, რომელიც „ჩელსიმ“ 1990 წლის ივლისში თანაქალაქელ „უიმბლდონს“ მიართვა უაიზის სანაცვლოდ. მას მერე ეს ორი სიტყვა — ჩელსი და უაიზი — ურთმანეთოდ წარმოუდგენელი იყო. მოედანზე და ცხოვრებაშიც გიჟმაჟი ბიჭი (ერთხელ ტაქსის მძღოლიც კი გალახა) არისტოკრატთა ფანობის უსაყვარლესი მოთამაშე შეიქნა. სტაბილურ და ჯიგრიან თამაშს რომ თავი ვანებოთ, ადრე „უიმბლდონში“ მოპოვებულ ასოციაციის თასს მან ორი ასეთივე, ერთი ლიგის, ერთი თასების თასი და ერთიც ევროპის სუპერთასი მიუმატა, შარშანწინ კი მისმა დიდებულმა გოლმა მილანის „სან სიროზე“ ლონდონელებს ჩემპიონთა თასის მეოთხედფინალში გააღწევინა.

და მაინც, კლაუდიო რანიერიმ უაიზი გაყიდა. ეტყობა, იტალიელ მწვრთნელს გუნდის მართლაც, მკვეთრად გაახალგაზრდავება გადაუწყვეტია — კაპიტნამდე ხომ ურუგვაელ გუსტავო პოიეტს შეელია, ფრანგ ჩემპიონ ფრანკ ლებეფს კი მალე სამშობლოში გაუშვებს. სამაგიეროდ, შეიძინა 23 წლის ფრანგი მცველი გალასი და თუ არაფერი მოხდა, უახლოეს დღეებში 22 წლის ფრენკ ლამპარდსაც დაითრევს 11 მილიონად. დაუმატეთ ამას ფინელი მაიკლ ფორსელი, იტალიელი სემ დალა ბონა, ისლანდიელი გუდიონსენი, ინგლისელი ტერი, ქართველი რატი ალექსიძე (ყველანი 23 წლამდე) და აღმოჩნდება, რომ ყველაზე ინტერნაციონალური გუნდის სახელთან ერთად „ჩელსი“ მალე ყველაზე ახალგაზრდულისასაც დაიგდებს.

რაც შეეხება „ლესტერს“, ამან უაიზთან ერთად პირველ დივიზიონში გავარდნილი „ქოვენთრის“ უელსელი თავდამსხმელი ჯონ ჰართსონიც მოინდომა, თუმცა შეთავაზებულ თანხას, მილიონ გირვანქას, ქოვენთრელთა თავმჯდომარე ბრაიან რიჩარდსონმა „შაური“ უწოდა.

და კიდევ ერთი ცნობა ინგლისიდან: „ვესტ ჰემიდან“ წინა თვეში წასულ ჰარი რედნაპს „პორტსმუთმა“ კლუბის საფეხბურთო დირექტორის თანამდებობა შესთავაზა. ცოტა უცნაურად კი გვეჩვენება ამისთანა ღვაწლმოსილი მწვრთნელის პირველ დივიზიონში გადასვლა, მაგრამ თუ „პორტსმუთის“ მფლობელმა, სერბმა მილიონერმა მილან მანდარიჩმა დაიჟინა...

**გიგა ძოგახიძე**



ლილიან ტურამი

# უფრო მეტის მოტივით

**„ყველა** შესაძლებელს შორის საუკეთესო არჩევანი გავაკეთე, როდესაც „იუვენტუსთან“ გავაფორმე კონტრაქტი“ — განაცხადა მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონმა, „პარმას“ ყოფილმა და აწ უკვე ტურინული კლუბის მოთამაშე ლილიან ტურამმა, რომელმაც ორშაბათს „იუვენტუსთან“ ხუთწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი.

აღსანიშნავია, რომ „იუვენტუსი“ ის კლუბია, რომელიც ბოლო ორ სეზონში სერია A-ში ყველაზე ნაკლებ გოლს უშვებს. წლეულს ტურინელებმა 34 მატჩში 27 ბურთი მიიღეს საკუთარ კარში, მეოთხეადგილოსანმა „პარმამ“ კი — 31. ახლა „იუვენტუსს“ მსოფლიოში ერთ-ერთ უძლიერეს მცველად მიჩნეული ტურამიც შეემატა.

ისიც უნდა ითქვას, რომ „იუვენტუსში“ ახალ სეზონში აღარ იმუშავებს კარლო ანჩელოტი, მის შემცვლელად „ბებერი ქალბატონის“ ხელმძღვანელობამ კვლავ დააბრუნა მარჩელო ლიპი, რომელმაც „იუვენტუსში“ არაერთ წარმატებას მიაღწია.

ტურინულ კლუბს არ გაუმხელია, რამდენად იყიდა ფრანგი მცველი, თუმცა ზოგიერთი სააგენტო ირწმუნება, დაახლოებით 22 მილიონგირვანქიან ტრანსფერზეა ლაპარაკიო და თუ ეს ასეა, ტურამი მსოფლიოს ყველაზე ძვირადღირებული მცველია. მასში 4 მილიონი გირვანქით მეტია გადახდილი, ვიდრე რიო ფერდინანდში, რომელიც „ლიდს იუნაიტედმა“ „ვესტ ჰემისგან“ იყიდა.

ტურამის „პარმადან“ წასვლა მოულოდნელი არ ყოფილა, რადგან ფრანგი ბოლო დროს გამუდმებით გაიძახოდა, სანაკრებო ტრიუმფის შემდეგ საკლუბო დონეზეც მსურს დიდი წარმატების მიღწევა, ამის შანსი კი „პარმაში“ ნაკლებია, ამიტომ უფრო დიდ კლუბში გადასვლას არ გამოვრიცხავო. საბოლოოდ ასეც მოხდა.

„პარმაში“ ხუთი ბედნიერი წელი გავატარე, თუმცა უფრო მეტის მიღწევა მსურს და „იუვენტუსიც“ ამიტომ ვამჯობინე. ვფიქრობ, რომ ამ კლუბთან ერთად დიდი გამარჯვებების მოპოვება შემიძლია“ — განაცხადა 29 წლის ფრანგმა პრესკონფერენციაზე.

დაბოლოს, აღვნიშნოთ ზიდანისა და ტრეზეგეს ფაქტორი, ფრანგებისა, რომლებიც ტურამს „იუვენტუსში“ დახვდებიან. ამის შესახებ თავად ლილიანმა თქვა: „ბედნიერი ვარ, რომ ზიდანთან ნაკრებში მითამაშია და მასთან ერთად მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი გავმხდარვარ. ტრეზეგეც ძალიან ძლიერია — ის მსოფლიო დონის ფორვარდია. ახლა ორივესთან ერთად „იუვენტუსში“ ვიქნები და ეს ძალიან მახარებს.“

**ნიკა შუღლაძე**

40° Copa América
Colombia 2001
11 al 29 de julio



ამათგან უმეტესობა კოპა ამერიკაზე არ ითამაშებს

**11 ივლისს** სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატი, იგივე „კოპა ამერიკა“ დაიწყება. მასში მონაწილე ნაკრებებმა უკვე დაიწყეს მზადება. მწვრთნელები სასურველ ფეხბურთელებს აგროვებენ. ერთ-ერთი პირველი, ვინც ნაკრების სრული შემადგენლობა დაასახელა, არგენტინელი მარსელო ბიელსა გახლავთ.

წამყვანი ბუქმეიკერული კანტორების უმრავლესობა ჩემპიონობის ყველაზე რეალურ კანდიდატად სწორედ არგენტინის ნაკრებს მიიჩნევს. ეს უდავოდ ასეა, თუმცაღა ფავორიტობაზე საუბარი აქ შევწყვიტოთ და რამდენიმე ფეხბურთელი ჩამოვთვალოთ.

— ერნან კრესპო, გაბრიელ ბატისტუტა, ხუან სებასტიან ვერონი, კილი გონსალესი, დიეგო სიმეონე, ვალტერ სამუელი, რობერტო აიალა — ეს ის ხალხია, ვინც ბოლო წლებში ნაკრების შემადგენლობაში თითქმის უცვლელად თამაშობს. ახლა კი მარსელო ბიელსამ გამოაცხადა, რომ ხსენებულ მოთამაშეებს „კოპა ამერიკაზე“ არ წაიყვანს, რადგან სეზონი ახლახან დასრულდა და ისინი კლუბებში თამაშით გადაღლილები არიან. მწვრთნელი მათ ასვენებს და თან დიდი იმედი აქვს, რომ ისედაც მოიგებს თასს.

კოლუმბიაში, სადაც „კოპა ამერიკა“ ჩატარდება, არგენტინელთა ლიდერები იქნებიან — ხავიერ ძანეტი, პაბლო აიმარი, არიელ ორტეგა, კლაუდიო ლოპესი.

ბიელსას ამ განცხადების შემდეგ მოსალოდნელია, რომ ბუქმეიკერები არგენტინის გამარჯვების კოეფიციენტს გაზრდიან. თუმცაღა, როგორც მწვრთნელი აცხადებს, ქვეყანაში ფეხბურთელთა იმდენად დიდი პოტენციალია, რომ მოგება მაინც გარდაუვალია. ბოლოს კი არგენტინის ნაკრების შემადგენლობას გავეცნოთ და დავძინოთ, რომ მათ „კოპა ამერიკა“ ბოლოს 1993 წელს ეკვადორში მოიგეს.

*მეკარეები: რობერტო ბონანო (რივერ პლეიტი), პაბლო კავალიერო (სელტა);*

*მცველები: ფაკუნდო კიროგა (ნაპოლი), რობერტო სენსინი (პარმა), ედუარდო ბერიზო (სელტა), მაურისიო პოჩეტინიო (პარი სენ ჟერმენი), დიეგო პლასენტე (ლევერკუზენი), ნელსონ ვივასი (ინტერი);*

*ნახევარმცველები: ხავიერ ძანეტი (ინტერი), მატიას ალმეიდა (პარმა), კლაუდიო ხუსაინი (ნაპოლი), პაბლო აიმარი (ვალენსია), სანტიაგო სოლარი (რეალი), ესტებან კამბიასო (ინდეპენდიენტე), მარსელო გალიარდო (მონაკო);*

*თავდამსხმელები: ხულიო კრუზი (ბოლონია), კლაუდიო ლოპესი (ვალენსია), ლუჩიანო გალეტი (ესტუდიანტესი), არიელ ორტეგა (რივერ პლეიტი)*

# ქალები დაგლუპავენ, იორკ!



დუაიტ იორკი

**„მანჩესტერ იუნაიტედის“** თავდამსხმელი დუაიტ იორკი, რომელსაც არაერთი სასიყვარულო თავგადასავალი გადახდენია, თავისი ცხოვრებით კმაყოფილი ყოფილა. „რატომაც არა! მე ახალგაზრდა, უცოლო კაცი გახლავართ, როგორც მინდა, ისე მოვიქცევი და ნებისმიერ ქალს შევხვდები — განაცხადა გაზეთ „დეილი ექსპრესთან“ ინტერვიუში — არის კანონი, რომელიც ამას კრძალავს“?! — ჯიქურ იკითხა ბოლოს იორკმა და სამართლიანადაც, ასეთი კანონი ჯერ არ არსებობს.

გასული სეზონი ფეხბურთელისთვის არცთუ წარმატებული გამოდგა. პრემიერლიგისა და ჩემპიონთა ლიგის თამაშებში იგი „მანჩესტერ იუნაიტედის“ ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდებოდა. ასევე კონფლიქტი ჰქონდა გუნდის მთავარ მწვრთნელ, სერ ალექს ფერგიუსონთან, რომელიც ფეხბურთელს დაოჯახებას და დაჭკვიანებას ურჩევდა. ვერც ნაკრებში აეწყო საქმე. პანამასთან ამხანაგური მატჩის თვითნებურად გაცდენისთვის ნაკრებიდან გაგდებასაც უპირებდნენ, მაგრამ ბოლოს შეიწყალეს და დააბრუნეს. ჩვენ კი სერ ალექსის მხარეს დავიჭერთ და ფეხბურთელს ვურჩევთ: თუ მეგობართან, მკერდსავსე ჯორდანთან ურთიერთობა ბურთთან ურთიერთობას გავიწყებს, ერთი-ერთი დაივიწყე.

**ლუკა გეგეჭკორი**

### იტალია

**სერია C1A. პლეი ოფი ფინალი.** II მატჩი
**კომო ხ.დ.დ. (0:0) ლივორნო (0:0)**
„კომო“ გადავიდა სერია B-ში

ინფორმაცია 24 საათის განმავლობაში
ფეხბურთი, NHL, NBA
☎ 8 22 009 000, 8 22 009 001 (1წთ / 50 თეთრი)

# კიკო და არა იყო რა



**მადრიდის** „ატლეტიკოს“ მისი კერპი კიკო ტოვებს. მან ორშაბათს პრესკონფერენცია მოიწვია.

„ატლეტიკოში“ კარიერის რვა უბედნიერესი სეზონი გავატარე — თქვა ერთ დროს ესპანეთის ნაკრების თავდამსხმელმა — მაგრამ დროა, რაღაც შევცვალო. წასვლის ერთ-ერთი მიზეზი წლევანდელი ჩავარდნაა, პრიმერა-დივიზიონში ვერ დავბრუნდით, თუმცა ეს მთავარი არაა. კლუბის ხელმძღვანელობას ამაზე ჯერ კიდევ ორი კვირის წინ შევუთანხმდი და ახლა, სეზონის დასრულების შემდეგ, ოფიციალურად ვაცხადებ — მივდივარ“.

კიკოს ნახსენები მთავარი მიზეზი ისაა, რომ კლუბი უფრო ახალგაზრდა ფეხბურთელებს ენდობა და მას სეზონში სულ რამდენჯერმე მიეცა მინდორზე გასვლის საშუალება.

„ფეხბურთიდან საბოლოოდ წასვლას ჯერ არ ვაპირებ, ოღონდ სად გადავალ, არ ვიცი. როგორც თავისუფალ აგენტს, წინადადებები ალბათ მექნება. თავად უცხოეთში მსურს წასვლა, რადგან არ მინდა, „ატლეტიკოს“ წინააღმდეგ მომიწიოს თამაშმა. ჩემი გული სამუდამოდ პირველ კლუბს, „კადისს“ და „ატლეტიკოს“ ეკუთვნის“.

სეგუნდადივიზიონის ბოლო ტურში „ატლეტიკომ“ 1:0 მოუგო „ხეტაფეს“, მაგრამ მისმა კონკურენტებმა — „ბეტისმა“ და „ტენერიფემაც“ მოიგეს და „ატლეტიკო“ სეგუნდაში ჩასარჩენად გაწირეს. უმალ გაჩნდა კითხვა: ისურვებს თუ არა „მალიორკას“ ჩემპიონთა ლიგაში გამყვანი ლუის არაგონესი დაბალ დივიზიონში მუშაობას. გავიხსენოთ, რომ როცა იგი „ატლეტიკოში“ გადასვლას დათანხმდა, მადრიდელებს პრიმერაში დაბრუნების კარგი შანსი ჰქონდათ.

ამ ბუნებრივ კითხვაზე არაგონესმა უპასუხა: „სეგუნდადივიზიონის გუნდი არასდროს გამიწვრთნია, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს. მე პროფესიონალი მწვრთნელი ვარ და ნებისმიერ დივიზიონში ვიმუშავებ. დაბალ დივიზიონშიც კი, ეს გარკვეული თვალსაზრისით უფრო საინტერესოცაა“.

**გიორგი დარჯანია**

## აბა, პასპორტი მაჩვენე!

# უდინური რეკორდი

**კარლო პოჩედის** ამ ცოტა ხნის წინ იტალიაში ცოტა ვინმე თუ იცნობდა. მაგრამ გასრულდა საფეხბურთო სეზონი და პროკურორს ყალბისმქნელების საქმე ჩააბარეს. იგიც გააფთრებული შეება თაღლით ცრუ ევროპელებს და „ლაციოს“, „რომასა“ და „ინტერის“ ფეხბურთელებსა და მესვეურებს ევროპული პასპორტების გაყალბებისთვის კარგა მოზრდილი ჯარიმა-დისკვალიფიკაციებიც აჰკიდა. გუშინ კი „უდინეზესთვისაც“ მოიცალა.

უდინურმა კლუბმა ყალბისმქნელობაში პირველობა არავის დაუთმო და ერთგვარი რეკორდიც გამოცხვა. კარლო პოჩედიმ ბრაზილიელების — ალბერტოს, ვარლეის, ჟორჟინიოსა და სილვას ორწლიან შვებულებაში გაშვება და ფეხბურთიდან მათი მოკვეთა განიზრახა. პროკურორის მახვილ თვალს არც კლუბის ხელმძღვანელობა გამორჩა, რომელიც კანონთან ერთობ მწყრალადაა. პიერპაულო მარინოს, ზიგფრიდო მარკატისა და ჯინო პოცის ბრაზილიელთა საფუძველს მოკლებული გაევროპელებისთვის ფეხბურთელების მსგავსად ორწლიანი დისკვალიფიკაცია ემუქრებათ.

ოთხი მოკვეთილი ფეხბურთელი, სამიც კრიმინალი ხელმძღვანელი და ორი მილიონ ორასი ათასი დოლარი ჯარიმა — აი, რითი შეუძლია იამაყოს უდინურ კლუბს. „უდინეზეს“ საქმე ყველაზე უფრო მსხვერპლმრავალია. პროკურორმა ეს ფაქტი აუღელვებლად ახსნა: „უდინეზეს“ სასჯელი დამსახურებულია. თავად განსაჯეთ — გუნდის თითქმის ნახევარი, მოთამაშეები და თავკაცებიც, ევროკავშირული წესრიგს არღვევს და თაღლითობით ცდილობს ფონს გასვლას“.

პოჩედის ბობოქარი ხანა გრძელდება. უდინელებისა და მათნაირების ბედი საბოლოოდ, ალბათ, ოცდახუთ ივნისს გადაწყდება და იტალიური ყალბი პასპორტების ეპიდემიასთან ბრძოლაც სამართალდამცავთა, ევროკავშირული წესრიგის მომხრეთა გამარჯვებით დასრულდება.

**გიორგი გაგარდაშვილი**

# რეალის ვენტილაცია

ოცლარიანი კითხვის პასუხი

**ისმის კითხვა** — რა აწერია მადრიდის „რეალის“ მაისურაზე?

ვინც „სამეფო კლუბის“ მატჩების მაყურებელია (ამ შემთხვევაში არ არის აუცილებელი, „სანტიაგო ბერნაბეუს“ ტრიბუნებიდან, ტელევიზორიდანაც საკმარისია), მათთვის კითხვა ოცლარიანია და პირდაპირ ვამწვანებთ: „ITEKA“.

ახლა კი გეტყვით, რომ ცნობილი სანტექნიკური ფირმის სახელი ახალი სეზონიდან „რეალის“ მაისურას აღარ დაამშვენებს. „სამეფო კლუბის“ ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, „რეალი“ ფორმას გაიახლებს და მკერდზე კლუბის ვებსაიტის მისამართს დაიწერს: REALMADRID.COM.

ესპანეთის ჩემპიონის ახალი სტილის მაისურიდან გაქრება მუქი ფერის კანტები. დიზაინერებმა უკვე შეიმუშავეს ახალი პროექტი და მათი განცხადებით, გამოიყენეს ტექნოლოგია APV. ნუ გაიკვირვებთ, აქამდე თუ არ გსმენიათ — თურმე ადეკვატურ ანატომიურ ვენტილაციას ნიშნავს.

**ნიკა შუბლაძე**

რეკლამა
სარბიელ—ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

## ჭაბუკთა მსოფლიოს ჩემპიონატი
### I ტური

# მსოფლიოს ჩემპიონატმა საროსკიპოებშიც შეაღწია

*გასრულდა ჭაბუკთა მსოფლიოს ჩემპიონატის პირველი ტური, გაიმართა 12 შეხვედრა. გამარჯვებით დაიწყეს ფავორიტებმა — არგენტინამ, ბრაზილიამ და საფრანგეთმა. ყველასთვის მოულოდნელად ჰოლანდიელები კოსტა რიკასთან დამარცხდნენ; გაიმარჯვა განის ეგზოტიკურმა გუნდმა; საკმაოდ უნიათოდ ითამაშა გერმანიის ნაკრებმა; დამარცხდა წინა ჩემპიონატის აღმოჩენა — იაპონიის ნაკრები.*

*ტურნირის რამდენიმე მატჩმა გულშემატკივართა დიდი ინტერესი გამოიწვია, თუმც, ეტყობა, ორგანიზატორებმა წინასწარ დაიზღვიეს თავი და ბილეთების საკმაო რაოდენობა არგენტინულ საროსკიპოებს დაურიგეს...*

*მოვლენები კი ისე დაძაბულად ვითარდება, ჩემპიონობისთვის ბრძოლისას ჭაბუკებს ამგვარი ვიზუალური კატალიზატორი ეგებ არც კი დასჭირდეთ...*

### D ჯგუფი

**ანგოლა 0:0 ჩეხეთი**

**იაპონია 0:2 ავსტრალია**

0:1 ჰანედა (59ს.კ.), 0:2 ოუენსი (69)

**იაპონელთა** გუნდი 1999 წელს გამართული ჭაბუკთა მეთორმეტე მსოფლიოს ჩემპიონატის აღმოჩენა გახლდათ. მათ ფინალში ესპანეთის ნაკრებთან დათმეს ჩემპიონის ტიტული. სპეციალისტები და გულშემატკივრები იაპონელთა გუნდისადმი ამიტომაც იჩენენ განსაკუთრებულ ყურადღებას. მართლაც, საინტერესოა, დაამტკიცებენ თუ არა, რომ ორი წლის წინანდელი მიღწევა შემთხვევითობა არ იყო.

ავსტრალიელთა გუნდმა ჩემპიონატის დაწყებამდე რამდენიმე ამხანაგური მატჩი გამართა. „ჩვენ საკმაოდ კარგი შემსრულებლები გვყავს“ — ამაყობს ავსტრალიელთა მწვრთნელი ანჯე პოსტეკოღლუ და როგორც ჩანს, არც თუ უსაფუძვლოდ, რადგანაც ავსტრალიელებმა დაამარცხეს იაპონელები და სატურნირო ცხრილის სათავეში მოექცნენ. პირველი გოლი საკმაოდ კურიოზული გახლდათ. იაპონელთა მცველმა კენჯი ჰანედამ ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა, მეორე გოლი კი ოკეანელთა იმედმა და ერთ-ერთმა საუკეთესო მოთამაშემ ოუენსმა გაიტანა.

სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ იაპონელთა ორი წლის წინანდელი გუნდისგან მხოლოდ აჩრდილიღა დარჩა.

ამ ჯგუფის მეორე მატჩში ერთმანეთს ორი დებიუტანტი, ანგოლა და ჩეხეთი დაუპირისპირდა. აფრიკელები საკუთარი კონტინენტის ჩემპიონის წოდებას ფლობენ, ამდენად ევროპელებს საკმაოდ მძიმე თამაში ელოდათ, ასეც მოხდა. მეტოქენი დაცვითი ტაქტიკით საკმაოდ ფრთხილად მოქმედებდნენ, ამიტომაც სახიფათო მომენტები ორივე გუნდის კართან მეტად ცოტა შეიქნა. ძირითადად მაინც ევროპელები ფრთხილობდნენ, რომელთაც კარგად უწყიან აფრიკელთა შესაძლებლობა. თამაში ფრედ 0:0 დასრულდა.

მომდევნო მატჩებში ერთმანეთს ხვდებიან: იაპონია — ანგოლა და ავსტრალია — ჩეხეთი. მატჩები 21 ივნისს გაიმართება.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ავსტრალია | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| ანგოლა | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| ჩეხეთი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| იაპონია | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |

### E ჯგუფი

**ეკვადორი 2:1 ეთიოპია**

0:1 ანდარგაჩუ (43), 1:1 მინა (25), 2:1 გუაგუა (63)

**ჰოლანდია 1:3 კოსტა რიკა**

0:1 კ. მონტერო (38), 0:2, 0:3 ბარქსი (48, 54), 1:3 ბერისი (63)

**ჯერჯერობით** ტურნირის მთავარ სენსაციად კოსტა რიკა — ჰოლანდიის მატჩი იქცა, რომელიც ევროპელთა მარცხით დასრულდა.

კოსტა რიკელთა გამარჯვების მთავარი საიდუმლო მათივე შეტევების მაქსიმალურად ეფექტური გამოყენება და სათამაშო რგოლების შეთანხმებული მოქმედება გახლდათ. ჰოლანდიელთა თამაშში ბევრი ხარვეზი შეინიშნებოდა, თუმცალა, ჩემპიონატის დაწყებამდე პრესაში გაკეთებული განცხადებებს თუ ვირწმუნებთ, ნიდერლანდელებს, რომელთაც წარსულში ცნობილი ფეხბურთელი რუდი კროლი წვრთნის, დიდი მიზნები ჰქონიათ. მიუხედავად ამისა, ევროპელებმა ტურნირი არცთუ სასურველი შედეგით დაიწყეს, თუმც, ეს შემთხვევითი მარცხი იყო, თუ კანონზომიერი, ტურნირის მომდევნო შეხვედრები გასცემს პასუხს.

ამ ჯგუფის მეორე მატჩში ეკვადორი ეთიოპიას დაუპირისპირდა და დაამარცხა. აღსანიშნავია, რომ ეკვადორელები საკმაოდ სერიოზულად მიუდგნენ ტურნირს, ისინი რვა დღით ადრე ჩავიდნენ არგენტინაში და როგორც ჩანს, ამგვარმა მიდგომამ შედეგიც გამოიღო.

ეს გახლდათ ჩემპიონატზე პირველი მატჩი, სადაც დამარცხდა გუნდი, რომელმაც პირველი გოლი გაიტანა. სწორედ ეთიოპელებმა გახსნეს პენალტით ანგარიში, ამის შემდგომ თითქოს თამაში მათივე უპირატესობით უნდა წარმართულიყო, მაგრამ ეკვადორელებმა ხასიათის სიმტკიცე გამოიჩინეს — ჯერ გაათანაბრეს, მერე გადამწყვეტი გოლიც გაიტანეს.

ეს თამაში იმითაც გამოირჩა, რომ ჩემპიონატზე დაფიქსირდა პირველი გაძევება. არცთუ ჯენტლმენური ქცევისათვის მოედნიდან ეთიოპიელი ტესფაი კეფიალეუ მიაბრძანეს.

ტურის მომდევნო მატჩებში ერთმანეთს ხვდებიან: ეთიოპია — ჰოლანდია, ეკვადორი — კოსტა რიკა. მატჩები 21 ივნისს გაიმართება.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კოსტა რიკა | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 3 |
| ეკვადორი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| ეთიოპია | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| ჰოლანდია | 1 | 0 | 0 | 1 | 1:3 | 0 |

### F ჯგუფი

**განა 2:1 პარაგვაი**

1:0 ქაიენი (58), 2:0 დ. ბოატენგი (63), 2:1 გუზმანი (69)

**ირანი 0:5 საფრანგეთი**

0:1 ბუნე (59), 0:2 მეში (63), 0:3, 0:4, 0:5 ჯიბრილ სისე (66, 87, 90)

**პარაგვაის** ნაკრებს საკმაოდ დიდი ტრადიციები აქვს ჭაბუკთა მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილეობისა, თუმცალა, ისინი თითქოს დათარსულები არიან. რამდენჯერმე ისეთ ჯგუფში მოხვდნენ, რომელთაც სპორტული ჟურნალისტიკა „სასიკვდილო“ ჯგუფად მოიხსენებს. მათმა მწვრთნელმა გუნდის შემადგენლობაში შეიყვანა ლეგიონერებიც, რომლებიც უმთავრესად იტალიისა და პორტუგალიის დაბალ დივიზიონებში თამაშობენ.

განა ერთ-ერთი უძლიერესი და ეგზოტიკური გუნდია, რომელმაც ჭაბუკთა მსოფლიოს ჩემპიონატში 1993 წელს მეორე, 1997 წელს მეოთხე, 1999-ში კი მეხუთე ადგილი დაიკავა.

მისი სიძლიერე პარაგვაელებთან მატჩშიც გამოიკვეთა. განსაკუთრებით აღსანიშნავი გახლდათ თამაშის მეორე ნახევარი, რომელიც ორმხრივ იერიშებში წარიმართა, თუმც, აფრიკელთა შემართება უფრო თვალსაჩინო იყო და, შესაბამისად, მატჩის შედეგიც ლოგიკური გახლდათ.

მეორე შეხვედრაში ერთმანეთს ხვდებოდნენ საფრანგეთისა და ირანის ნაკრებები. ფრანგები ჩემპიონობის რეალური პრეტენდენტები არიან. ისინი წინა ტურნირებიდან მხოლოდ ორში მონაწილეობდნენ, და ორივეჯერ მეშვიდე ადგილზე გავიდნენ.

სახელოვან და ამასთანავე ტიტულიან ფრანგებს, როგორც ჩანს საუკეთესო ცვლა ეზრდებათ, რაც პირველივე მატჩმა დაადასტურა, მათ 5 გოლი გაუტანეს მეტოქეს, თანაც ხუთივე მეორე ტაიმში. ევროპელთაგან განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ჯიბრილ სისემ, რომელმაც ჰეთ თრიქი შეასრულა.

მომდევნო ტურში ერთმანეთს ხვდებიან: საფრანგეთი — პარაგვაი და ირანი — განა. თამაშები 21 ივნისს გაიმართება.

**მამუკა ნადირაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საფრანგეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 5:0 | 3 |
| განა | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| პარაგვაი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| ირანი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:5 | 0 |



REUTERS

განა — პარაგვაი. განელ პატრიკ ვილარს რიგალდობა მონდომებია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რეალში ერთი ჩემპიონიც აღარაა



ბოდო ილგნერი

დაიბადა 1967 წლის 7 აპრილს კობლენცში, გერმანია
1987: დებიუტი ბუნდესლიგის „კიოლნში"
1988: ევროპის ჩემპიონატზე ბუნდესნაკრებში ითამაშა
1990: იტალიაში გახდა მსოფლიოს ჩემპიონი
1992: ევროპის ჩემპიონატის ფინალში დამარცხდა დანიასთან
1994: ამერიკის მსოფლიოს ჩემპიონატზე მეოთხედფინალში ბულგარეთთან მარცხის შემდეგ მწვრთნელ ბერტი ფოგტსის რისხვა დაიმსახურა და ნაკრები მიატოვა
1996: „კიოლნში" ჩატარებული 322 მატჩის შემდეგ 2,7 მილიონ დოლარად მადრიდის „რეალში" გადავიდა.
1997: მოიგო პრიმერადივიზიონი და ესპანეთის სუპერთასი. 40 მატჩში 31 გოლი გაუშვა
1998: მოიგო ჩემპიონთა ლიგა და საკონტინენტთაშორისო თასი
2001: 18 ივნისს კლუბთან კონტრაქტის გაწყვეტაზე შეთანხმდა. სულ „რეალში" 86 მატჩი ჩაატარა და 102 გოლი გაუშვა

**ბოდო ილგნერი** „რეალიდან" მიდის. კლუბი და მეკარე ამ შეთანხმებამდე გუშინწინ მივიდნენ და ის ძალაში 30 ივნისს შევა.

გერმანელი მეკარე „სამეფო კლუბში" ხუთი წლის წინ ფაბიო კაპელოს მოთხოვნით მოხვდა და 1999-ში კონტრაქტი კიდევ სამი სეზონით გაახანგრძლივა.

მარტივი არითმეტიკა გვიჩვენებს, რომ ეს სამი სეზონი ერთი წლის მერე გადის, მაგრამ ისიც ვიცით, რომ ოდინდელი მსოფლიოს ჩემპიონი და ჩემპიონთა თასის მფლობელი „რეალის" კარის დაცვას ველარ ეღირსება.

ძველი ამბავია, 1999 წელს კონტრაქტის გახანგრძლივების შემდეგ მას მხოლოდ ხუთჯერ მოუხდა კარში ჩადგომა. მიზეზი ტრავმა გახდა, რომელმაც პირველი მეკარის ადგილი ალბანო ბიზარის მოუტანა.

ილგნერისთვის ბიზარი კონკურენტი არც იყო, მოირჩენდა ტრავმას და დაბრუნდებოდა, მაგრამ მკურნალობა გაჭიანურდა, ხოლო გუნდის მაშინდელი მწვრთნელის, ჯონ ტოშაკის მოძულებული ბიზარი ყმაწვილმა იკერ კასილიასმა შეცვალა.

კასილიასის კარგმა თამაშმა ბოდო ილგნერს საბოლოოდ დააკარგვინა პირველი მეკარის სახელი და როცა აწ უკვე გასრულებული სეზონის წინ „რეალმა" „ვალიადოლიდიდან" სესარიც გადაიყვანა, გერმანელი მესამე მეკარედ იქცა. მოკლედ, ბოდო ილგნერისთვის წასვლის დრო დადგა.

საინტერესო დეტალია, სეზონის დაწყებამდე, როცა „რეალმა" განაცხადი წარადგინა, ფიქრობდნენ, რომ პირველნომრიან მაისურას კასილიასს გადააბარებდნენ, მაგრამ არც კლუბი დათანხმდა ამაზე და კასილიასმაც შორს დაიჭირა, პირველ ნომრად ბოდო უნდა იყოსო. ახლა კი, მეკარის წასვლის შემდეგ, „რეალის" სპორტულმა დირექტორმა ხორხე ვალდანომ თქვა, ბოდოს ნებისმიერ დროს შეუძლია დაბრუნება, სიამოვნებით მივიღებთო. საკითხავი ისღაა, რად დაბრუნდება ილგნერი, მეკარედ თუ... თუმცა ვფიქრობთ, 34 წლის კაცისთვის, რომელსაც ორი სეზონია აღარ უთამაშია და ტრავმებმა გატანჯა, ფეხბურთელის კარიერა დასრულებულია. „რეალში" ის ერთადერთი მსოფლიოს ჩემპიონი იყო.

## NANDROLONE



ფრანკ და რონალდ დე ბურები

# დე ბურებს გენებში ჩახედავენ

**გაჭირვება** მაჩვენე და გაქცევას გაჩვენებო, სწორედ რომ ჰოლანდიის ნაკრების კაპიტან, ფრანკ დე ბურზე ითქმის. გასაჭირი ფრანკს დიახაც რომ დიდი აქვს. მის სისხლში ნანდროლონის მოჭარბება, რომელიც ათასგვარმა ტესტმა ცხადყო, ფეხბურთელს კარგს არაფერს უქადის. ბარსელონელს უკვე მისცეს ერთწლიანი დისკვალიფიკაცია და ახლა სასჯელის ათვლის დღის გარკვევაღა დარჩა.

ძნელია, ამგვარ სასჯელს შეეგუოს კაცი და ფრანკიც უდანაშაულობის დასამტკიცებლად გვარიანად დაფაცურდა. ტიტების კაპიტანი ძმაბიჭ, მასავით ნანდროლონისტ ედგარ დავიდს შეუამხანაგდა და გაერთიანებული ძალებით მთელი ჰოლანდიის სოფლის მეურნეობა გაანადგურეს. ფეხბურთელებმა თავიანთი სისხლის მოწამვლა ფერმერებს გადააბრალეს და ამტკიცებდნენ, რომ მათი პროდუქტი, საქონლის ხორცი, რომლისგანაც ჰოლანდიური დელიკატესები მზადდება, ნანდროლონითაა გაჯერებული. თუმცა ჰოლანდიელებმა ძროხებისა და მათი პატრონების სისუფთავე უმალვე დაამტკიცეს. დე ბურმა და დავიდსმა ამის შემდეგ ექიმთა პატიოსნებაზე დაიწყეს წუწუნი, მაგრამ აქაც არ გაუმართლათ.

რაღა ექნა დე ბურს. ყველა გზა ნაცადი იყო და როდესაც გამოსავალი არსად ჩანდა, იმედმაც გამოანათა. ნათელი სხივის მფრქვეველი კი მავანი რონალდ პლასტერკი გახლდათ. უბრალო კაცი არ გეგონოთ, უტრეხტის უნივერსიტეტში მუშაობს და გენეტიკის პროფესორია. ჰოდა, პროფესორი საკუთარი გამოცდილებიდან გამომდინარე მსჯელობს: „არის ხალხი, რომელთა ორგანიზმი, სხვებისგან განსხვავებით, ამა თუ იმ ნივთიერებას ნორმაზე მეტს გამოიმუშავებს. ეს გენეტიკაზეა დამოკიდებული. ძალიან ძნელია, დაამტკიცო ასეთი რამ, მაგრამ როდესაც ტყუპი ძმა გყავს, საქმე ერთიორად იოლდება".

რა უნდოდა დე ბურს ძროხებთან, ფერმერებთან, ფარმაცევტებთან, თურმე გვერდში ასეთი ძმა ჰყავს და ის კი ათას სისულელეს მიედ-მოედება. ტყუპისცალმა რონალდმა შესაძლოა, ფრანკი გადაარჩინოს კიდეც. პლასტერკისეული მოძღვრებით, თუ რეინჯერსელ ძმასაც აღმოუჩნდა სისხლში ნანდროლონი, საკითხი გადაწყვეტილია: ნანდროლონის მაღალი დოზა დე ბურების საგვარეულო დაავადება ყოფილა.

რონალდიც რა ძმაა, თუ უმალვე ტყუპისთვის ვენები არ გადაიხსნა და ლაბორატორიაში ფრანკის სახსნელად არ გაიქცა. ეს ასეც იქნება, მაგრამ შეგახსენებთ, რომ ფრანკის სისხლში ნანდროლონი დასაშვებ ნორმას ოთხჯერ აღემატება. ჩვეულებრივ ადამიანს ლიტრში ერთი მილიგრამი ნანდროლონი აქვს. უეფა ერთ მილიგრამზე თვალს ხუჭავს და ორმილიგრამიანებსაც არაფერს ერჩის. ფრანკ დე ბურის ორგანიზმს კი ერთბაშად რვა მილიგრამი აკრძალული ნივთიერება გამოუმუშავებია. ვნახოთ, შეძლებს კი რონალდი ძმასთან გათანაბრებას, გვინდა, იმედი გვქონდეს, მაგრამ პლასტერკის სიტყვებით, ზოგი ინდივიდის ორგანიზმს ნორმაზე მეტი ამა თუ იმ ნივთიერების გამომუშავების უნარი აქვს, მაგრამ არა ამდენისა, რაც ფრანკ დე ბურის გადარჩენას ერთობ საეჭვოდ ხდის. ისე რონალდიც თუ იღებდა ნანდროლონს, ამით რა დამტკიცდება.

**გიორგი მამარდაშვილი**

# ფრთხილად, ბიჭებო, ოტმარს არ სძინავს!



ოტმარ ჰიცფელდი

**მიუხედავად** იმისა, რომ მიუნხენის „ბაიერნმა" გერმანიის პირველობა მოიგო და ჩემპიონთა ლიგის ტრიუმფატორიც გახდა, ოტმარ ჰიცფელდი მიღწეულით დაკმაყოფილებას არ აპირებს.

მას მომავალ სეზონში გუნდის ზედიზედ მეოთხედ გაჩემპიონება სურს. „გვინდა, გერმანული ფეხბურთის ისტორიაში შევიდეთ, როგორც ზედიზედ ოთხგზის გამარჯვებული პირველი კლუბი" — აღნიშნა ჰიცფელდმა. ბავარიული გრანდის მთავარი მწვრთნელის თქმით, მისთვის წარუმატებლად ითვლება სეზონი, რომელიც „ბაიერნის" გამარჯვებით არ დასრულდება.

იმისთვის, რომ სურვილი რეალობად აქციოს, ჰიცფელდმა გადაწყვიტა, კლუბში რკინისებური დისციპლინა დაამყაროს: „მე ავუხსენი თითოეულ მოთამაშეს, თუ რას ნიშნავს დისციპლინა ჩემებურად. ის, ვინც დაარღვევს ჩემს მიერ დადგენილ წესებს, დაუყოვნებლივ გათავისუფლდება. აღარ დავუშვებ იმ სკანდალების გამეორებას, რის გამოც გუნდს „ჰოლივუდიც" კი შეარქვეს. ფეხბურთელთა მორჯულების ერთადერთ საშუალებად ფულადი ჯარიმა მიმაჩნია. თუ აქამდე იგი 50 000 მარკას (22 130 დოლარი) არ აღემატებოდა, ხელფასის გაზრდის შედეგად, შესაბამისად, ჯარიმებიც მოიმატებს და ამიერიდან ალბათ 100 000 მარკის ოდენობის გამოწერა მოგვიწევს" — ბრძანა ოტმარ ჰიცფელდმა.

მანვე დაადასტურა ის ფაქტი, რომ პატრიკ ანდერსონი კატალონიურმა კლუბმა, „ბარსელონამ" მიიწვია და 15 მილიონი მარკის სანაცვლოდ ეგებ გადავიდეს კიდეც. ბიქსენტ ლიზარაზუ და ჯოვანი ელბერი კი წავლას არ აპირებენ. გუნდმა ბრემენის „ვერდერის" პერუელი თავდამსხმელი კლაუდიო პიზარო შეიძინა და ამ ეტაპზე ალბათ მხოლოდ ამით შემოიფარგლება. მომავალი წლისთვის კი სებასტიან დაისლერის, მიხაელ ბალაკის და იენს ნოვოტნის გადაყვანასაც გეგმავს, ხოლო კლუბის ლიდერ შტეფან ეფენბერგის შესაძლო გადასვლა ინგლისში ხელმძღვანელობას ჯერ არ განუხილავს. ჰიცფელდს დიდი სურვილი აქვს, რომ ეფენბერგმა კარიერა „ბაიერნში" დაასრულოს და ამისთვის ბრძოლასაც აპირებს.

სანამ ბავარიულ გრანდში ცვლილებები მიმდინარეობს, ჟურნალისტები იკვლევენ, თუ სად წავიდა 600 000 მარკა, ანუ ნაწილი იმ თანხისა, რომელიც „ბაიერნის" ცოცხალი ლეგენდის, ლოთარ მათეუსის გამოსათხოვარი მატჩის შემდეგ შეგროვდა. როგორც თავად მათეუსმა განაცხადა, ზემოთხსენებულ თანხას გერმანულ საქველმოქმედო ორგანიზაციებს გადაურიცხავდა. თუმცა დიდი დრო გავიდა და ამ ორგანიზაციების ანგარიშებზე ერთი მარკაც კი არ დამჯდარა. კითხვაზე, თუ სად გაქრა ეს ფული, ლოთარმა უპასუხა, რომ ბოლო მომენტში მან ადრესატი შეცვალა და სხვა ორგანიზაციები „გააბედნიერა". მათი დასახელებისაგან კი თავი შეიკავა, რამეთუ ეს, როგორც თავად თქვა, მხოლოდ მისი პირადი საქმეა.

**გაგა ხუციშვილი**

## ფეხბურთის რუკასთან



**ინგლისელ** თავდამსხმელ ალან სმიტს უეფამ ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯა. იგი „ლიდს იუნაიტედს" უეფას თასის პირველ ორ თამაშში დააკლდება. შეგახსენებთ, რომ სმიტი ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში „ვალენსიას" წინააღმდეგ საპასუხო შეხვედრაში მოედნიდან გააძევეს. ასევე ორმატჩიანი დისკვალიფიკაციით დაისაჯა „გალათასარაის" მოთამაშე ოკან ბურუქი, რომელმაც წითელი ბარათი ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში მადრიდის „რეალთან" შეხვედრაში მიიღო.

**პორტუგალიურმა „ბენფიკამ" ზაგრების „დინამოს" საუკეთესო ბომბარდირი ტომისლავ შოკოტა შეიძინა. 24 წლის ფეხბურთელმა ოთხწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. ლისაბონურმა კლუბმა კი მის სანაცვლოდ 1,2 მილიონი გირვანქა გადაიხადა. აღსანიშნავია, რომ შოკოტა შარშანდელ სეზონში ხორვატიის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გახდა. ახალ კლუბში მან პიერ ვან ჰოიდონკი უნდა შეცვალოს, რადგან თითქმის გადაწყვეტილია, რომ ჰოლანდიელი თავდამსხმელი „ბენფიკაში" აღარ დარჩება და სავარაუდოდ, ინგლისში გადავა სათამაშოდ.**

**შოტლანდიურმა** „ჰიბერნიანმა" კლუბისთვის სარეკორდო თანხად, 700 ათას გირვანქად ეკვადორელი მცველი ულირე დე ლა კრუზი გადაიბირა. „დეპორტივო უნივერსიტატიას" მოთამაშემ ედინბურგულ კლუბთან ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა. „ჰიბერნიანის" მწვრთნელს, ალექს მაკლიშის განცხადებით, იგი ბოლო ხანს ყურადღებით აკვირდებოდა დე ლა კრუზის თამაშს და ეკვადორი — პერუს შეხვედრას პირადადაც დაესწრო. დე ლა კრუზი ეკვადორის ნაკრების წევრია და „კოპა ამერიკაზე" სათამაშოდ მიიწვიეს, სულ კი ეროვნულ გუნდში 42 მატჩი ჩაუტარებია.


იყიდება
ვიოლინო, ზომა 3/4.
ტელ: 33-27-36



ზაზა ფაჩულია



ნიკა ცქიტიშვილი

# სხვებმა შავი კატა ინატრონ

**„ფილადელფია სიქსერზის"** თავკაცმა ლარი ბრაუნმა გადახედა სათადარიგოთა სკამს და შეამჩნია, რომ მის შეგირდთა თითქმის ნახევარს შეადგენენ საზაფხულო ლიგის დონის მოთამაშეები, რომლებიც ნბა-ს უსუსტეს გუნდში მეთერთმეტე-მეთორმეტე კაცად მოხვედრაზე ოცნებობენ. შემდეგ მწვრთნელმა გაიხსენა, რომ გუნდის ბირთვის რამდენიმე წევრს, მაგალითად, აარონ მაკკისა და ჯორჯ ლინჩს, ტრავმების გამო თამაში კი არა, ლამის ძუნძულიც აღარ შეუძლიათ, ხოლო „სიქსერზის" ლიდერი ალენ აივერსონის წვრილმან ტრავმებს ვერავინ მოთვლის და ბრაუნმა თავისთვის ჩაილაპარაკა: „ჩვენ ფინალში ვართ". მერე ამ კალათბურთში გაჭაღარავებულ კაცს თვალი მეტოქესკენ გაექცა და დაინახა მონსტრი, რომელმაც ფინალამდე ერთი ამოსუნთქვით გადალახა სხვათათვის ასე ძნელად დასაძლევი ბარიერი და რომლის დამარცხებაც აგერ ორი თვეა, ოცნებად ექცათ ნბა-ს უძლიერეს გუნდებს.

და მაინც, ბრაუნის „ფილადელფია" ყველა დანარჩენზე ღირსეული მეტოქე გამოდგა „ლეიკერსისთვის". მან ერთადერთმა მოუგო თამაში ლოსანჯელესელებს და გაუხუნა ოცნება, მატჩის წაუგებლად დაედგათ თავზე დაფნის გვირგვინი.

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ მარცხი, თუნდაც ღირსეული, მაინც მარცხია და ფილადელფიელებიც ვერ იქნებიან კმაყოფილნი. ამასთან, არაა გამორიცხული, „სიქსერზსაც" იგივე დაემართოს, რაც „ლეიკერსის" მიერ წინა ფინალში ძლეულ „ინდიანას". შარშან ფინალში გასვლით „ინდიანამ" თავისი შესაძლებლობები ამოწურა და დაიშალა კიდეც. მხცოვანი ლარი ბრაუნი (ისევე როგორც შარშან „ინდიანას" თავკაცი ლარი ბერდი) პენსიაზე ფიქრობს, თავისუფალი აგენტები არიან გუნდის ლიდერები — დიკემბე მუტომბო და აარონ მაკკი და შესაძლოა კარიერის სხვაგან გაგრძელება ისურვონ. თუმცა, როგორც თავად ფილადელფიელები ირწმუნებიან, ისინი გულს არ იტეხენ და ჯერ დაშლაზე არც ფიქრობენ. ამ ზაფხულს აარონ მაკკი, აივერსონის დარად, მკურნალობას აპირებს. „მომავალ სეზონს ჯანზე უნდა შევხვდე. დაწყებული საქმე ბოლომდე უნდა მივიყვანოთ" — ამბობს იგი.

ფინალში დამარცხება, ცხადია, უდიდესი იმედგაცრუებაა, თუმც მაკკის სიტყვებიდან ჩანს, რომ მასა და მის თანამებრძოლებს ჯერ ხელი არ ჩაუქნევიათ და გაისად შეეცდებიან იმის მიღწევას, რაც ახლა ვერ შეძლეს. „ფილადელფიას" მხოლოდ ჩემპიონობა სურს, მაგრამ საკითხავი ისაა, მიაღწევს თუ არა „სიქსერზი" ან ნებისმიერი სხვა მწვერვალს, სანამ „ლოს ანჯელეს ლეიკერსი" ასეთი სახით იარსებებს. თვით ნბა-ს ხუთგზის ჩემპიონი და სამგზის უძვირფასესი, ლეგენდარული მეჯიქ ჯონსონი აცხადებს, დღევანდელ „ლეიკერსს" ნბა-ს ისტორიაში იქნებ არც მოეძებნებოდეს ბადალი, შაკილ ონილის დარი კალათბურთელების ჩამოსათვლელად კი იქნებ ერთი ხელის თითებიც გეყოსო.

ისე, ვინ იცის, ეგებ დაშლის საფრთხე „ლეიკერსსაც" დაემუქროს. ამის მიზეზი გუნდის ორ სუპერვარსკვლავს — შაკილ ონილსა და კობი ბრაიანტს შორის არსებული უთანხმოებაა. უკვე გასრულებული სეზონის შუაწელს შაკმა და კობიმ სერიოზულად იჩხუბეს, რადგან გუნდის ლიდერობა ვერ გაიყვეს. საბოლოოდ ისინი შერიგდნენ და პლეი ოფისთვის მათ შორის უთანხმოება გაქრა. ერთ-ერთი მატჩის შემდეგ ონილმა ისიც თქვა, კობი ჩემი კერპიაო. მათ მშვიდობიანად განვლეს პლეი ოფი, თუმც ყოველთვის იარსებებს საშიშროება, რომ ეს ორი ახირებული ბიჭი გვერდიგვერდ თამაშს აღარ ისურვებს.

თუმც დღეს ვარსკვლავთა შორის ზავია და შაკი გაიძახის, ერთად ვიქნებით, სანამ კიდევ ბევრჯერ არ გავხდებით ჩემპიონები და ჩვენს შორის არასდროს გაირბენს შავი კატაო. კობიც კვერს უკრავს, ცოტა ხნის წინ ვფიქრობდი, სხვაგან ხომ არ გადავსულიყავი, მაგრამ კიდევ კარგი, ეს აზრები უკუვაგდეო.

შაკილ ონილი სხვა რამესაც ამბობს: „რამდენიმე წელიწადში შვილებს მუხლებზე დავისვამ, წიგნს გადავშლი და ვუჩვენებ, აი, მაგარი კაცი, სახელად მაიკლი, აი, მეჯიქი, აი, ჰაკიმი და აი, აგერ მე." დროს მას ამ დიადთა გვერდით დააყენებს, მანამდე კი შაკი თანაგუნდელებს მოუწოდებს, თავის დროზე ყველაფერი იქნება, ახლა კი მოდით, გავიხაროთ, ჩვენ ხომ ჩემპიონები ვართო. ის, რომ „ფილადელფიასთან" ბოლო მატჩის შემდეგ ჩემპიონობა, როგორც რიგითი გამარჯვება, ისე აღიქვეს, ონილმა დაღლილობას მიაწერა. გრძელმა სეზონმა და მძიმე პლეი ოფებმა (ვითომ?) ისე დაგვღალა, გალიმების თავიც აღარ გვქონდაო, ერთგვარად თავი იმართლა მან. აი, მერე კი მოულხინა ჩემპიონმა, შამპანურსაც გაუსინჯა გემო.

„ლეიკერსის" ზედიზედ მეორე გაჩემპიონებას, თავად გუნდის დარად, ლოსანჯელესელები შარშანდელთან შედარებით ნაკლები აჟიოტაჟითა და ზარზეიმით შეხვდნენ. 15 ივნისს ფილადელფიაში გამართულ ფინალური სერიის ბოლო შეხვედრას 18 ათასმა ლოსანჯელესელმა „ლეიკერსის" შინაურ დარბაზ „სტეიპლზ სენთერში" გიგანტურ ეკრანზე უყურა, შემდეგ კი ეს ზღვა ხალხი მშვიდობიანად დაიშალა. მხოლოდ რამდენიმე ხულიგანმა დაანთო დარბაზის წინ პატარა კოცონი და ისინიც მალევე მიმოიფანტნენ, როგორც კი პოლიცია გამოჩნდა. ლოსანჯელესელ წესრიგის დამცველთა შიში, შარშანდელი არ განმეორებულიყო, ფუჭი გამოდგა. შარშან კი, გეხსომებათ, თავიანთ კერპთა ჩემპიონობა ლოსანჯელესელმა ფანებმა მასობრივი ბუნტით აღნიშნეს. მათ ესმსხვერპლა მრავალი მაღაზიის ვიტრინა და რამდენიმე ავტომობილი, მათ შორის ორი პოლიციისა, ქალაქის სხვადასხვა უბნებში კი ხანძარმა იფეთქა. „ლეიკერსის" ჩემპიონობამ მაშინ მზიური ლოს ანჯელესი თითქმის მილიონი დოლარით აზარალა. წლეულს მსგავსი არაფერი მომხდარა.

ასევე მშვიდობიანად ჩაიარა ორშაბათს ჩემპიონთა შეხვედრამ ხალხთან. „სტეიპლზ სენთერის" წინ მოწყობილ სცენაზე „ლეიკერსი" გულშემატკივრებს შეეგება. შაკილ ონილმა გაიხსენა, რომ კალათბურთის თამაშის გარდა, რეპის სტილში სიმღერაც შეუძლია (მართალი რომ ითქვას, მას, როგორც მუსიკოსს, შორს ვერ გავარდნია სახელი) და ნახევარი მილიონი თანაქალაქელი თავისი ხმით დაატკბო. „ლეიკერსის" მწვრთნელმა ფილ ჯექსონმა კი, რომელსაც რედ აუერბახის შემდეგ მწვრთნელის რანგში ყველაზე მეტი ჩემპიონობა მოუპოვებია, ქომაგებს ბოდიში მოუხადა „ლეიკერსის" იმ ერთადერთი მარცხისთვის, რომელიც მისმა გუნდმა ფინალური სერიის პირველ მატჩში შინ „ფილადელფიასთან" იწვნია.

ბოლოს კი ისიც ვთქვათ, რომ თავის კერპთა წარმატებით აღფრთოვანებულმა ნახევარ მილიონზე მეტმა მოქალაქემ ლოს ანჯელესის ქუჩებში საზეიმო ალლუმი მოაწყო.

დღეს ყველა ბედნიერია კალიფორნიის უდიდეს ქალაქში, ყველაზე მეტად კი ქალაქის პოლიცია ხარობს, რადგან, მათდა გასაოცრად, ამ მოვლენამ ყოველგვარი აყალმაყალის გარეშე ჩაიარა. „ლეიკერსის" ჩემპიონობამ მხოლოდ ერთ ადამიანს ავნო: 43 წლის ქალს დემონსტრაციის დროს მანქანა დაეჯახა და მსუბუქად დააშავა.

**ირაკლი ფირცხვილი**



REUTERS

კობი ბრაიანტი და შაკილ ონილი ჩემპიონობას ლოს ანჯელესის ქუჩებში ზეიმობენ

# ქართული ტანდემი იტალიაში

**მას** შემდეგ, რაც „ულქერი" თურქეთის ჩემპიონატში ოქროს მედლებს დაეუფლა, მისი მოთამაშეებით ერთობ დაინტერესდნენ ევროპული გრანდები. ეს პირველ ყოვლისა, 17 წლის ქართველ ცენტრზე, ზაზა ფაჩულიაზე ითქმის. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენებურს თურქეთის პირველობაზე ჩემპიონთა შემადგენლობაში არცთუ ხშირად ეძლეოდა თავის გამოჩენის საშუალება, მაღალ დონეზე თამაში რომ ძალუძს, თბილისში, საქართველოს ნაკრების რიგებში ჩატარებულ მატჩებშიც დაამტკიცა. ცხადია, ახალგაზრდა, პერსპექტიული მოთამაშე ყურადღების მიღმა არ დარჩებოდათ ევროპის კალათბურთის წრეებში და არცაა გასაკვირი, რომ მას, არც მეტი, არც ნაკლები, თვით შარშანდელი ევროლიგის გამარჯვებულის, ათენის „პანათინაიკოსის" მწვრთნელმა, კალათბურთის დიდებულმა სპეციალისტმა, ჟელკო ობრადოვიჩმა მიაქცია ყურადღება. მაგრამ ჯერ, სანამ საბერძნეთში სატრანსფერო სეზონი არ გახსნილა, „პანათინაიკოსის" მესვეურები ოფიციალური განცხადების გაკეთებისგან თავს იკავებენ. ისინი უკვე დაუკავშირდნენ ზაზას აგენტ მარკ ფლეიშერს და ჩვენებურის შესახებ ინფორმაცია ითხოვეს. ეს კი საკმაო საფუძველია იმისა, რათა ვივარაუდოთ, რომ ბერძნებს სერიოზული ზრახვები აქვთ.

სანამ ფაჩულიას ბედ-იღბალს კომპეტენტური პირები გადაწყვეტენ, ზაზა იტალიაში, ტანმაღალ კალათბურთელთა საერთაშორისო შეკრებაზე მიემგზავრება, სადაც მისი პარტნიორი მეორე ქართველი, არანაკლებ პერსპექტიული 210-სანტიმეტრიანი ფორვარდი, ნიკა ცქიტიშვილი იქნება.

„ეს ტრადიციული შეკრებაა. მას არაერთი მაღალი დონის სპეციალისტი დაესწრება, რომელთა შორისაც „დალას მავერიქსის" ერთ-ერთი მწვრთნელი და რამდენიმე წარმომადგენელიც იქნებიან. იქ ჩატარებულ მატჩებში მე და ნიკა უდიდეს გამოცდილებას შევიძენთ. არ არის გამორიცხული, ჩვენით რომელიმე კლუბი დაინტერესდეს. რაც შეეხება „პანათინაიკოსს", ჯერჯერობით პირადად ჩემთვის არავის მოუმართავს. ბერძნები ჩემს აგენტს დაუკავშირდნენ და ვნახოთ, რა გამოვა. ისე, წინააღმდეგი არ ვიქნები, „პანათინაიკოსში" ან სხვა რომელიმე ევროპულ გუნდში გადავიდე, ოღონდ კი საშუალება მომცენ, მოედანზე უფრო მეტი დრო დავყო, ვიდრე „ულქერში" მიწევდა" — გვითხრა გუშინ თურქეთიდან წინაღამით დაბრუნებულმა ზაზა ფაჩულიამ. იმ დროისთვის, როცა ამ სტრიქონებს წაიკითხავთ, იგი უკვე იტალიაში იქნება.

**ირაკლი ბერტაია**

## ესპანეთი

**პლეი ოფი**

ფინალი (სამ მოგებამდე)

| | |
|---|---|
| **ბარსელონა** | **2** |
| **რეალი** | **0** |

**ბარსელონა 80:77 რეალი**

**ბარსელონა:** როდრიგესი (5), ჰოკინსი, დე ლა ფუენტე (10), ელსონი, ნავარო (9), დუენიასი (10), იასიკევიჩიუსი (18), რენციასი (1), გასოლი (17), კარნიშოვასი (10)

**რეალი:** ა. ანგულო (6), სტრიულენსი (17), ჯორჯევიჩი (7), ლ. ანგულო, მიკი (5), ერეროსი (12), მილიჩი (4), ზიდეკი (5), ლოპესი (16), იტურბე (5)


# იყიდება



☎ (231) 7 17 58

ბინა ინდივიდუალური პროექტით აშენებული რვაბინიანი სახლის მესამე სართულზე. საცხოვრებელი ფართი 250 მ². დამხმარე ფართი 80 მ² პირველ სართულზე.

**ქუთაისში**

ირაკლი აბაშიძის გამზირი, 18. კინოთეატრ "ულიაოსთან"

# ირაკლი ლაბაძე საქართველოს არ დაუკარგავს!



გაჩეჩი კოთოლაშვილის ფოტო

ირაკლი ლაბაძე

*საქართველოს ვაჟ ჩოგბურთელთა ნაკრებმა წარუმატებლად იასპარეზა მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატის — დევისის თასის წლევანდელ გათამაშებაში. ჩვენი ბიჭები შორეულ ბოტსვანაში ევროაფრიკული ზონის ოთხგუნდიან ტურნირში ბოლოსწინა ადგილზე გავიდნენ, რის გამოც ყველაზე სუსტ, მეოთხე ჯგუფში ჩამოქვეითდნენ. ირაკლი უშანგიშვილმა, ოთარ ენუქიძემ, მიხეილ ჩოხელმა და მიხეილ ჩადუნელმა რაც შეეძლოთ, ყველაფერი იღონეს, მაგრამ კენიელებთან მშრალი ანგარიშით (3:0) გამარჯვების შემდეგ მადაგასკართან (1:2) და ლატვიასთან (0:3) დამარცხდნენ. არადა, იმ კუნძულელ მადაგასკარელთა ძლევით მესამე ჯგუფში ადგილს შევინარჩუნებდით, ხოლო კიდევ ერთი — განასთან შეხვედრის მოგებით მეორე ჯგუფამდეც კი ავიდოდით. სამწუხაროდ, ასე არ მოხდა და თბილისის კორტებზე საქართველოს ნაკრების სადევისო ტურნირში ხილვა სულ ცოტა, სამი წლით გადაიდო.*

*ხსენებულ არცთუ რთულ პრობლემას ჩვენი გუნდი ალბათ წარმატებით დაძლევდა, მის შემადგენლობაში საქართველოს საუკეთესო ჩოგბურთელი ირაკლი ლაბაძე რომ ყოფილიყო. მაგრამ მიზეზთა გამო მან ვერ მიიღო თამაშებში მონაწილეობა. კონფლიქტიც ამ ფაქტმა წარმოშვა. საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ლეილა მესხმა ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, ირაკლი ლაბაძე საქართველოსთვის აღარ არსებობსო.*

*ცხადია, მეტად მკაცრი, კატეგორიული ნათქვამია. ქალბატონ ლეილასთან ჩვენი შეხვედრისას სწორედ ამ ფრაზაზე გავამახვილეთ ყურადღება.*

— გეთანხმებით, ცუდი ნათქვამია, მაგრამ, რასაკვირველია, ეს პირდაპირი გაგებით არ მქონია მხედველობაში — გვითხრა ლეილა მესხმა. — ზოგი ქვეყანაში ტერორისტულ აქტს აწყობს და მათზეც კი არ ამბობენ, საქართველოსთვის არ არსებობსო. მე ვთქვი, ირაკლი ლაბაძე საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციისთვის აღარ არსებობს როგორც სპორტსმენი, რადგან რა უნდა გააკეთოს მან იმაზე მეტი, ვიდრე დევისის თასზე სამშობლოს სახელით ითამაშოს.

თანაც ეს უარის პირველი შემთხვევა არ გახლავთ. რაც მთავარია, ადრე დაგვპირდა, რომ ჩამოვიდოდა. მესმის, რომ ირაკლის ერთმანეთის მიყოლებით უწევს ტურნირებში გამოსვლა, რაც მას რეიტინგის გასაუმჯობესებლად სჭირდება, მაგრამ ხომ შეიძლებოდა, ერთი ფაქსი მაინც გამოეგზავნა ჩვენთან, ფედერაციაში — ამა და ამ მიზეზის გამო თამაშებში მონაწილეობას ვერ მივიღებო და ფაქტის წინაშე არ დავეყენებინეთ. მე მას, როგორც სპორტსმენი სპორტსმენს, გავუგებდი. ის კი, რომ აფრიკაში წასვლამდე რამდენიმე დღით ადრე მისი ოჯახისგან ვიგებთ, ირაკლი არ ჩამოვაო, ჩემთვის ძალიან გულდასაწყვეტია. ყველას თავისი გზა აქვს და თავად იცის, რა აკეთოს. მე ირაკლის ოჯახთან მშვენიერი დამოკიდებულება მაქვს და არ მინდა, ჩემი ნათქვამით გული ვატკინო, ან ამან მის კარიერაზე უარყოფითად იმოქმედოს. ვიდრე საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ვარ, ყოველ ღონეს ვიხმარ, რათა ლაბაძემაც და სხვებმაც უფრო მეტ წარმატებას მიაღწიონ და უფრო მაღალი დონის სპორტსმენები გახდნენ...

***ამ საკითხზე რედაქციაში დაგვიკავშირდა ირაკლი ლაბაძის ბაბუა სოლომონ ნანიტაშვილი, რომელმაც მეტად ემოციურად გამოხატა თავისი გულისტკივილი:***

— „ასეთი განცხადების გამო ძალიან გულნატკენი ვარ ლეილა მესხზე, იმ ადამიანზე, ვისაც თაყვანს ვცემდი როგორც სპორტსმენს, მანდილოსანს, დედას... ჩემი აღშფოთება და უდიდესი ტრავმა გამოიწვია მისი საუბრის ტონმა და სისასტიკემ ირაკლისადმი. სწორედ ამიტომ მინდა მივმართო მას: ქალბატონო ლეილა, მე არ ვაპირებ თქვენს პროფესიულ საუბარში ჩარევას, მაგრამ გეკითხებით, ვინ მოგცათ უფლება, დევისის თასზე მონაწილეობის არ თუ ვერმიუღებლობისთვის საქვეყნოდ გააკეთოთ განცხადება, რომ „ირაკლი ლაბაძე საქართველოსათვის აღარ არსებობს". ხომ არ იჩქარეთ? იქნებ ასეთი დაუნდობელი განაჩენი საერთოდ მიღებული ცივილიზებული წესით ირაკლისთან გასაუბრების, მიზეზების გარკვევის შემდეგ გამოგეტანათ?! ვინ მოგცათ უფლება, ირაკლი საკუთარ სამშობლოს მოჰკვეთოთ? ის ხომ ჩოგბურთელის გარდა საქართველოს მოქალაქეა, საქართველოს შვილია და საქართველოს ავტორიტეტისათვის მის ასაკში სხვაზე მეტი თუ არა, ნაკლები საქმე არ უკეთებია. თქვენ კი აღნიშნავთ, „ერთადერთი, რაც მას შეუძლია გააკეთოს, ეს დევისის თასზე ნაკრების შემადგენლობაში თამაშია." რატომ მხოლოდ ერთადერთი და სხვა არაფერი? რატომ გადაუწურეთ წყალი? გაიხსენეთ თუნდაც, რომ ის ევროპის ჩემპიონია, „როლან გაროსის" წყვილთა შორის გამარჯვებული, მსოფლიოს ახალგაზრდული თამაშების ჩემპიონი, უიმბლდონის ჭაბუკთა ტურნირის ფინალისტი. იქნებ გვითხრათ, ვისთვის თამაშობს? საბერძნეთისთვის, თურქეთისთვის, რუსეთისა ან გერმანიისთვის? და მათი სახელით გამოდის, როგორც ეს მრავალმა სპორტსმენმა გააკეთა? თქვენ ხომ კარგად იცით, რომ ვერც ერთი ქვეყნის სპორტული ორგანიზაციების შემოთავაზებულმა „ბროლის კოშკებმა" ვერ აცდუნა ირაკლი.

ვინ მოგცათ უფლება, ჩოგბურთის ფედერაცია გააიგივოთ მთელ საქართველოსთან. თუნდაც ჩოგბურთის ფედერაციას ვინ მისცა უფლება თქვას, „ირაკლი ლაბაძე საქართველოსათვის აღარ არსებობს", რა უფლება გაქვთ თქვათ, რომ „ირაკლი უგულებელყოფს... ჩვენს ქვეყანას". ამაზე მეტი ბრალდება, ამაზე მეტი სისასტიკე იქნება? როდის ჰკითხეთ საქართველოს, ირაკლი არსებობს თუ არა მისთვის? ვინ მოგანიჭათ თქვენ უფლება, ილაპარაკოთ მთელი საქართველოს სახელით?

ცოტა შორს გახედვა გმართებთ ქალბატონო ლეილა. თქვენ ხომ არა პირად, არამედ საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტის განცხადებას აკეთებთ? მომავალზეც უნდა იფიქროთ. ვნახოთ, მომავალი იქნებ თქვენი ნების საწინააღმდეგოდ განვითარდეს. თქვენ ხომ ამბობთ, „საქართველოში უძლიერესი ვაჟი ჩოგბურთელი ირაკლი ლაბაძეა" და ეს ირაკლი ლაბაძე 9 ივნისს მხოლოდ 20 წლის გახდა და დაბადების დღე თქვენ, ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა, ასეთი „მილოცვით", „სითბოთი" და „ზრუნვით" აღნიშნეთ. ლამის საქართველოთს მოქალაქეობა ჩამოართვათ, აუკრძალოთ საქართველოს სახელით გამოსვლა, სამშობლო შეაჯავროთ და ეს ყველაფერი იმ დროს, როცა ირაკლი პრესტიჟულ უიმბლდონის ტურნირზე მონაწილეობისთვის ემზადებოდა. კარგი მორალური „მხარდაჭერა" და შემახილია დიდი ბრძოლის წინ. აფერუმ, თქვენს ქალობას, დედობას და ქვეყნის ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტობას.

ერთ ფაქტს შეგახსენებთ. ქვეყნის უმაღლეს ხელისუფალს, პრეზიდენტს, ბატონ ედუარდ შევარდნაძეს იმ ადამიანების მიმართ, რომლებმაც ხელი აღმართეს მის სიცოცხლეზე, არ უთქვამს, რომ „ისინი საქართველოსათვის აღარ არსებობენ". თქვენ კი რა დაგემართათ, რა მოხდა ასეთი, რომ ცდილობთ, მზარდი ჭაბუკი სამშობლოს მოჰკვეთოთ, შეიჯავროთ.

ნუთუ თქვენი აზრით, „სერიოზული პრობლემები გვაქვს დევისის თასის გათამაშებაში ვაჟთა შორის" და გუნდის მეოთხე ჯგუფში გადასვლა მარტო ირაკლის თავზე უნდა გადატეხოთ? რას აკეთებთ იმისათვის, რომ ფედერაცია ერთი კაცის იმედით არ იყოს? ესაა თქვენი ფედერაციის მოღვაწეობა? იქნებ გადახედოთ საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის მიერ დღემდე გაწეულ ხარჯებს. რა გაქვთ დახარჯული ირაკლის „უძლიერეს ვაჟ ჩოგბურთელად ჩამოყალიბებისათვის"? თქვენ ხომ იცით, რომ ეს ტვირთი მხოლოდ ირაკლის მამის გივი ლაბაძის (რომელიც საქართველოს სპორტის დეპარტამენტის მიერ აღიარებულია დამსახურებულ მწვრთნელად) დამსახურებაა? თქვენ ირაკლი მაშინ მოიკითხეთ, როცა დაგჭირდათ. რა თქმა უნდა, ისიც ვალდებული იყო ჩამოსულიყო და ნაკრებში საქართველოსთვის ეთამაშა, მაგრამ გაარკვიეთ, რატომ არ ჩამოვიდა? იქნებ ჰქონდა ობიექტური მიზეზი? თანაც, მისი ჩამოუსვლელობის შესახებ თქვენ სამი კვირით ადრე იცოდით.

როგორც ჩანს, თქვენ არ გეყოთ ან არ გაგაჩნიათ სიტყვების იმდენი მარაგი, რომ საყვედური, თუ ეს თქვენი თვითმიზანია, სხვა სიტყვებით, სხვა ფორმით გამოხატოთ, რათა ტრავმა არ მიაყენოთ ადამიანებს!

რა პასუხს აძლევთ ირაკლის თანაკურსელებს, მეგობრებს, მეზობლებს, თანაკლასელებს, ნათესავებს და ახლობლებს, რომლებიც მისით ამაყობენ?

ნუთუ იმ დევისის თასზე არ ან ვერმონაწილეობა ღირდა იმად, რომ ასეთი დიდი ტრავმა მიაყენეთ ირაკლის დედას, მამას, ძმას, ბაბუას, 75 წლის კაცს და მთელ საზოგადოებას და ამის შემდეგ კიდევ აცხადებთ, რომ „საკმაოდ სიმპატიურად ვიყავი განწყობილი ამ ჩოგბურთელის მიმართ". არა, ქალბატონო ლეილა, ეს სიყალბეა.

როგორც ჩანს, ისევე, როგორც თქვენს წინამორბედებს, არც თქვენ გცალიათ საქართველოში ვაჟთა ჩოგბურთის განსავითარებლად და გამზადებულზე გინდათ ცხოვრება.

ამიტომ გთავაზობთ: ამ მეტად უპასუხისმგებლო, დაუფიქრებელი, სასტიკი და მოუზომავი განცხადებისთვის ირაკლი ლაბაძის, მისი ოჯახის და მთელი საზოგადოების წინაშე საქვეყნოდ მოიხადოთ ბოდიში.

მინდა იცოდეთ, ქალბატონო ლეილა, რომ ბოდიშის მოხდა ჩემი თვითმიზანი არაა, თქვენ ახალგაზრდა ხართ და ეს ისევ თქვენ გჭირდებათ, თუ მომავალშიც აპირებთ პრეზიდენტის პოსტზე ყოფნას."

**გია ახალაძე**

# პიტი ისევ პირველია
## ლაბაძე ორ ფრონტზე იბრძვის

**ორშაბათს** მსოფლიოს ყველაზე პრესტიჟული საჩოგბურთო ტურნირის — უიმბლდონის ორგანიზატორებმა განთესილთა ვინაობა და თანმიმდევრობა გამოაცხადეს. ჩვეულებრივ, აღსანიშავი და გასაგიჟებელი აქ არაფერია, მაგრამ წლეულს სხვადასხვა გარემოებათა გამო ამ ფაქტს განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა: ჯერ ერთი, პირველად ისტორიაში, დიდი სლემის ტურნირზე ერთბაშად 32 მოთამაშე განთესეს, მეორეც, რამდენიმე ჩოგბურთელი მათი ინტერესების უგულებელყოფის შემთხვევაში ბოიკოტით იმუქრებოდა.

„ოლ ინგლენდ კლაბის" თავკაცი ტიმ ფილიპსი ბოლო ოთხი თვის მანძილზე ლამის ყველა ATP-ის ტურნირს დაესწრო და თითოეულ მოთამაშეს მოელაპარაკა განთესვის სისტემის თაობაზე. ყველაზე უკმაყოფილონი თიხნარზე თამაშის ოსტატები იყვნენ, რომლებიც მოითხოვდნენ, განთესვა ვაჟების კლასიფიკაციას პირდაპირ დამთხვეოდა. მასპინძლებმა ამაზე განუცხადეს, თქვენი დიდი ხათრი გვაქვს, მაგრამ არაო, თუმცა ბოლოს და ბოლოს კომპრომისზე წავიდნენ: გაუქმდა ძველი სპეციალური კომისია, განთესილთა რაოდენობა კი 16-დან 32-მდე გაიზარდა.

ახალი სისტემის მიხედვით, 32 იღბლიანის ვინაობა ტრადიციული კლასიფიკაციის მიხედვით ვლინდება, მერე კი თითოეული ჩოგბურთელის მონაგარს გასული ოთხი წლის მანძილზე ბალახზე ნაოფლარით მოპოვებული ქულები ემატება თანმიმდევრობის დასაზუსტებლად. ზოგიერთი მოთამაშე ამითაც უკმაყოფილო დარჩა, თუმცა ორგანიზატორებს საქმე აჯანყებულთა ორი ლიდერის — გუსტავო კუერტენისა და ალექს კორეჩას ტრავმების გამო არყოფნამ შეუმსუბუქა.

ზემოხსენებული ცვლილებების შედეგად უიმბლდონის შვიდგზის ჩემპიონი პიტ სამპრასი მაინც პირველად განითესა, არადა, ამერიკელი საუკეთესოთა ნუსხაში მხოლოდ მეხუთეა და ერთი წელია, ტურნირი არ მოუგია. „პისტოლ პიტზე" მეტად იხეირა ავსტრალიელმა პატრიკ რაფტერმა, რომელიც დღეისთვის კლასიფიკაციით მეათე გახლავთ. მსოფლიოს ყოფილ პირველ ჩოგანს უიმბლდონზე შარშანდელი ფინალისტობა და შარშანწინდელი ნახევარფინალისტობა დაუფასეს და მესამედ განთესეს.

ახალ სისტემას ვერ დაემდურებიან ინგლისელი ტიმ ჰენმანი (მე-11 ადგილიდან მეექვსეზე აღზევდა), შვედი ტომას იოჰანსონი (16-11), შარშანდელი ნახევარფინალისტი ვლადიმირ ვოლჩკოვი (31-16), გერმანელი ნიკოლას კიფერი (29-19), ვეტერანი ამერიკელი ტოდ მარტინი (33-23) და ფრანგი ნიკოლა ესკუდე (32-24).

ყველაზე მეტად ორშაბათს გამოქვეყნებულ სიაში ასევე ბოიკოტის მომხრე ხუან კარლოს ფერერო დაზარალდა, რომელიც მეოთხედან მერვე ადგილზე დააქვეითეს. ყველა ელოდა, რომ ესპანელი პროტესტის ნიშნად უიმბლდონის დროს ორკვირიან შვებულებას აიღებდა, მაგრამ როლან გაროსის ნახევარფინალისტმა ომის გამოცხადებას დაზავება არჩია. „აუცილებლად ჩამოვალ, ბალახზე ვარჯიში უკვე დავიწყე" — შემოთვალა ფერერომ, რომელსაც მწვანე საფარზე კარიერაში სულ ერთი მატჩი ჩაუტარებია და უიმბლდონზეც პირველად იასპარეზებს.

რაც შეეხებათ მშვენიერი სქესის წარმომადგენლებს, განთესილთა რაოდენობა მათთანაც 32-მდე გაიზარდა, თუმცა თანმიმდევრობა ტრადიციულად უცვლელი დარჩა.

თუ ჩოგბურთის ბობოლები სეზონის მესამე დიდი სლემის ტურნირისთვის მხოლოდ ემზადებიან, ჩვენებური ირაკლი ლაბაძესთვის უიმბლდონი უკვე დაიწყო. 19 წლის თბილისელმა ერთეულებში შესარჩევი ტურნირის პირველ წრეში იოლად, 6:4, 6:1 დაამარცხა ჩეხი ფრანტიშეკ ჩერმაკი. ლაბაძის მომდევნო მეტოქე კლასიფიკაციით ოდენ 524-ე, მასპინძელი ლუკ მილიგანი იქნება. მართალია, ამჟამად მილიგანი დიდი მიღწევებით ვერ დაიკვეხნის, მაგრამ როგორც ყოველ ინგლისელს, ბალახზე ჭიპი აქვს მოჭრილი და რამდენიმე წლის წინ უიმბლდონის ძირითად ბადეში მესამე წრეშიც გასულა.

ლაბაძე „ოლ ინგლენდ კლაბში" ჩვეულ მეწყვილე — შვეიცარიელ გეორგ ბასტლთან ერთად წყვილების შესარჩევ ტურნირზეც ასპარეზობს. აქ პირველ წრეში მათი მეტოქეები ამერიკელები, ნათან ჰილი და ჯორდან კერი (2) იქნებიან.

**ავთანდილ სვანიძე**



პიტ სამპრასი უიმბლდონზე პირველ ნომრად განთესეს

ეროვნული ბიბლიოთეკა





ჯონათან ედვარდსი წარმატებულ ხტუნვას განაგრძობს

# დრექსლერი ვერ გამოჩნდა

**კიდევ** კარგი, რომ მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის (იააფ) ახალი რეგლამენტი მხოლოდ „გრან პრი 2"-ის ტურნირებზე მოქმედებს, თორემ ნიურნბერგის ჩვეულებრივი შეჯიბრის 100-მეტრიანი დისტანციიდან ბარე სამ კაცს გააგდებდნენ ფალშსტარტებისთვის. ხუთჯერ მოსწყდნენ ადგილს სპრინტერები და მსაჯის სიგნალმა ხუთჯერვე უკან დააბრუნა. ბოლოს შედგა წესიერი სტარტიც და ბრიტანელმა დუეინ ჩემბერსმა 10,14 წამით უწია ფინიშს, რაც უმაღლესი დონის შედეგი არ გახლავთ, მაგრამ იმისათვის საკმარისი აღმოჩნდა, მას ეთქვა: „მე გრინზე ვნადირობ, უკვე მთელი წელია, ამაოდ და ვაპირებ, მსოფლიოს ჩემპიონატზე მაინც მივწვდე". მაგრამ სად 10,14 და სად 9,91, რომელიც გრინმა წლეულს უკვე უჩვენა? ამიტომ საფუძვლიანად ვიტყვით, რომ ჩემბერსი ტყუილად აპირებს...

კუბელმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა ანიერ გარსიამ 110 მეტრზე თარჯრბენი გაჭირვებით მოიგო და სხვა ჩემპიონი, ნილს შუმანიც უეჭველად პირველი მივიდოდა 800 მეტრის ფინიშთან, მაგრამ თეძო ასტკივდა და ბილიკზე არ გასულა. შუბის ტყორცნისას მოწინავე მსოფლიო სამეულის არყოფნით ისარგებლა და გაიმარჯვა გერმანელმა რეიმონდ ჰეხტმა (იან ჟელეზნი, კოსტადინოს გაციუდისი და აკი პარვიაინენი „ჰელსინკის გრან პრი 2"-ის შემდეგ ისვენებენ), ხოლო 3000 მეტრზე სტიპლჩეიზში მაროკოელ ელ არბი ხატაბს კენიელთა არყოფნა მოუხდა. არაბმა ვეტერანმა ახალგაზრდობის გახსენების პროცესში უკვე მესამე ტურნირი მოიგო.

ჯონათან ედვარდსი ნიურნბერგში გამარჯვებული კიდევ ერთი ოლიმპიური ჩემპიონი გახლავთ (სამხტომი მოიგო), ხოლო ჰაიკე დრექსლერი — დამარცხებული. ქალთა სიგრძეზე ხტომის ცოცხალი ლეგენდა სამშობლოში საპრიზო ადგილზეც ვერ გავიდა, მხოლოდ მესამე იყო რუსი ფავორიტი ტატიანა კოტოვაც, მაგრამ ორივემ ცოტა ინერვიულა — ნიურნბერგში ხომ ერთი რიგითი ტურნირი ჩატარდა, სადაც გამოსვლა ოლიმპიური ჩემპიონისთვის ყოველდღიური სამუშაოზე ბევრად მეტი არ არის.

**დავით გულუა**

**მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის (იააფ) „გრან პრის" საერთო ჩათვლა 6 ეტაპის შემდეგ**

ვაჟები. 200 მ: 1. კრისტოფერ უილიამსი 24 ქულა (4 ტურნირი); 2. შონ კროუფორდი 19 (3); 3. აბდულ აზიზ ზაკარი (განა) 19 (4)

800 მ: 1. ხუდედის რობინსონი (აშშ) 15 (3); 2. უილიამ იამპოი (კენია) 15 (3); 3. მზულაენი მულაუძი (სამხრეთ აფრიკა) 13 (2)

1500 მ: 1. ნოა ნგენი (კენია) 15 (2); 2. კევინ სალივანი (კანადა) 15 (2); 3. ბერნარდ ლაგატი (კენია) 13 (2)

3000 მ: 1. სემი კიპკეტერი (კენია) 16 (2); 2. ლუკ კიპკოსგეი (კენია) 16 (2); 3. აბიოტე აბატე (ეთიოპია) 15 (3)

3000 მ. სტიპლჩეიზი: 1. ჯონ კოსგეი (კენია) 13 (2); 2. სტეფან ჩერონო (კენია) 10 (2); 3. ელ არბი ხატაბი (მაროკო) 10 (2)

110 მ. თარჯრბენი: 1. დუეინ უოლესი (აშშ) 21 (3); 2. კრის ფილიპსი (აშშ) 20,5 (3); 3. ტერი რიზი (აშშ) 20 (4)

სიგრძეზე ხტომა: 1. ჰუსეინ თაჰერ ალ საბე (საუდის არაბეთი) 19 (3); 2. იუნის მუდრიკი (მაროკო) 18 (3); 3. კევინ დილვორთი (აშშ) 15 (2)

ბადრო: 1. ჯეისონ ტიუნქსი (კანადა) 42 (6); 2. ვირგილიუს ალეკნა (ლიტვა) 39 (5); 3. ედამ სეტლიფი (აშშ) 29 (5)

შუბი: 1. ერიკს რაგსი (ლატვია) 14 (2); 2. რაიმონდ ჰეხტი (გერმანია) 10 (2); 3. კოსტადინოს გაციუდისი (საბერძნეთი) 8 (1)

ერთიანი ჩათვლა

1. ჯეისონ ტიუნქსი (კანადა) 42 (6); 2. ვირგილიუს ალეკნა (ლიტვა) 39 (5); 38 ედამ სეტლიფი (აშშ) 29 (5)

ქალები

200 მ: 1. ჯულიეტ კემპბელი (იამაიკა) 22 (3); 2. მარიონ ჯონსი (აშშ) 16 (2); 3. ლეონი მირიამ მარი (კამერუნი) 14 (2)

800 მ: 1. იოლანდა სტებლოვნიკ-სეპლაკი (სლოვენია) 19 (3); 2. კერმენ ჰაუელი (იამაიკა) 17 (3); 3. ფაბიანა დუშ სანტუში (ბრაზილია) 15 (2)

1500 მ: 1. მერდრი პაიმენი (იამაიკა) 13 (3); 2. ლუდმილა ვასილევა (რუსეთი) 10 (2); 3. შეინ უაილ-კალპეპერი (აშშ) 10 (2)

3000 მ: 1. ლეა მალოტი (კენია) 19 (3); 2. ბერანე ადერე (ეთიოპია) 17 (3); 3. აილებ ვორკუ (ეთიოპია) 12 (3)

400 მ. თარჯრბენი: 1. დები ენ პერისი (იამაიკა) 16 (2); 2. ნატალია ტორშინა (ყაზახეთი) 15 (2); 3. სანდრა კამინგს-გლოვერი (აშშ) 15 (3)

სიმაღლეზე ხტომა: 1. ემი ეკუფი (აშშ) 24 (3); 2. კეროლ ჯენკინს-დეიმონი (აშშ) 16 (3); 3. ერინ ოლდრიკი (აშშ) 10 (2)

ჭოკი: 1. სტეისი დრაგილა 32 (4); 2. ტატიანა გრიგორიევა (ავსტრალია) 31,5 (5); 3. მელისა მიულერი (აშშ) 20,5 (4)

სამხტომი: 1. ტერეზა მარინოვა (ბულგარეთი) 19 (3); 2. კრისტინა ნიკოლაუ (რუმინეთი) 19 (3); 3. ტატიანა ლებედევა (რუსეთი) 12 (2)

ბირთვი: 1. ნადეჟდა ოსტაპჩუკი (ბელარუსი) 18 (3); 2. კონი პრაის-სმიტი (აშშ) 13 (2); 3. ტერი სტიერ-ტიუნსკი (აშშ) 12 (2)

ურო: 1. ბრანუინ იგლზი (ავსტრალია) 29 (4); 2. ოლგა კუზენკოვა (რუსეთი) 22 (3); 3. კატალინ დივოში (უნგრეთი) 17 (3)

ერთიანი ჩათვლა:

1. სტეისი დრაგილა (აშშ) 32 (4); 2. ტატიანა გრიგორიევა 31,5 (5); 3. ბრანუინ იგლზი (ავსტრალია) 29 (4)



# ბუდაპეშტის წყალში ბურთს აგორებენ

**წყალბურთში** სიდნეის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონ უნგრეთის ნაკრებს საკუთარ კედლებში უწევს გამოცდის ჩაბარება — ბუდაპეშტში წყალბურთელთა ევროპის 25-ე ჩემპიონატი ტარდება. ბებერი კონტინენტის უძლიერესის გამოსავლენად 20 ნაკრები იბრძვის. აქედან 12 ვაჟთა და 8 ქალთა.

ასპარეზობებს ბუდაპეშტის შუაგულში მდებარე ლამაზი კუნძული მარგიტი მასპინძლობს.

სხვათა შორის, პაექრობები ორ ღია აუზში მიმდინარეობს. ამიტომ წვიმის გამო ორგანიზატორებს ერთხელ ასპარეზობების შეწყვეტაც მოუხდათ. მატჩები ორ ქვეჯგუფში მიმდინარეობს, საიდანაც ოთხ-ოთხი საუკეთესო გუნდი ხვალიდან პლეი ოფში ჩაერთვება. ვაჟებისგან განსხვავებით, ქალთა ქვეჯგუფებიდან სამ-სამი გუნდი გადის პლეი ოფში.

დავუბრუნდეთ ვაჟებს:

„ა" ჯგუფში შედარებით ძლიერმა გუნდებმა მოიყარა თავი. ოთხეულში მოსახვედრად იბრძვიან მასპინძლები, იტალიელები, ესპანელები, სიდნეის ოლიმპიადის ბრინჯაოსნები — იუგოსლავიელები, ჰოლანდიელები და რუმინელები.

„ბ" ჯგუფში მოხვდნენ ხორვატია, საბერძნეთი, სიდნეის ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორი რუსეთის ნაკრები, გერმანია, სლოვაკეთი და საფრანგეთი.

ხვალიდან მეოთხედფინალებიც გახურდება. ჯგუფებში მეორე-მესამე ადგილოსნები ჯვარედინი პრინციპით წარსდგებიან პირისპირ, ხოლო მეოთხე ადგილზე გასულებს პირველებთან მოუწევთ ჭიდილი. ნახევარფინალები 22 ივნისს გაიმართება, ფინალი და მესამე ადგილისთვის მატჩი კი 24 ივნისს.

**გიგა გურასაშვილი**

18 ივნისი

ვაჟები

„ა" ჯგუფი

ჰოლანდია 6:6 რუმინეთი

ესპანეთი 8:7 იტალია

იუგოსლავია 8:5 უნგრეთი

„ბ" ჯგუფი

სლოვაკეთი 13:8 საფრანგეთი

რუსეთი 9:6 გერმანია

საბერძნეთი 7:7 ხორვატია



REUTERS ბეჟან ჰეპკაძე(?)

იუგოსლავია — უნგრეთი. იუგოსლაველი პეტარ ტრბოევიჩი და ტამაშ კაშაში (წინა პლანზე)





ადოლფ ანდერსენი



ჰოვარდ სტონტონი

# არაჩვეულებრივი გამოფენა ლონდონში

## 150 წლის წინ პირველი საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი გაიმართა

**ყოველივე** ახალი კარგად დავიწყებული ძველია.

ეს ბანალური გამოთქმა ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციის (ფიდე) მიერ ბოლო წლებში ფართოდ რეკლამირებულ და აპრობირებულ „ნოკაუტ-სისტემასთან" კავშირში გაგვახსენდა, რომელიც სულაც არ გახლავთ მეოცე საუკუნის ბოლოს წარმონაქმნი. როცა ჩვენი ბაბუის ბაბუები ჯერ კიდევ ჩოხებით დადიოდნენ და ხანჯალს იქნევდნენ, ინგლისში გონიერთა მოზრდილ კომიტეტს უკვე გაემზადებინა რამდენიმეგვერდიანი ფოლიანტი, რომელზეც პირველი საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის წესი და რიგი იყო ჩამოწერილი.

ზუსტად საუკუნენახევრის ამბავია და ეს წერილიც იუბილესთან დაკავშირებით იწერება: 1851 წელს ინგლისში პირველი საერთაშორისო სამრეწველო გამოფენა ჩატარდა, რომლის ისტორიულ როლზე ამ საქმის ნებისმიერი სპეციალისტი საათობით ისაუბრებს. იმ დროს ცივილიზებულ ქვეყნებს ომთაშორისი პაუზა ჰქონდათ და ფაქტობრივად მთელი მსოფლიოს მოწინავე საზოგადოება ალბიონზე შეგროვდა. ეს იყო პირველი ნაბიჯი მსოფლიო ინტეგრაციისკენ და პროგრესულ საქმეში ჭადრაკმა თავისი წილი დაიდო. თვეობით იწვალეს კუნძულელებმა სოლიდური ტურნირის ორგანიზებისთვის. ორგკომიტეტს სათავეში ცნობილი ინგლისელი მოჭადრაკე, ორგანიზატორი, ჟურნალისტი, იურისტი და უბრალოდ, მოაზროვნე ჰოვარდ სტონტონი ჩაუდგა, ვისზეც შემდეგ ბობი ფიშერმა განაცხადა, მის პარტიებს რომ ვარჩევდი, ჭადრაკის უაღრესად თანამედროვე სული შევნიშნე, ყავლი ჯერაც არ გასვლიათო.

მაშინ სპონსორობის ინსტიტუტი ჩანასახში იყო, ტურნირის მოწყობას ძირითადად შემოწირულობათა ხარჯზე აპირებდნენ და არც საპრიზო ფონდი ყოფილა მოზრდილი, მაგრამ ლონდონში ჩასვლა არც ერთმა უძლიერესმა დაიზარა, მხოლოდ რუსები, იანიში და შუმოვი ვერ მოხვდნენ ალბიონზე, რადგან სანამ მიწვევებმა ინგლისიდან რუსეთს ჩააღწია და იქ ბიუროკრატიულ მანქანაში გაიარა, განაცხადების მიღების ვადა ამოიწურა.

„ნოკაუტ-სისტემასაც" მივადექით. ლონდონის ტურნირის რეგლამენტით, მოჭადრაკეთა 8 წყვილი ორ მოგებამდე ებრძოდა ერთმანეთს და სწორედ ესაა მთავარი და, ალბათ, სამართლიანი სხვაობა დღევანდელ „ნოკაუტებთან": ობიექტურად უფრო ძლიერის გამარჯვების შანსი მეტია. უნდა აღინიშნოს, რომ თვით მოჭადრაკეებს ეს ვარიანტიც არ მოსწონდათ და სამ მოგებაზე თამაშს იჟინებდნენ, მაგრამ ორგანიზაციული მომენტების გამო მერვედფინალი ორ მოგებამდე ჩატარდა. კენჭისყრის პრიმიტიულობის გამო (იგი ყოველგვარი განთესვის გარეშე მოეწყო) ერთი მერვედფინალური წყვილი ფინალის საფერი უფრო იყო და პირველი დრამაც გათამაშდა: ფრანგი ლიონელ კიზერიცკი უცებ გავარდა ტურნირიდან, არადა, იგი დაახლოებით იმ დროის კრამნიკი გახლდათ, ისევე როგორც მის ჯალათს, გერმანელ ადოლფ ანდერსენს მე-19 საუკუნის კასპაროვობა დაშვენდებოდა. ტურნირამდელ მსუბუქ პარტიებში კიზერიცკი დომინირებდა, მაგრამ სერიოზული თამაშისას ანდერსენმა მომქანცველი 8-საათიანი პარტიებიდან ორი მოიგო და ერთი ყაიმით დაასრულა. მერვედფინალშივე ჩარჩა ცნობილი ანდრე ლევენტალი და ორგანიზატორებს თმები ყალყზე დაუდგათ: ოთხი ფავორიტიდან ორი აღარ იყო, წინ კი სამი ეტაპი ელოდათ. მოსაგებ პარტიათა რიცხვი საჩქაროდ ოთხამდე გაზარდეს, მაგრამ კენჭისყრის სისტემას რაღა ეშველებოდა და ფინალის სადარი მეორე ბრძოლა ნახევარფინალში შედგა: ანდერსენი — სტონტონი.

გერმანელი მათემატიკისა და მშობლიური ენის პროფესორი და ინგლისელი... თუმც სტონტონის პროფესიათა სიმრავლე ზემოთ მოვიყვანეთ და ისიც სათქმელია, რომ არც ერთ ნახსენებ საქმეში სტონტონი დილეტანტი არ ყოფილა: ჭადრაკში ორჯერ მსოფლიოს არაოფიციალური ჩემპიონი გახდა, ლონდონის ტურნირის მოწყობამ სანახევროდ მასზე გადაიარა, ჭადრაკის წესების პირველი კრებულის ავტორია, აგრეთვე „ჭადრაკის მოთამაშის სახელმძღვანელოსი", რომელიც საუკუნის ბოლომდე 20-ჯერ გამოიცა და ბოლოს, ვერც „ილუსტრეიტიდ ლონდონ ნიუსის" მესვეტედ ივარგებს კაცი, თუ ჟურნალისტიკაში კარგად არაა ჩახედული.

მოკლედ, ჰოვარდ სტონტონი მე-19 საუკუნის გონიერ კაცთაგანიც იყო და ინგლისელი ჯენტლმენიც, რაშიც ეჭვი მხოლოდ ერთხელ, 1859 წელს შეიტანეს. ამერიკული ტორნადოსავით გადმოფრინდა ბებერ კონტინენტზე პოლ მორფი და საჭადრაკო ევროპა წალეკა. ამერიკელს არ უთამაშია მხოლოდ სტონტონთან, რადგან უკანასკნელმა ყოველ გამოწვევაზე უარის თქმის საბაბი იპოვა, ახლა შექსპირის გარჩევებზე ვმუშაობ და დრო ისეც არ მყოფნისო. ასე იყო თუ არა, ეშმაკმა იცის და მორფის კი ვერც ანდერსენი აღუდგა წინ, პარიზში განადგურდა. სხვა დროს და სხვა მეტოქეებთან გერმანელს ტოლი არ ჰყოლია: ის მატჩებსა და ტურნირებში ერთნაირი ძალით თამაშობდა, 1851-დან 1870 წლამდე 16 ტურნირში გამოვიდა: ათჯერ პირველი იყო, ორჯერ მეორე და სამგზის მესამე. მორფის შემდეგ ანდერსენმა ერთადერთი მატჩი წააგო და ისიც მინიმალური სხვაობით (6:8) ვილჰელმ სტეინიცთან, ვინც მერე მსოფლიოს პირველი ოფიციალური ჩემპიონი გახდა.

მაგრამ ეს სხვა ისტორიაა, ხოლო ლონდონში ანდერსენის იერიშებს სტონტონმაც ვერაფერი მოუხერხა. უყაიმო, გაცეცხლებულ ბრძოლებში გერმანელმა 4 პარტია მოიგო ინგლისელის ერთის წინააღმდეგ, ხოლო ფინალში, იმ დროს, როცა განერვიულებული სტონტონი მესამე ადგილსაც ჰკარგავდა, ანდერსენი მეორე ინგლისელს, უივილსაც დამაჯერებლად მოერია — +4-1=2

საერთაშორისო ტურნირების ისტორია იქიდან დაიწყო.

**დავით გულუა**

# სარბიელი

## სპორტული ლატარია

## კროკო

**იტალია. სერია A. პლეი-აუტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **21 ივნისი** | | | |
| 23.00 | 001 | ვერონა-რეჯინა | 1,85 | 2,9 | 4,2 |
| | | **24 ივნისი** | | | |
| 21.00 | 002 | რეჯინა-ვერონა | 1,0 | 1,0 | 1,0 |

**პოლონეთი. პლეი-ოფი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **20 ივნისი** | | | |
| 21.00 | 005 | პოლკოვიცე-სტომილი | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| | | **24 ივნისი** | | | |
| 19.30 | 006 | სტომილი-პოლკოვიცე | 1,0 | 1,0 | 1,0 |

**რუსეთი. მე-14 ტური**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **24 ივნისი** | | | |
| 16.00 | 007 | ჩერნომორეცი-ზენიტი | 2,6 | 2,9 | 2,5 |
| 16.00 | 008 | როტორი-ანჟი | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 16.00 | 009 | როსტსელმაში-ალანია | 2,1 | 2,8 | 3,3 |
| 16.00 | 010 | ზილ-ტორპედო | 4,0 | 2,9 | 1,75 |
| 16.00 | 011 | სატურნი-კრილია | 2,6 | 2,8 | 2,6 |
| 16.00 | 012 | ფაკელი-დინამო | 2,6 | 2,8 | 2,6 |
| 16.00 | 013 | ცსკა-სოკოლი | 1,9 | 3,0 | 3,8 |
| | | **25 ივნისი** | | | |
| 16.00 | 014 | სპარტაკი-ლოკომოტივი | 1,7 | 3,0 | 4,4 |

**შვედეთი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **20 ივნისი** | | | |
| 22.00 | 016 | სუნდსვალი-აიკ | 3,0 | 3,1 | 2,1 |
| | | **21 ივნისი** | | | |
| 22.00 | 017 | იორგრიტე-ელფსბორგი | 1,75 | 3,2 | 4,0 |
| | | **24 ივნისი** | | | |
| 20.00 | 018 | ნორჩიოპინგი-ჰეკენი | 1,85 | 3,1 | 3,8 |
| | | **25 ივნისი** | | | |
| 22.00 | 019 | ტრელებორგი-ჰამარბი | 3,0 | 3,1 | 2,2 |
| 22.00 | 020 | იურგორდენი-გიოტებორგი | 3,3 | 3,2 | 2,0 |
| 22.00 | 021 | ჰელსინგბორგი-იორებრო | 1,5 | 3,5 | 6,0 |

**ნორვეგია. მე-12 ტური**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **22 ივნისი** | | | |
| 22.00 | 022 | ბრანი-მოლდე | 1,85 | 3,2 | 3,6 |
| | | **24 ივნისი** | | | |
| 21.00 | 023 | ლილესტრიომი-მოსი | 1,6 | 3,5 | 4,7 |
| 21.00 | 024 | ლინი-ტრომსიო | 2,1 | 3,0 | 3,3 |
| 21.00 | 025 | ოდ გრენლანდი-ბრინი | 1,45 | 3,6 | 6,5 |
| 21.00 | 026 | სოგნდალი-სტრიომგოდსეტი | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 21.00 | 027 | ვიკინგი-ბოდიო გლიმტი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 23.05 | 028 | სტაბეკი-რუსენბორგი | 3,4 | 3,2 | 1,95 |

**ფინეთი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **20 ივნისი** | | | |
| 20.30 | 029 | მიუპა-ჰაკა | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| 20.30 | 030 | ჯაზი-ტამპერე | 2,9 | 3,2 | 2,2 |
| | | **25 ივნისი** | | | |
| 20.30 | 031 | ჰაკა-ჰიკ | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| 20.30 | 032 | ინტერი-ტამპერე | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| 20.30 | 033 | როვანიემი-ატლანტისი | 3,3 | 3,2 | 2,0 |

**ესპანეთი. თასის 1/2 ფინალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **20 ივნისი** | | | |
| 00.30 | 034 | ატლეტიკო-სარაგოსა | 2,1 | 3,0 | 3,3 |
| | | **21 ივნისი** | | | |
| 00.30 | 035 | სელტა-ბარსელონა | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| | | **23 ივნისი** | | | |
| 00.30 | 036 | სარაგოსა-ატლეტიკო | 1,0 | 1,0 | 1,0 |
| | | **24 ივნისი** | | | |
| 00.30 | 037 | ბარსელონა-სელტა | 1,0 | 1,0 | 1,0 |

**რუსეთი. თასის ფინალი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **20 ივნისი** | | | |
| 18.30 | 038 | ანჟი-ლოკომოტივი | 4,4 | 3,0 | 1,7 |

**ლიბერტადორესის თასი. ფინალი. I მატჩი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **20 ივნისი** | | | |
| 03.05 | 501 | კრუს ასული-ბოკა ხუნიორსი | 2,2 | 3,0 | 3,1 |

**ინტერტოტო. I ეტაპი. II მატჩები**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **23 ივნისი** | | | |
| 18.00 | 502 | აიკ-კარმართენი | 1,05 | 8,0 | 16,0 |
| 19.00 | 503 | კლიფტონვილი-ტილიგული | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 19.00 | 504 | ტალინი-ჰაპოელი | 2,6 | 3,1 | 2,4 |
| 19.00 | 505 | ლიეპაია-კორკი | 1,7 | 3,3 | 4,2 |
| 19.00 | 506 | გლორია-ჯაზი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 20.00 | 507 | ჰიბერნიანსი-ზაგლებე | 6,5 | 4,0 | 1,4 |
| 20.00 | 508 | სლავენი-ანორთოსისი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 20.30 | 509 | ბილისი-უნივერსიტატია | 2,6 | 3,1 | 2,4 |
| 20.30 | 510 | ცელიე-ორჰუსი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 20.30 | 511 | სარტიდი-დანდი | 1,85 | 3,2 | 3,6 |
| 22.30 | 512 | ლოზანა-სენტ ჯულია | 1,02 | 9,0 | 18,0 |
| 23.00 | 513 | ლოკერენი-ტოფტირი | 1,05 | 8,0 | 16,0 |
| | | **24 ივნისი** | | | |
| 17.00 | 514 | შირაქი-ტატაბანია | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| 18.00 | 515 | ვილიაში-გრინდავიკი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 19.30 | 516 | სპარტაკი (ვარნა)-გროცლინი | 1,95 | 3,0 | 3,6 |
| 20.00 | 517 | პობედა-ზაგრები | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| 20.00 | 518 | პეტრჟალკა-ეკრანასი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 20.00 | 519 | ჰობშაიდი-დინამო (მინსკი) | 6,5 | 4,0 | 1,35 |
| 20.00 | 520 | რიდი-ვიტ ჯორჯია | ანგარიში | – | 5,0 |
| 21.00 | 521 | დენიზლი-ჩელიკი | 1,35 | 4,0 | 7,5 |

**მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **20 ივნისი** | | | |
| 04.30 | 522 | აშშ-ტრინიდადი და ტობაგო | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| 06.30 | 523 | ჰონდურასი-მექსიკა | 2,6 | 2,8 | 2,6 |
| 07.00 | 524 | კოსტა რიკა-იამაიკა | 1,5 | 3,5 | 6,0 |

**მსოფლიოს ჩემპიონატი. ჭაბუკები (არგენტინაში)**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **20 ივნისი** | | | |
| 22.00 | 525 | იამაიკა-ფინეთი | 3,3 | 3,2 | 2,0 |
| 22.00 | 526 | კანადა-გერმანია | 9,0 | 5,0 | 1,25 |
| 22.00 | 527 | უკრაინა-ჩინეთი | 2,0 | 3,2 | 3,3 |
| 00.45 | 528 | ეგვიპტე-არგენტინა | 9,0 | 5,0 | 1,2 |
| 00.45 | 529 | ერაყი-ბრაზილია | 9,0 | 5,0 | 1,2 |
| 00.45 | 530 | ჩილე-აშშ | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| | | **21 ივნისი** | | | |
| 22.00 | 531 | ავსტრალია-ჩეხეთი | 1,0 | 1,0 | 1,0 |
| 22.00 | 532 | კოსტა რიკა-ეთიოპია | 1,0 | 1,0 | 1,0 |
| 22.00 | 533 | საფრანგეთი-პარაგვაი | 1,0 | 1,0 | 1,0 |
| 00.45 | 534 | იაპონია-ანგოლა | 1,0 | 1,0 | 1,0 |
| 00.45 | 535 | ჰოლანდია-ეკვადორი | 1,0 | 1,0 | 1,0 |
| 00.45 | 536 | ირანი-განა | 1,0 | 1,0 | 1,0 |
| | | **23 ივნისი** | | | |
| 22.00 | 537 | ფინეთი-ეგვიპტე | 1,0 | 1,0 | 1,0 |
| 22.00 | 538 | არგენტინა-იამაიკა | 1,0 | 1,0 | 1,0 |
| 22.00 | 539 | გერმანია-ერაყი | 1,0 | 1,0 | 1,0 |
| 22.00 | 540 | ბრაზილია-კანადა | 1,0 | 1,0 | 1,0 |
| 22.00 | 541 | აშშ-უკრაინა | 1,0 | 1,0 | 1,0 |
| 22.00 | 542 | ჩინეთი-ჩილე | 1,0 | 1,0 | 1,0 |
| | | **24 ივნისი** | | | |
| 22.00 | 543 | ანგოლა-ავსტრალია | 1,0 | 1,0 | 1,0 |
| 22.00 | 544 | ჩეხეთი-იაპონია | 1,0 | 1,0 | 1,0 |
| 22.00 | 545 | ეკვადორი-კოსტა რიკა | 1,0 | 1,0 | 1,0 |
| 22.00 | 546 | ეთიოპია-ჰოლანდია | 1,0 | 1,0 | 1,0 |
| 22.00 | 547 | განა-საფრანგეთი | 1,0 | 1,0 | 1,0 |
| 22.00 | 548 | პარაგვაი-ირანი | 1,0 | 1,0 | 1,0 |

**ევროპის ჩემპიონატი. ქალები (გერმანიაში)**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **23 ივნისი** | | | |
| 17.15 | 549 | გერმანია-შვედეთი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | | **24 ივნისი** | | | |
| 20.30 | 550 | რუსეთი-ინგლისი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | | **25 ივნისი** | | | |
| 20.30 | 551 | იტალია-დანია | 1,85 | 3,2 | 3,6 |
| 22.45 | 552 | ნორვეგია-საფრანგეთი | 1,25 | 4,4 | 8,0 |

### კროკოს ბიუროთა მისამართები:

თბილისში — ფურცელაძის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში;
№2 ცენტრალური ფოსტამტი ალმაშენებლის გამზირზე;
გლდანი, I სავაჭრო ცენტრი;
ვაჟა ფშაველას 46 (მეტრო დელისთან);
ნინამძღვრიშვილის 200 (ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში)
გურამიშვილის გამზირი, 50 (მეტრო „ღრმაღელესთან“)
წერეთლის გამზირი №11;
ჭავჭავაძის გამზირი №41
ქუთაისი — პუშკინის ქუჩა№16 (ტელეკომპანია „ივერიონის“ შენობაში)
ფალიაშვილის ქუჩა № 27
გორში — სტალინის ქუჩა, ჭადრაკის კლუბი; სტალინის ქუჩა№30
თელავში — კოსტავას ქუჩა №23.
რუსთავში — შარტავას ქუჩა №7
ოზურგეთში — გურიის ქუჩა №23
ბათუმში — მემედ აბაშიძის (ყოფილი სტალინის) ქუჩა №21;
ერას (ყოფილი გორკის) ქუჩა №61;
ჯავახიშვილის ქუჩა №78;
ჭავჭავაძის ქუჩა №113 (მალე)
ქობულეთში — ალმაშენებლის ქუჩა №106
მარნეულში — რუსთაველის ქუჩა №39

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

სარბიელი

სპორტული ლატარია

CROCO

BOOKMAKERS

კროკო

*ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.* !

# კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში |
| | აღმაშენებლის გამზირი | №2 ცენტრალური ფოსტამტი |
| | გლდანი | I სავაჭრო ცენტრი |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან“ (ყოფილი „დელისი“) |
| | წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან“ |
| | წერეთლის გამზირი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „ივერიონის“ შენობაში |
| | ფალიაშვილის ქუჩა№ 27 | |
| გორი | სტალინის ქუჩა №30 | ჭადრაკის კლუბი |
| თელავი | კოსტავას ქუჩა №23 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა №21 | ყოფილი სტალინის ქუჩა |
| | ერას ქუჩა №61 | ყოფილი გორკის ქუჩა |
| | ჯავახიშვილის ქუჩა №78 | |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 113 | |
| ქობულეთი | აღმაშენებლის ქუჩა №106 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №39 | |
| ოზურგეთი | გურიის ქუჩა №23 | |

# გათამაშების წესები

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში“. სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო“-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

| | |
|---|---|
| ① | ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ |
| ② | შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება |
| ③ | შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება) |
| ④ | მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში |
| ⑤ | წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი |
| ⑥ | არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი |

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა. ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო“-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო“-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო“-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო“-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.



„მამალმა" ჟერალდ მერსერონმა „ქურციკები" ქურციკისებრი ნახტომით დაალელოვა

# დანწყევლილი ელის პარკი

იოჰანესბურგი. 16 ივნისი
62 600 მაყურებელი

**სამხრეთ აფრიკა 23:32 საფრანგეთი**

**სამხრეთ აფრიკა: მონტგომერი, პოლსე, ბარი (ფლეკი 75), მალდერი, პოლი, ჯეიმსი, ფან დერ ვესტჰოიზენი; კემპსონი (ლე რუ 54), სმიტი, ფინი (მეიერი 41), ა. ფენტერი, ენდრიუსი, კრიხე (სკინსტედი 65), ფოსი (კაპ.), ერასმუსი**
**1 ლ: პოლსე; 6 ს: მონტგომერი**
**საფრანგეთი: ჟანჟანი, დომინისი, ელა, ჟოზიონი, ბორი, მერსერონი, გალტიე (კაპ.); კრანკა, იბანესი, დე ვილიე (კალიფანო 75), ორადუ, ბრუზე (ნალე 78), შაბალი (ვერმელანი 51), ტაბაკო, მანი**
**2 ლ: დომინისი, მერსერონი; 2 გ. და 6 ს: მერსერონი**
**მსაჯი: დე ლუკა (არგენტინა)**

„ჭკვიანმა ფრანგებმა მოუხერხებელი მასპინძლები დაჩრდილეს" — ასე დაასათაურა ევროპელთა მოულოდნელი გამარჯვება სამხრეთაფრიკულმა „სანდი ინდეპენდენტმა". „ფრანგები ყველა რგოლში საკმაოდ შეთამაშებულნი არიან, თუმცა მათ გრანდიოზულ გუნდს ვერაფრით ვუწოდებთ. ამის მიუხედავად, ისინი „ქურციკებზე" ცოტათი ძლიერნი აღმოჩნდნენ და ამან სავსებით იკმარა" — წერს მეორე აფრიკული გაზეთი „სანდი ტაიმსი", რომელიც მატჩის გმირად „მამლების" გარე ნახევარმცველ ჟერალდ მერსერონს ასახელებს და მისი თამაშის სტილს დიდი ფრანგი მორგაბის, ტიერი ლაკრუასას ადარებს. საერთოდ, ყველა გაზეთი თავისიანების თამაშს საშუალოზე დაბალ შეფასებას აძლევს და თუ მეორე ტესტში რაიმე არ შეიცვლება, ალბათ, „ქურციკთა" მწვრთნელ ჰარი ფილიოენს გვარიანადაც მოხვდება.

ახლა თავად მატჩის შესახებაც ვისაუბროთ.

შაბათს იოჰანესბურგში ფრანგების მოულოდნელი გამარჯვება ძირითადად „მონფერანის" წევრის, მერსერონის დამსახურებაა, რომელმაც თავისიანებს 27 ქულა მოუტანა. „ელის პარკი" სამხრეთაფრიკელებისთვის, შეიძლება ითქვას, დაწყევლილი სტადიონია, ოღონდ მხოლოდ ფრანგებთან შეხვედრებისას. მასპინძლები აქ ოთხჯერ დაპირისპირებიან „მამლებს" (1958, 1967, 1992 და 2001) წლებში და ოთხჯერვე დამარცხებულან.

არადა, ამჯერად თითქოს ნავსი უნდა გაეტეხათ. ყოველ შემთხვევაში, ამის დიდი სურვილი ჰქონდათ და მატჩის დასაწყისიც წარმატებას უქადდათ, მაგრამ...

ბრეიტონ პოლსეს უსწრაფესი ლელოს შემდეგ აფრიკელებს მეტოქე თითქმის აღარ შეუწუხებიათ და ტაიმის მოგებასთან (16:11) ერთად საერთო გამარჯვებაც დაანებეს. ამას ყველაზე ოპტიმისტი ფრანგებიც კი ვერ წარმოიდგენდნენ, რადგან მათმა ნაკრებმა წლევანდელი ექვსი ერის ჩემპიონატზე უსახურად ითამაშა და სამხრეთულ ტურნეშიც გადახალისებული შემადგენლობით გაემგზავრა.

თუმცა: „უნდა ვთქვა, რომ ახალგაზრდების მზადებითა და მათი თამაშით თავადაც განცვიფრებული ვარ. ახლა, თუ გვინდა, ადრინდელი სახელი დავიბრუნოთ, მომდევნო ტესტიც ასევე მაღალ დონეზე უნდა ჩავატაროთ. იმედი მაქვს, რომ ახალწვეულები არც მომავალ შაბათს დამაღალატებენ" — თქვა სტუმართა მთავარმა მწვრთნელმა ბერნარ ლაპორტმა.

ანგარიში 23-ე წამზე გაიხსნა, როცა შავკანიანმა გარემარბმა პოლსემ მეტოქის ლელოს კიდეს უწია, მაგრამ პერსი მონტგომერის გარდასახვა გაუცუდდა. კაპიტან ფაბიან პელუსა და მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მცველის, ტომა კასტენიედის გარეშე მოთამაშე ფრანგებმა ეს უიღბლობა არად ჩააგდეს და მოწინააღმდეგეს არ დანებდნენ.

მონტგომერისა და მერსერონის თითო-თითო საჯარიმოს შემდეგ, მე-18 წუთზე, სტუმარ სამმეოთხედელთა მშვენიერი კომბინაცია მარჯვენა ფრთაზე კრისტოფ დომინისიმ დააგვირგვინა და მერსერონის ზუსტმა გარდასახვამ ფრანგები დააწინაურა — 10:8. მერე დამრტყმელებმა ისევ გაცვალეს საჯარიმოები. ტაიმის მიწურულს კი მერსერონმა მალდერის მიერ ჟანჟანის არასწორად შებოჭვისთვის დანიშნული საჯარიმო გაიტანა. ასე დამთავრდა პირველი ორმოცწუთეული.

შესვენების შემდეგ ევროპელები აირდაირივნენ და მონტგომერიმაც 52-ე წუთზე აფრიკელები დააწინაურა (17:16). სხვაობა მეტიც იქნებოდა, მაგრამ წუთით ადრე მასპინძელთა დამრტყმელმა ოვალური ბურთი ძელს გაარტყა. 58-ე წუთზე ანგარიში 20:19 იყო „ქურციკების" სასარგებლოდ. აქედან მოყოლებული კი ფრანგები გაცილებით უკეთ გაისარჯნენ და... მალე იმავე დომინისის ჰქონდა ლელოს გატანის კარგი შანსი, როცა ბურთი ფეხით შეიგდო, მაგრამ უკანასკნელ მომენტში დენ ჰოლმა გადაარჩინა თავისიანები. თუმცა სამხრეთელთა ლელოსგან ხუთი მეტრის დაშორებით დანიშნულ შერკინებას და „მამალთა" დომინირებას მერსერონის გარდასახული ლელო მოჰყვა და საფრანგეთი საბოლოოდ დაწინაურდა.

შემდეგ კიდევ რამდენიმე საჯარიმო და 23:32 სტუმართა სასარგებლოდ. მასპინძლებს კი რევანშის შანსი ამ შაბათს ექნებათ, რადგან „ელის პარკის" ნაცვლად მოწინააღმდეგეს ამჯერად დურბანში დაუპირისპირდებიან.

# რამ გაახარა ბრეკენი?!

ბერკლი. 16 ივნისი

**აშშ 19:48 ინგლისი**

**აშშ: 3 ლ: ნაკიკა (2), გრობლერი; 2 გ: უელსი**
**ინგლისი: 8 ლ: ვესტი, სანდერსონი (2), ლიუისი, უორსლი, ლოიდი (2), მუდი; 4 გ: უოლდერი**

კალიფორნიაში, სან ფრანცისკოს მახლობლად, ინგლისის მორაგბეთა ნაკრები მასპინძლებს ეთამაშა. ეს ბრიტანელთა ჩრდილოამერიკული ტურნეს მესამე და ბოლო ტესტი იყო. ბრიტანელი ლომების ავსტრალიური ტურნეს გამო გაახალგაზრდავებულ ინგლისელებს ორჯერ კანადელთა ძლევის შემდეგ არც ამერიკელთა წინააღმდეგობის დაძლევა გასჭირვებიათ, ზედიზედ მეთერთმეტე გამარჯვება იზეიმეს სანაკრებო დონეზე და რეკორდიც დაამყარეს.

აქამდე ალბიონელებს მიყოლებით ამდენი მოგება არ დაეგროვებიათ. მათ ეს სერია შარშან ზაფხულში (ივნისში) დაიწყეს „ქურციკთა" დამარცხებით.

მოლოდინის საწინააღმდეგოდ, „არწივებმა" საკმაოდ დიდი ბრძოლა გაუმართეს ევროპელებს და კარგი შთაბეჭდილებაც დატოვეს. პირველი ტაიმის პირწმინდად წაგების შემდეგ (5:33), მეორეში, ამერიკელებმა გაცილებით უკეთ იბურთავეს და ტაიმი მხოლოდ მინიმალური სხვაობით დათმეს (14:5).

„იმდენი ლელოს გატანა ვერ მოვახერხეთ, რამდენიც გვინდოდა. ეს, უპირველეს ყოვლისა, ამერიკელთა კარგი დაცვის ბრალია. ისინი, განსაკუთრებით მეორე ნახევარში, თავდადებით იბრძოდნენ. აღნიშვნის ღირსია მათი შეტევაში გარჯაც, რადგან სამი მართლაც მშვენიერი ლელო გაგვიტანეს" — აქო მოწინააღმდეგე ინგლისის ნაკრების დამრიგებელმა კლაივ ვუდვორდმა.

ბრიტანელთა საამმატჩო კაპიტანმა კიერენ ბრეკენმა (ნამდვილი კაპიტანი მარტინ ჯონსი ავსტრალიაშია) კი ამ გამარჯვებას უდიდესი უწოდა და დაამატა, რომ ძალიან ბედნიერები იყვნენ.

. რა თქმა უნდა, ბრეკენი საშუალო დონის აშშ-ს ნაკრების ძლევით ასე არ გაიხარებდა, მაგრამ რეკორდი?!

**ბაგი ბურული**

# ედმონდსმა ლომები მოათვინიერა

ბრიტანელი ლომები ავსტრალიაში

ბრისბენი. 16 ივნისი

**ბრისბენი 8:42 ბრიტანელი ლომები**

**ბრისბენი: 1 ლ: კორდინგლი; 1 ს: ფლეტლი**
**ბრიტანელი ლომები: 5 ლ: ლუგერი, ჰენდერსონი, ჯეიმსი, რ. ჰილი, ოდრისკოლი; 4 გ. და 3 ს: უილკინსონი**

გოსფორდი. 19 ივნისი
20000 მაყურებელი

**ავსტრალია A 28:25 ბრიტანელი ლომები**

**ავსტრალია A: გრეჰემი (ჰოლბეკი 23), ბართოლომეუსი, ბონდი, გრეი, სტენიფორტი, ედმონდსი, უიტეკერი (პეინი 56); ბლეიდსი (ნორიეგა 60), ქქნონი, მური, ბოუმენი (ვესტი 62), ჰარისონი, ლაიონსი, ვოფი (კაპ.), ჯ. უილიამსი (რაიანი 66)**
**1ლ: სტენიფორტი; 1გ. და 7ს: ედმონდსი**
**ბრიტანელი ლომები: პერი, კოენი, გრინვუდი, კეტი (ტეილორი 39), რობინსონი, ნ. ჯენკინსი (დოუსონი 57), ო. ჰილი; ლენარდი, მაკბრაიდი (ბალოკი 52), იანგი (კაპ.) (მორისი 64), ს. მიურეი, ოკელი (დევიდსონი 52), დალალიო, მ. უილიამსი, ს. ქუინელი**
**3ლ: ტეილორი, პერი, რობინსონი; 2გ: დოუსონი; 2ს: ნ. ჯენკინსი**
**დროებითი გაძევება: დალალიო (68-78)**
**მსაჯი: ჰონისი (ახალი ზელანდია)**

შაბათს ბრიტანელი ლომები პირველად დაუპირისპირდნენ საკმაოდ ძლიერ მოწინააღმდეგეს. მათი გამომცდელი წლევანდელი ზე-12-ის ნახევარფინალისტი ბრისბენი იყო. „ქვინზლენდელ წითლებს" თავიანთი სახელმოხვეჭილი კაპიტანი ჯონ ილზი კი აკლდათ, მაგრამ მათ რიგებში იმდენი ძლიერი მორაგბე (ჰერბერტი, ტოუტაი კეფუ, კორდინგლი, ფოლი...) იყო, ბევრი ვერ იფიქრებდა, თუ სტუმრები ასე იოლად მიაღწევდნენ გამარჯვებას.

მატჩის ბედი ლომებმა პირველივე ტაიმში გადაწყვიტეს, რომელშიც ხუთი ლელო გაიტანეს და 32:3 მოიგეს. შესვენების შემდეგ ევროპელები შედარებით მოეშვნენ, მხოლოდ სამი საჯარიმოთი შემოიფარგლნენ და ბრისბენელებს პრესტიჟის ლელოს გატანაც დაანებეს.

შეხვედრის საუკეთესო მორაგბედ ჯონი უილკინსონი შერაცხეს, რომელიც თავისიანთა თითქმის ყველა შეტევის სულისჩამდგმელი იყო და დაცვაშიც მშვენივრად ირჯებოდა. ულამაზეს ლელოდ კი დან ლუგერის ლელო მოინათლა, რომელშიც იმავ უილკინსონმაც დიდი წვლილი დაიდო.

სამშაბათს ლომებმა თავიანთი ტურნეს მეოთხე მატჩი გამართეს და პირველი მარცხიც იწვნიეს. ავსტრალიის სარეზერვო ნაკრებმა შეხვედრა ძალიან მაღალ დონეზე ჩაატარა და სამი ქულით მეტის მოპოვებაც შეძლო, ვიდრე მისმა მეტოქემ.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ლომების თამაში საკმაოდ არია მათი შუამარბის, მაიკ კეტის იძულებითმა შეცვლამ. ინგლისელს ყბა გაუტყდა და, ალბათ, ტურნეს დარჩენილ მატჩებშიც ვერ, მიიღებს მონაწილეობას. სათადარიგო „ვოლაბთაგან" საუკეთესო უდავოდ დამრტყმელი მანუელ ედმონდსი იყო, რომელიც თითქმის უშეცდომოდ გაისარჯა და თავის გუნდს 23 ქულა შესძინა.

ლომები გაცილებით უკეთ უტევდნენ, ვიდრე ოზები, მაგრამ ისინი უდისციპლინო თამაშმა დაღუპა, რაც მათმა დამრიგებელმა, ახალზელანდიელმა გრემ ჰენრიმაც აღიარა. სტუმრები ერთი პირობა (50-ე წუთისთვის) 13:25 ჩამორჩნენ, მაგრამ ყურები არ ჩამოუყრიათ და ბოლომდე იბრძოლეს. შედეგად პერიმ და რობინსონმა კიდევ ორი ლელოც გაიტანეს და ბრიტანელები ფრესაც გაახერხებდნენ, რომ არა ედმონდსის ჩუბინობა.

მომდევნო შეხვედრას ლომები ამ შაბათს გამართავენ, პირველი ტესტი კი 30 ივნისს ჩატარდება.



REUTERS

ლომი ოსტინ ჰილი ოზმა გრემ ბონდმა ააყირავა

ოკლენდი. 16 ივნისი

**ახალი ზელანდია 50:6 სამოა**

**ახალი ზელანდია: 7 ლ: ბრაუნი (3), მაქსველი, ჰოულეტი, ფლეიველი, უილსონი; 3 გ. და 3 ს: ბრაუნი**
**სამოა: 2 ს: ლეაეგა**

ლაუტოკა. 16 ივნისი

**ფიჯი 25:20 ტონგა**

**ფიჯი: 3 ლ: ლიგაირი (2), დელასაუ; 2 გ. და 2 ს: ლითლი**
**ტონგა: 2 ლ: მატანგი; 2 გ. და 2 ს: ტუიპალამაკა**

ტოკიო. 16 ივნისი

**იაპონია 30:53 უელსი**

არგენტინა ახალ ზელანდიაში

**მანუკაუ 26:70 არგენტინა**

**მანუკაუ: 4 ლ: პეტელო, ფინი, ლი, მეალამუ; 3 გ: კრაიჩტონი**
**არგენტინა: 11 ლ: სტორტონი (3), მენდესი (2), მარტინი, კამარდონი, კონტეპომი, ალუბი, ალბანეზე, ორენგო; 6 გ. და 1 ს: კონტეპომი**

# მსაჯის ბედი, ძმაო, ძნელია

**მეტად** შავი სამუშაოს შესრულება უწევთ დისციპლინარებს. ამ ხალხს სხვისი გაფუჭებულის, გარკვეულწილად გამოსწორება, მომხდარზე სწორად რეაგირება აკისრია და უანგაროდ, წყნარად აკეთებენ თავიანთ საქმეს.

გუშინ საქართველოს რაგბის კავშირის ოფისში შეიკრიბნენ სტკ-ს წევრები თორნიკე გეგიძის თავჯდომარეობით და განვლილ ტურში მომხდარი ინციდენტები განიხილეს.

ჩვენი ჩემპიონატის დებულება დისციპლინარებს იმის საშუალებას აძლევს, რომ შესაბამისი სასჯელი მიუსადაგონ კანონის დამრღვევს.

ძირითადი თემა ბათუმში გამართული მატჩი იყო. ზღვისპირეთში ქართული ოქროს ორი მაძიებელი — ბათუმის „დათვები“ და თბილისის „ყოჩები“ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. აბა, ასეთი დაძაბული მატჩი ისე როგორ ჩაივლის, მორაგბეებმა არ გაცვალონ ერთ-ორი აპერკოტი, ან მსაჯს არ გაჰკრან კბილი. გამონაკლისი არც ბათუმური შეხვედრა ყოფილა. ჰოდა, მატჩის ოქმში ჩაწერილი დარღვევები წინ ედოთ დისციპლინარებს. ბევრი იმსჯელეს, თუ ცოტა, „ყოჩების“ მორაგბეს გოჩა ბარძიმიშვილს მეტად მკაცრი სასჯელი გამოუტანეს: თვრამეტი კვირით რაგბიდან მოკვეთა. ასეთი იყო დისციპლინართა ვერდიქტი. ბარძიმიშვილს ძვირად დაუჯდა მთავარი მსაჯი ნოდარ რობიტაშვილის გინება. ის მატჩი ბათუმელებმა მოიგეს — 19:13. ეტყობა, მარცხით გულგატეხილმა მორაგბემ მიზანში მსაჯი ამოიღო და დაგროვილი ბოღმა რობიტაშვილზე გადმოანთხია.

ნოდარ რობიტაშვილი ვერც ბათუმელთა მხრიდან გადაურჩა შეურაცხყოფას, ოღონდ მსაჯზე ამჯერად „დათვების“ თბილისელმა თავკაცმა ლევან მგელაძემ იყარა ჯავრი. მგელაძე მარტო რეფერის ლანძღვით არ დაკმაყოფილებულა და აუგად რაგბის კავშირიც მოუხსენიებია. როგორც იტყვიან, აგინა ყველას და ყველაფერს. თუმც დისციპლინარები არ აჩქარდნენ, ბათუმელთა მთავარი მწვრთნელისთვის განაჩენი ჯერ არ გამოუტანიათ. ლევან მგელაძე სამშაბათს სტკ-ს სხდომაზეა დაბარებული. მომხდარში დეტალურად გარკვევის შემდეგ შესაბამის სასჯელს შეუფარდებენ მწვრთნელს კავშირის „სამართალდამცავები“.

**ბაჩო სვანიძე**



# კუბელებს ქართველებთან ვარჯიში წაადგათ

*ბელფასტში ახლახან გასრულებულ კრივის XI მსოფლიოს ჩემპიონატზე 62 ქვეყნის 400 სპორტსმენთან ერთად ქართველი მოკრივეებიც გამოდიოდნენ. სამწუხაროდ, მათ „მსოფლიო რინგზე“ ასპარეზობები უსახელოდ დაასრულეს. მეტიც, ქართველი მოკრივეები საპრიზო ადგილებსაც ვერ მიუახლოვდნენ. არადა, ჩრდილოეთ ირლანდიაში გამგზავრებამდე თურქეთში, მასპინძლებთან და კუბელებთან ერთად ივარჯიშეს. ქართველ მოკრივეებს სპარინგ პარტნიორობას თავად კუბელები უწევდნენ. მათი ძალა კი ყველას მოგეხსენებათ. მსოფლიოს ჩემპიონატზეც მათ კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, რომ სამოყვარულო კრივში კუბა უძლიერესია. არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში კუნძულელებმა დიდი უპირატესობით მოიტოვეს სხვა ქვეყნები. მათ 7 „ოქრო“ და 2 „ბრინჯაო“ მოიპოვეს მაშინ, როდესაც მეორე ადგილზე გასულმა რუსეთმა 2 „ოქრო“ და 3 „ვერცხლის“ მონაგრება შეძლო. მესამე ადგილზე სამივე ხარისხის თითო მედლით უზბეკეთი გავიდა. ჩვენ კი...*

*მსოფლიოს ჩემპიონატზე ასპარეზობა 12 წონით კატეგორიაში მიმდინარეობდა, ქართველები მხოლოდ ხუთში გავიდნენ რინგზე: რამაზ ბებნაძე (54კგ), რობერტ ფილიევი (67კგ), ანატოლი ქავთარაძე (71კგ), დავით თოდრია (81კგ) და ვლადიმერ ჭანტურია (91კგ). ერთადერთი ქავთარაძემ შეძლო პირველი შეხვედრის მოგება, დანარჩენებმა კი თავიდანვე წააგეს.*

*მსოფლიოს ჩემპიონატის შესახებ გავესაუბრეთ კრივის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტ* ***ზურაბ ფალიანს.***

— მიუხედავად იმისა, რომ ჭანტურიამ ნორმალურად გაიარა შეკრებები, ამას ნაყოფი არ გამოუღია. არადა, ყველაზე იმედიანად სწორედ მის მიმართ ვიყავით. გვჯეროდა, რომ იგი მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულს მოიპოვებდა, მაგრამ პირველივე შეხვედრაში უპატიებელი შეცდომები დაუშვა. მსაჯის სამი გაფრთხილების მერე ვლადიმერმა რინგი დამარცხებულმა დატოვა.

სხვათა შორის, სიდნეიშიც არაერთხელ დაუშვა ასეთი შეცდომები, ამჯერად კი ეს მისთვის საბედისწერო გამოდგა. ჭანტურიას რომ მართლაც შეეძლო ჩემპიონობა, ამის დასტურად სიდნეის ოლიმპიადაზე მის მიერ დიდი უპირატესობით დამარცხებული უზბეკი რუსლან შაგაევის ბელფასტში გაჩემპიონებაც კმარა.

საპრიზო ადგილის დაკავების შანსი ჰქონდა ანატოლი ქავთარაძესაც. პირველივე შეხვედრაში მასპინძელთან გამარჯვების შემდეგ იგი წინა მსოფლიოს ჩემპიონატის გამარჯვებულ კუბელ მოკრივეს შეხვდა. პაექრობა, რომელიც გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა, მსაჯმა მესამე რაუნდში, მაშინ, როდესაც კუბელი ერთი ქულით წინ იყო (6:5), შეაჩერა, წარბის გახეთქვის გამო ქართველი მოკრივე ასპარეზობიდან მოხსნა. არადა, ანატოლის შეუპოვარი ხასიათიდან გამომდინარე, დარწმუნებული ვიყავით, რომ იგი ბრძოლას თავის სასარგებლოდ შემოაბრუნებდა.

სხვათა შორის, ის ერთადერთი შეხვედრა იყო, სადაც კუბელს გაუჭირდა, რადგან ყველა დანარჩენი შეხვედრა აშკარა უპირატესობით მოიგო. რომ არა წარბის დაზიანება, ქავთარაძე საპრიზო ადგილს დაიკავებდა. აქვე მინდა გითხრათ, უფრო სწორად, დაგარწმუნოთ, რომ ათენის ოლიმპიურ თამაშებზე ქავთარაძე მედლის კანდიდატია.

რაც შეეხება სხვა წონით კატეგორიებს, აქ ზოგს კენჭისყრაში არ გაუმართლა, ზოგიც სათანადოდ ვერ განეწყო ბრძოლისთვის.

**— მსოფლიოს ჩემპიონატი 12 წონით კატეგორიაში მიმდინარეობდა, ჩვენ კი მხოლოდ ხუთში ვიასპარეზეთ და საერთოდ რა პრინციპით შეარჩიეთ ნაკრები?**

— ნაკრებში საქართველოს ყველა ჩემპიონის აყვანა გვსურდა. დღევანდელმა ეკონომიკურმა სიდუხჭირემ ყველა წონით კატეგორიაში ასპარეზობისგან ხელი აგვალებინა. ამიტომაც მხოლოდ ხუთი სპორტსმენის წაყვანა შევძელით.

**— ბელფასტში გამგზავრებამდე თურქეთში გაიარეთ შეკრება, მაგრამ მანამდე თუ გქონდათ მომზადების საშუალება?**

— მოსამზადებელი პერიოდი თებერვლიდან დავიწყეთ, თუმცა რომ არა სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი, ამას ვერ მოვახერხებდით. მან მოგვიწყო შეკრებები, სამ საერთაშორისო ტურნირზე გამოსვლის საშუალებაც მოგვცა.

**— მომავლისთვის რა გეგმები გაქვთ?**

— ახლა ჩვენი მთავარი საზრუნავი სპორტსმენთათვის ფორმის შენარჩუნებაა. მართალია, რამდენიმე საერთაშორისო ტურნირიდან გვაქვს მიწვევა, მაგრამ ვეჭვობ, იქ გამგზავრება შევძლოთ. ერთადერთი, ყველანაირად ვეცდებით, ქავთარაძესა და ჭანტურიას შევუწყოთ ხელი. მათ ერთი-ორ ტურნირზე გავუშვებთ, რათა ფორმა შეინარჩუნონ.

*ერთადერთ ნუგეშად ფედერაციის პრეზიდენტის ძმის, ბარსელონის ოლიმპიადაზე საქართველოს სახელით ბრინჯაოს მედლის მომპოვებელ, ამჟამად თურქეთის ნაკრების წევრის, რამაზ ფალიანის გაჩემპიონება გვრჩება.*

*სანუგეშოდვე გამოდგება ათენში 13-17 ივნისს აკროპოლის საერთაშორისო ტურნირზე საქართველოს მეორე გუნდის წარმატებაც. საბერძნეთის დედაქალაქში 6 მოკრივით ვიყავით წარდგენილნი — თენგიზ ჯმუხაძე (51კგ), ავთანდილ კაშია (57კგ), დავით ხურცილავა (60კგ), მერაბ სვანაძე (71კგ), დავით წიკლაური (75კგ) და გაგა ბოლქვაძე (91კგ). მათ საერთო ჯამში სამი ვერცხლი და ერთი ბრინჯაო მოიპოვეს. ვიცე-ჩემპიონები გახდნენ კაშია, წიკლაური, ბოლქვაძე, ბრინჯაო კი სვანაძემ მოიპოვა.*

**გიგა გურასპიშვილი**



ავთანდილ გურასპიშვილის ფოტო

ვლადიმერ ჭანტურია



ეროვნული ბიბლიოთეკა

ხუთი რგოლი

# მისტიკური 13

## ტიბეტელებმა თავზე ხელი აიღეს

**საქმეს** ისეთი პირი უჩანს, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ზოგიერთი წევრისთვის 13 ივლისი შესაძლოა, საბედისწერო აღმოჩნდეს. თუ ყველაფერი ისე განვითარდა, როგორც ამას ტიბეტის ახალგაზრდული კონგრესის რადიკალური ორგანიზაცია გეგმავს, მაშინ რიცხვი 13-ის მისტიურობაზე მეტად ოლიმპიზმის მამებმა დანაშაულის მიზეზი საკუთარ თავში უნდა ეძებონ.

13 ივლისს 2008 წლის ოლიმპიადის მასპინძელ ქალაქს ირჩევენ. არჩევნებში ჩინეთის დედაქალაქის გამარჯვების შემთხვევაში, როგორც ტიბეტელი რადიკალები აცხადებენ, პეკინის სასარგებლოდ ხმის მიმცემ ყველა სოკელს ფიზიკურად გაუსწორდებიან. ტიბეტელი ექსტრემისტები კატეგორიული წინააღმდეგი არიან ჩინეთში ოლიმპიადის გამართვისა, რადგან, მათი აზრით, ეს უკანასკნელნი მათ თანამოძმეთა უფლებებს არღვევენ.

„ვფიცავთ, ნებისმიერ ფასად, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, გამოვავლენთ ყველა დამნაშავეს, რომელიც ჩინეთის კანდიდატურას დაუჭერს მხარს.

ჩვენ ტიბეტის ახალგაზრდული კონგრესის ზოგიერთი რადიკალი წევრი ვამტკიცებთ, რომ პეკინის კანდიდატურა ძალიან დაწინაურდა.

ჩვენი მუქარა სერიოზულია. ფიზიკურად გავუსწორდებით ყველას, ვინც ჩინეთისთვის გაიღებს ხმას. გავუსწორდებით სოკ-ის წევრებს, სოკ-ის შტაბბინას, ამავე დროს ჩავშლით 2008 წლის ოლიმპიურ თამაშებს. ეს იმ შემთხვევაში, თუ ეს უკანასკნელი ჩინეთში გაიმართება. მუქარა დღეიდან 2008 წლამდეა ძალაში. ჩვენ ამას არ დავუშვებთ. გახსოვდეთ, რომ მეტი აღარაფერი გვაქვს დასაკარგი. ამავე დროს გთხოვთ, ნუ დაგავიწყდებათ, რომ ჩვენ უკვე ჩადენილი გვაქვს დანაშაული და კვლავაც ასე გავაგრძელებთ. კიდევ ერთხელ მოვაწყობთ აფეთქებებს ტიბეტში, ჩინეთში და სხვაგანაც“ — დაახლოებით ასეთი შინაარსისაა სოკ-ის წევრთათვის გაგზავნილი წერილობითი მუქარა. დაახლოებით იმიტომ, რომ ერთგვერდიანი ტექსტი დამტვრეული ინგლისურით და უამრავი გრამატიკული შეცდომებითაა გაჯერებული.

# მუზეუმი პრეზიდენტისთვის

**სოკ-ის** პრეზიდენტობის კანდიდატმა, სამხრეთკორეელმა კიმ უნ იონგმა ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელ თანამდებობაზე ახალი მეთაურის მოსვლამდე პირობა დადო, თუ ოლიმპიური მოძრაობის მესაჭეობას მოვიპოვებ, მაშინ ყველაფერს გავაკეთებ, რათა ისეთ კაცს, როგორიც ხუან ანტონიო სამარანჩია, მუზეუმი ავუგოო.

კიმს სურვილი აქვს, 80 წლის ესპანელ დიპლომატს, რომელიც 21-წლიანი პრეზიდენტობის შემდეგ 16 ივლისს თანამდებობის დატოვებას აპირებს, ბრწყინვალე მოღვაწეობა დაუფასოს.

„ოლიმპიურმა სულისკვეთებამ და მოძრაობამ სამარანჩის მოღვაწეობისას სიმაღლეები ძალზე სწრაფად დაიპყრო. ამიტომაც, სავსებით ბუნებრივი იქნება იმის გაკეთება, რაც მის ნამოღვაწარს მოგვაგონებს“ — თქვა კიმმა.

სამხრეთკორეელს ჯერ ვერ გადაუწყვეტია, მუზეუმი ლოზანაში დაიდებს ბინას, სადაც სოკ-ის შტაბ-ბინაა, თუ სამარანჩის მშობლიურ ბარსელონაში. ამასთან, როგორც კიმმა აღნიშნა, სამარანჩის მუზეუმს არანაირი საერთო არ ექნება ლოზანის ოლიმპიურ მუზეუმთან.

კიმის ჩანაფიქრის განხორციელების შემთხვევაში მუზეუმში წარმოდგენილი იქნება სამარანჩის მოღვაწეობის ამსახველი ილუსტრირებული მასალები.

„ოლიმპიზმის დღევანდელი სახით არსებობაში უდიდესი წვლილი სამარანჩს მიუძღვის. წლების განმავლობაში მისი მემკვიდრეობა ყველას ეხსომება“ — მომავალს ასე ჭვრეტს პრეზიდენტობის კანდიდატი.

# აფრიკა სამარანჩს მისტირის

**სოკ-ის** საპრეზიდენტო არჩევნებამდე ერთი თვით ადრე აფრიკაში უკვე მისტირიან ამ ორგანიზაციის მეთაურ ხუან ანტონიო სამარანჩს. შავი კონტინენტის წარმომადგენელთა ვარაუდით, სოკ-იდან ესპანელი მარკიზის წასვლის შემდეგ აფრიკას უპატრონოდ დარჩენა ემუქრება. თუმცა, სამარანჩმა აფრიკელი ოლიმპიზმის მამები დაარწმუნა, რომ მისი მომავალი მემკვიდრე უყურადღებოდ და მზრუნველობის გარეშე არ დატოვებს მსოფლიოს ულარიბეს კონტინენტს.

„სოკ-ის პოლიტიკა არ არის დაპირებებისა და ლიტონი სიტყვების პოლიტიკა. ეს რეალობის პოლიტიკაა.

ჩვენ ბევრი რამ გავაკეთეთ აფრიკაში, მაგრამ გასაკეთებელი მეტი გვაქვს. სოკ-ი ოლიმპიური სოლიდარობის პროგრამის მეშვეობით კიდევ გააგრძელებს თქვენთან მუშაობას“ — ასე მიმართა დელეგატებს გასულ კვირას აფრიკის ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტთა ასოციაციის (ანოკა) გენერალური ასამბლეის გახსნის ცერემონიალზე სამარანჩმა.

იმასაც გეტყვით, რომ ანოკა 1961 წელს ჩამოყალიბდა, როგორ აფრიკისა და აზიის დახმარების კომიტეტი. ამასთან, მას სამხრეთ აფრიკაში აპარტეიდის წინააღმდეგ ბრძოლაც ეკისრებოდა.

აფრიკისადმი სამარანჩის დამოკიდებულების გამო მადლიერება გამოხატა ანოკა-ს უგანდელმა პრეზიდენტმა ფრანსუა ნიანგვესომ. თუმცა, ამავე დროს სტუმრებს სოკ-ში შავი კონტინენტის წარმომადგენელთა რაოდენობის გაზრდისკენაც მოუწოდა.

საქმე ისაა, რომ 1999 წელს სოლტ ლეიკ სიტის სკანდალთან დაკავშირებით სოკ-მა თავისი რიგებიდან შავი კონტინენტის 19 წევრიდან 5 გარიცხა. მათ შარშან კენიიდან და სპილოს ძვლის კუნძულებიდან თითო წევრი დაიმატეს, მაგრამ ამაზე შეჩერებას არ აპირებენ. მეტიც, სამხრეთ აფრიკის სოკ-ის წევრ სემ რამსემს მიაჩნია, რომ მაშინაც კი, თუ კომიტეტში აფრიკელთა რაოდენობა ისევ 19-მდე გაიზრდება, არც ეს იქნება საკმარისი.

„ჩვენს კონტინენტზე ყველაზე მეტი ეროვნული ოლიმპიური კომიტეტია. ვფიქრობ, სამხრეთ ამერიკასთან ერთად ჩვენ ყველაზე ნაკლებად ვართ წარმოდგენილი სოკ-ში. ამ მხრივ გარკვეული ბალანსია შესაქმნელი. ვიმედოვნებ, ამას ახალი პრეზიდენტი გააკეთებს“ — იმედიანადაა რამსემი.

ახალ პრეზიდენტს იმედიანად შეჰყურებს ნიანგვესოც. „დროა სოკ-ში აფრიკის წარმომადგენლობა გაიზარდოს. ვიცით, რომ თქვენ (სამარანჩი) ყველაფერი გააკეთეთ იმისთვის, რათა სოკ-ის წევრთა ახალ არჩევნებში აფრიკელებიც გასულიყვნენ. ვიცით, რომ მალე დაგვტოვებთ და ვიმედოვნებთ, თქვენი მემკვიდრეც კეთილი თვალით შემოგვხედავს“ — ამბობს ნიანგვესო.

სხვათა შორის, ანოკას სხდომას სოკ-ის პრეზიდენტობის არც ერთი კანდიდატი არ დასწრებია. მათგან განსხვავებით 2008 წლის ოლიმპიადის მასპინძლობისთვის მებრძოლმა კომიტეტებმა ასეთი შანსი ხელიდან არ გაუშვეს და ინდოეთის ოკეანის სანაპირო კურორტზე, იმ სასტუმროსთან ახლოს, სადაც სხდომები მიმდინარეობდა, ტორონტომ, პეკინმა, პარიზმა, ოსაკამ და სტამბოლმა სარეკლამო თუ სააგიტაციო კარვები დასცეს.

**გიგა გურასპიშვილი**



REUTERS ტულსადან




# ვუდსი წაიხდა

ორიოდ დღის წინათ საქმის დიდი ცოდნით მოგახსენებდით, ტულსაში რომ ამერიკის ასმეერთე ღია ჩემპიონატი იმართება გოლფში, უეჭველად ტაიგერ ვუდსი გაიმარჯვებს-თქო. ბოლო ოთხი ჩემპიონატი ხომ მან მოიგო. ჰოდა, ენა რომ წინ გაგისწრებს, ასეა: ვუდსი ფინალშიც ვერ გავიდა, საზერნ ჰილ ქანთრი კლაბის მინდვრებზე კი გამარჯვება სამხრეთამერიკელმა რეტლიფ გუსენმა მოიპოვა, რომელმაც ფინალში მარკ ბრუკსს აჯობა.

## ყველაფერი კარგად იქნებაო

მძიმე წონაში კვლავ სასამართლოა: ნიუ იორკის ფედერალურ სასამართლოში ლენოქს ლუისი შეპირებულ რემატჩს ითხოვს მის მძლეველ ჰასიმ რაჰმანისგან, რომელიც გაქნილმა პრომოუტერმა დონ კინგმა თავისუფალ აგენტად აქცია და ნიგერიელ დევიდ აიზონთან უნდა შეარკინოს როგორც ჩემპიონი. ჰასიმ რაჰმანი ცერს გვიჩვენებს, ყველაფერი კარგად იქნებაო. გააჩნია ვისთვის.



REUTERS ნიუ იორკიდან



REUTERS ისტბორნიდან

## ლინდსი შარვლით

უიმბლდონის წინარე, გამახურებელ ისტბორნის ტურნირში ბევრი განთქმული ჩოგბურთელი ჩაბმულა. ამათ შორის კი ქალი-გოლიათი ლინდსი დევენპორტი. საკვირველი ის არის, რომ ლინდსი შარვლით გამოსულა კორტზე.

## სენიორ სკუდეტო

კვირა საღამოს „რომამ“ სკუდეტო მოიგო — მესამედ თავის ისტორიაში. მეორედ ეს ამბავი 18 წლის წინათ მოხდა. მარადიული ქალაქის მუშათა უბანში, ტესტიკიოში დაარსებული კლუბი რომაელთა გულის გუნდია („ლაციოსგან“ განსხვავებით) და ამ დღეებში ზეიმი მართლაც დიდებული იყო. დამთხვევა კი ამგვარი იყო: კვირას „რომა“ ჩემპიონი გახდა, ორშაბათს კი მის მწვრთნელს, მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ საკლუბო მწვრთნელს „სენიორ სკუდეტოს“ — ფაბიო კაპელოს დაბადების დღე ჰქონდა. ტორტიც ამიტომ გაიჭრა...




REUTERS რომიდან

## შაკ-რეპი

მშობლიურ ქალაქში ზეიმობს ჩემპიონობას „ლოს ანჯელეს ლეიკერსი“. ქალაქის ქუჩებში მილიონობით ადამიანი გამოვიდა, რათა საყვარელი გუნდის ზედიზედ მეორე ტიტული აღენიშნა. შაკილ ონილის სიმღერის გარეშე კი, ^ა, როგორ ჩაივლიდა. რეპის დიდ ტრფიალს, გოლიათ შაკს, სულ ნონ-სტოპი გაუშვია, რაც დიდად წადგომია სახალხო ყეენობას.




REUTERS ლოს ანჯელესიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან.
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი კალათბურთის და ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, თამაზ გოგებაშვილი, ელენე გელუტაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, გურამ ხელაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge